



საქართველოს სსრ-ის საქართველოს სსრ-ის



1

საქართველოს სსრ-ის
თბილისი — 1983



ჯვარი ვაზისა — შემკული მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს თმით. IV ს.

ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო,
დაგვიცუე და დაგვიფარე ჩვენ



ქრისტიანი


ლაიბეკა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ
ილია II ლოცვა-კურთხევით





ვარძია, შაცხოვრის ხატი, XII ს.

ქართლის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულ,
რამდენს ვაგებს შენსა თავსედ გარდაუვლია!..
ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულა და წამებულა,
ეკლიანს გზასედ შენებრ სწვასა რომელს უვლია?



፳፻፲፱



በገብርኤል ገብርኤል

ገብርኤል ገብርኤል ገብርኤል



ገብርኤል

ገብርኤል ገብርኤል

საქართველოს ოცსაუკუნოვანი ეკლესია

ოც საუკუნეს ითვლის ქართული ეკლესია. IV საუკუნის დასაწყისში გახდა ქრისტეს მცნება ქართული სახელმწიფოს ოფიციალური იდეოლოგია და ამ დღიდან ქართველისათვის ქრისტიანობა ქართველობის სინონიმად გადაიქცა. ოცი საუკუნიდან თხუთმეტი საქართველოს ეკლესიამ კავკასიას მოძალებული მტრებისაგან ქრისტეს სჯულის დაცვას შესწირა. როდესაც სპარსეთის იმპერიაზე დაყრდნობით ბიზანტიის პოლიტიკური გავლენიდან გამოსვლას ყოველი ღონით ცდილობდნენ კოპტები, სირიელები, სომხები და აღმოსავლეთის სხვა ხალხები, საქართველო თავისი ეკლესიითა და მრევლით ერთგული დარჩა მართლმადიდებლური მრწამსისა. მას სპარსეთის იმპერიის გულის მოსაგებად არც ნესტორიანობა აურჩევია, არც იაკობიტობა, არც ივლიანიტობა და არც სხვა რომელიმე სექტა. იმ დღიდან, რაც ქართული ეკლესია დიდი თეოლოგიური პოლემიკის მონაწილე შეიქნა, მაშინაც კი, როდესაც მსოფლიო საპატრიარქოებს ერეტიკოსები უდგებოდნენ სათავეში, იგი შეურყეველ ბურჯად ედგა ქალკედონის კრების დადგენილებებს. კავკასიის მთაში, იქ, სადაც ველარ წყლებოდა კონსტანტინეპოლის, რომის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქთა მისია, საქართველოს ეკლესიამ მიიტანა ქრისტეს ჯვარი და სახარება. ამ განსაკუთრებულმა როლმა, კავკასიასა და აღმოსავლეთში მართლმადიდებლობისათვის ბრძოლაში, ქართულ ეკლესიას გაუჩინა კანონიერი სიამაყის გრძნობა და კანონიერივე პრეტენზია — მისი ერთგულებისა და რწმენისათვის დაღვრილი სისხლი საკადრისად დაფასდეს მსოფლიო ეკლესიის თვალში.

მაგრამ ქართული ეკლესიის სიამაყის წყარო მხოლოდ ერთგულება და თავგანწირვა არ არის. მას თავი მოაქვს იმითაც, რომ ეკუთვნის იმ მცირე ქვეყანათა რიცხვს, რომლებშიც მოციქულებს უქადაგნიათ. ქართულ ეკლესიას ღრმად სწამდა და სწამს, რომ იგი დამყარებულია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრილ ქვეყანაში, რომლის მისია აღასრულა ანდრია პირველწოდებულმა. ასეთი რწმენა შეიძლება დაიბადოს მხოლოდ იმ ხალხსა და ეკლესიაში, რომელსაც გავლილი აქვს დიდი გზა—ღირსი სამოციქულოს სახელის ტარებისა და აქვს ძალა აწმყოშიც შეუბღალავად ატაროს ეს საპატიო ტვირთი. საქართველო XI—XII საუკუნეებისა, ერთიანი და ძლიერი, მდიდარი და გონიერი, ერთადერთი საყრდენი ქრისტიანობისა მთელ აღმოსავლეთში, თვითონაც თვლიდა თავს ღირსად ჰყოლოდა სამოციქულო ეკლესია. ამას კარგად გრძნობდნენ მუსულმანთაგან და (პარადოქსია, მაგრამ), ჯვაროსანთაგან არა ნაკლებ შეწუხებული აღმოსავლეთის პატრიარქები.

V საუკუნიდან საბოლოოდ გაფორმდა ქართული ეკლესიის სტრუქტურა ცხრახარისხოვანი სისტემით, რომელშიც ყველა პატივის საეკლესიო მსახური იყო წარმოდგენილი. თუ აქამდე მას მთავარეპისკოპოსი განაგებდა, ამიერიდან სათავეში ჩაუდგა მწყემსმთავარი, რომელიც დღემდე ატარებს კათოლიკოსის სახელს, რომელიც აღმოსავლეთის ავტოკეფალური ეკლესიებისათვის პატრიარქისა და პაპის სინონიმია და, რომელსაც ზოგჯერ ალექსანდრიის პატრიარქიც ატარებდა.

VII საუკუნის დამდეგს ქართლის კათოლიკოსის სამწყსოში უკვე 35 საეპისკოპოსოა და ყველგან, მათი დაარსების პირველი



დღიდანვე, მღვდელთმსახურება ქართულ ენაზე სრულდება. 13 ასურელი მამის მოღვაწეობის შედეგად ქვეყანა დაფარულია მონასტერთა მთელი ქსელით. ზედაზენზე, შიო მღვიმეში, დავით გარეჯში, წილკანსა და სხვაგან საერთაშორისო ავტორიტეტის წინამძღვრები მოღვაწეობენ.

ასეთი სტრუქტურის მქონე და ასეთ მსახურთა მყოფ ეკლესიას უკვე თავისუფლად შეუძლია ყველა ხარისხის არჩევნები და ხელდასხმა დამოუკიდებლად შეასრულოს. ხოლო როდესაც ჯერ ირანის, შემდეგ კი არაბთა ექსპანსიამ მას მთლიანად მოსწყვეტს საქრისტიანო მსოფლიოს, ისღა დარჩენია, რომ თავისი სრულყოფილი წყობა კანონიერი მწყემსმთავრის ასარჩევად გამოიყენოს.

ანტიქრისტიანულ და მონოფიზიტურ გარემოცვაში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაური თანდათან იმტკიცებდა ამ უფლებებს (მაგ. მირონის კურთხევა), რომლებიც მას რეალურად უკვე ჰქონდა და რომელთა გარეშეც იგი უბრალოდ, ვერ შეძლებდა არსებობასაც კი. ამიერიდან საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს უკვე ჰქონდა ყველა პატივი, რაც უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი ეკლესიის მეთაურს. ქართული ეკლესია ადრიდანვე მარტო დარჩა განსაცდელის წინაშე, მსოფლიო ეკლესიების მხარის დაჭერის გარეშე და ერთადერთი გზა — შეენარჩუნებინა თავისი სამწყსო, სრულ და უპირობო ავტოკეფალიაზე გადიოდა.

როდესაც საქართველომ გაუგონარი ძალების დაძაბვით შეძლო გაერთიანებულიყო და ამ ერთიანობისათვის ბრძოლის ავანგარდში ეკლესია ჩადგა, როდესაც საქართველო აღმოსავლეთში წშიდა ადგილებისათვის მეზობელ ერთადერთ რეალურ ძალად იქცა, მისი ეკლესიის კათოლიკოსმა უფლება მიიღო თავისი ტიტულატურისათვის სამოციქულო და ავტოკეფალური ეკლესიის უმთავრესი ტიტული შეემატებინა. XI საუკუნიდან იგი ატარებს ყოველი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წოდებას, ხოლო XIII საუკუნეში ხუთი მსოფლიო პატრიარქის შემდეგ „მეექვსე პატრიარქად და ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველომსა კათოლიკოს-პატრიარქად“ იწოდება.

მაშინდელ ქრისტიანულ სამყაროს კადნიერებად არ მოსჩვენებია საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის ასეთი ამალგება და ანტიოქიის პატრიარქმა XI საუკუნეში მეორედ აღიარა მისი დამოუკიდებლობა.

ფეოდალური საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში, ეკლესია თავიდანვე სახელმწიფოს გვერდით დადგა. პერიფერიებისაკენ დაძრულ სამეფო მხედრობას ჯვრითა და სახარებით ხელში წინ უძღოდა მოციქულთა სწორი ნინო. ქართული სახარების გატანა განაპირა პერიფერიებში უმნიშვნელოვანესი ფაქტორი აღმოჩნდა საკუთარი კერპების მლოცავი ტომების სულიერად გასათავისუფლებლად, მთისა და ბარის დასახლოებლად, „ყოვლისა ქართლისა“ შესაკრებად.

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ კიდევ უფრო მჭიდროდ შეკრა ამიერკავკასიის ქვეყნები (ქართლი, სომხეთი და ალბანეთი). კავკასიაში თანდათან ჩამოყალიბდა „ქართული ქრისტიანობა“ — ქართულ ენასთან ერთად ის აუცილებელი ნიშანი, რომლითაც ქართველი თავს უცხო „ნათესავისაგან“ გამოარჩევდა. ქვეყნის მეთაურთა მრწამსი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკასაც გამოხატავდა და ქართული საზოგადოებრივი აზრი პროგრესულად მიიჩნეოდა იმ მეფეს, რომელიც იყო „კაცი მორწმუნე და მხედარი შემმართველი“.

VII საუკუნის დამდეგს ხელახლა იწყო „ნელად-რე შეკრება“ უმეფობის ხანაში დაშლილმა გორგასალიანმა „ყოველმა ქართლმა“ და ამ დიდი ეროვნული მისიის ერთ-ერთი მოთავე ქართლის კათოლიკოსი აღმოჩნდა. მისმა მიზანდასახულმა და გონივრულმა პოლი-



ტიკამ შესაძლებელი გახადა ქართლის სამეფოსათვის გვიან დაბრუნებული ჭრელი მოსახლეობის პროვინციათა (გუგარეთი) მღვდელმსახურებაში ქართული ენა დაემკვიდრებინა. დაიწყო ეროვნული კონსოლიდაციის ის პროცესი, რომელსაც არაბთა მძლავრობისაგან კიდევ ორი საუკუნით ეწერა შეფერხება.

როდესაც არაბებისაგან დაჩეხილმა ქვეყანამ ოდნავ სული მოითქვა და კვლავ ჯიუტად შეუდგა გაერთიანებას, ეკლესია იყო ის ორგანიზაცია, რომელმაც საგანგებოდ იზრუნა და პირველმა მოიპოვა ამ ერთიანობისათვის აუცილებელი პლატფორმა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცუაჲ ყოველი აღესრულების“ (გიორგი მერჩულე). ეს იყო ლოზუნგი, რომლის მიხედვითაც ერთიანი სახელმწიფო ენითა და ერთიანი სახელმწიფო ინსტიტუტებით უნდა გაერთიანებულიყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქართული სამეფოები. როდესაც ასეთი ერთიანობა უკვე ჩამოყალიბდა, ქართულმა ეკლესიამ ისევ პირველმა მოსძებნა მისთვის უზუსტესი სახელი—„საქართველო“ და სამუდამო საზრუნველად დაუტოვა შთამომავლობას „ენაჲ შექმული და კურთხეული სახელითა უფლისათა“ (იოანე-ზოსიმე), როგორც სიმბოლო „ყოველისა საქართველოჲსა“ (რუის-ურბნისის ძეგლის-დება).

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი ეროვნული ინსტიტუტი გახდა, მისი დამახასიათებელი არასოდეს არ ყოფილა შეუწყნარებლობა მის ტერიტორიაზე მოსახლლე სხვა რელიგიისა და ნაციის წარმომადგენელთა მიმართ. პირიქით, ქართული ეკლესია თავიდანვე იქცა უცხო ტომის ქრისტიანთა ნავსაყუდელად. უფრო მეტიც, ქართულმა ეკლესიამ ქრისტეს რჯულზე მოაქცია არაერთი ხმლით მოსული დამპყრობელი. თხუთმეტი საუკუნის მანძილზე ქრისტიანობისათვის განწირულ ეროვნულ წამებულთ შორის, ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავიათ: სომეხ შუშანიკს, სპარს რაჟდენსა და ევსტათის, არაბ აბოს და სხვა მათ თანამომძეგებს. ესეც ქართული ეკლესიის ერთი დიდი დამსახურებაა ქრისტიანული სამყაროს წინაშე.

წმიდანი წუთისოფლის დატოვებით არ ამთავრებდა „სააქაო ცხოვრებასა და მოქალაქეობას“. სიკვდილის შემდეგ უკვე „მოქალაქეობას“ იწყებდა — „ღმრთივპატივცემულნი იგი ძუალნი სანატრელისა მის მოწამისანი“ და ყველაფერი, რაც მის ცხოვრებასა და მარტვილობასთან იყო დაკავშირებული. ეროვნულ წმიდანთა და მათ მიერ მოხდენილ სასწაულთა სიმრავლე ერთი დიდი არგუმენტი იყო საქართველოს ეკლესიისათვის, ვერ ავტოკეფალიის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად, ხოლო შემდეგ უმაღლესი საერთაშორისო ავტორიტეტისათვის საბრძოლველად. მიუხედავად ქართული აგიოგრაფიის არაჩვეულებრივი ნაყოფიერებისა, საქართველოში საეკლესიო და სამონასტრო ცხოვრება იმდენად ინტენსიური იყო, ხოლო ქვეყნისათვის თავგანწირვა იმდენად ხშირი, რომ იგი ყველაფრის აღწერას ვერ ასწრებდა: „ხოლო ღმერთმან ესევეითარითა კეთილთა არცაღა ქუეყანა ესე ჩუენი დააკლო, არამედ უფროჲსღა გარდაჰმატა უხუებითა, წყალობითა თჳსთა მოვლინებითა წმიდათა დიდებულთა მამათაჲთა... და მრავალთა ნიშთა და საკუირველებათა მიერ განთქმულ ყვნა იგინი ღმერთმან. რომელნი უკუეთუმცა ბერძენთა შორის ქმნილ იყუნეს, ძლითმცა აღსარიცხუელი წერილი შეექმნა“ (ბასილი ვაჩეს ძე).

მაგრამ სიცოცხლის შეწირვა არ იყო ერთადერთი წყარო საქართველოს ეკლესიის სიმტკიცისა, მან მსოფლიო ქრისტიანულ აზროვნებასა და მწერლობას მისცა ისეთი მოღვაწენი, როგორნიც იყვნენ პეტრე იბერი, გრიგოლ ხანძთელი, ეფრემ მცირე, ექვთიმე



და გიორგი მთაწმიდელები, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, ანტონ დიდი და სხვ; გელათისა და იყალთოს აკადემიები, ასობით მონასტრები საქართველოს ყველა კუთხეში ზრდიდნენ ქართული კულტურის თავდადებულ მსახურთ. ქართული მონასტრებით მოიფინა მთელი აღმოსავლეთი. იერუსალიმის, სინას, ათონის, შავი მთის, პეტრიწონისა და სხვა კულტურულ კერებს საერთო ქრისტიანული სამყაროსათვის ჰქონდათ მნიშვნელობა და არა მარტო ლოკალურად საქართველოსთვის. გაიღო კულტურული ხიდეები საქართველოსა და განათლებულ მსოფლიოს შორის. ბერძნული, ლათინური, სირიული, არაბული და სომხური ენებიდან ქართულად ითარგმნებოდა მოწინავე ქრისტიანული აზრი და ქართულიდან ამავე ენებზე გადადიოდა ქართული საეკლესიო მწერლობის ძეგლები. ქართველი მოღვაწენი ქართულად და ბერძნულად წერდნენ, თარგმნიდნენ. მსოფლიოს საქრისტიანოს აზრს და პრაქტიკას ქართული ეკლესია თავის სინამდვილეს უფარდებდა, ეროვნულ მწერლობად აყალიბებდა, ქმნიდა საკუთარ წელთაღრიცხვას, საკუთარ კალენდარ-ტიპიკონებს, ჰიმნოგრაფიას, აგიოგრაფიას, ბიბლიოლოგიას, მონაწილეობდა პოლემიკაში.

ეს იყო დიდი ეროვნულ-განმანათლებლური პროგრამა, რომლის განხორციელებასაც ქართული ეკლესია და მონასტერი უშეღავათო თავგანწირვით ეძლეოდა. „მთელი მონასტერი ღამღამობით წყვედადიით იყო ზოლმე მოცული, ღამის მყუდროება და სიჩუმე სუფევდა მონასტერში. ოდენ კანდელის მკრთალი ნათელი აქა-იქ სენაკებში მოწობდა, რომ ამ მონასტერში ჩუმი, მაგრამ დაუღალავი, მშობელი ეკლესიისათვის თავგანწირული გონებრივი მუშაობა მიმდინარეობდა. აქ მოღვაწეობდნენ სამშობლოსადმი ღრმა და გულწრფელი სიყვარულით აღფრთოვანებულნი საქართველოს მნათობნი, გამოჩენილი მეცნიერები, ბერები... დიადი იყო ის ნაყოფი, რომელიც ამ გულის სიღრმითგან მომჩქეფარე გრძნობამ სამშობლოს შესძინა...“ (ივ. ჯავახიშვილი).

ოცი საუკუნის მანძილზე ქართველმა ერმა თვითმყოფადი და ბრწყინვალე საკულტო არქიტექტურა, მონუმენტური ფერწერა, ლითონზე და ქვაზე ქანდაკება და წიგნის კულტურა შესძინა მსოფლიო საგანძურს. ეს იყო არა მარტო ერის თანდაყოლილი მხატვრული გემოვნებისა და მდიდარი უძველესი ტრადიციების ნაყოფი, არამედ, აგრეთვე, მსოფლიო ქრისტიანული ფილოსოფიური ნააზრევის ზიარებისა და საკულტო სიმბოლიკაში ღრმა წვდომის შედეგი.

ასეთმა სიმაღლეებმა მისცა საშუალება ქართულ ეკლესიას (როდესაც ბიზანტიის იმპერია შეირყა და საქართველოს სახელმწიფომ აღმოსავლეთში ქრისტიანობის ბურჯის როლი იკისრა) თავისუფლად და თანასწორად ამოსდგომოდა მხარში კონსტანტინეპოლის ეკლესიას. ის, რომ საქართველო ვერ გაუმკლავდა მონღოლთა, თემურლენგის, შაჰ-აბასისა და ალა-მაჰმად-ხანის ურდოებს, მთელი საქრისტიანო აღმოსავლეთის ტრაგედია იყო და არა მარტო ამ პატარა, გაუტეხელი ქვეყნისა.

დღეს საქართველოს ეკლესიის შინაური თუ საერთაშორისო ავტორიტეტი იზრდება. ქართულმა ეკლესიამ უნდა დაიკავოს კუთვნილი ადგილი მსოფლიოს მართლმადიდებლურ ეკლესიათა შორის, რომელიც მას ოცსაუკუნოვანმა ისტორიამ მოუტანა; ამაში მას სჭირდება აღმოსავლეთის საპატრიარქოთა თანადგომა ისევე, როგორც ქართული ეკლესია ედგა მათ გვერდში ხმლით, ჯვრითა და წიგნით ხელში ისტორიის გზაჯვარედინებზე.



მცხეთა. ჯვარის მონასტერი. VI ს.




ტიმოთეს უბანი. XIII ს. ანგელოზის გამოსახულება სამხრეთ-
აღმოსავლეთ აფრიდან



შცხეთის ჯვარი. გამოსახულება ტაძრის აბსიდისპირა პილასტრზე, VI ს.

**ძღვეა ჯვართა დუთივ დაცულსა ერსა ჩვენსა შონიჭე
და საფარველსა ქვეშე შისსა დაიცევ!**



საქართველოს ეკლესია ეკუმენური მოძრაობის თანამედროვე ეტაპზე

მიტროპოლიტი ნიკოლოზი (მახარაძე)
საგარეო განუოფილების თავმჯდომარე

დღეს, როცა ადამიანებს შორის მნიშვნელოვანი სულიერი განცალკევება სუფევს, როცა მსოფლიო კატასტროფული, ყოვლისგამანადგურებელი ომის მუქარის ქვეშ იმყოფება, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მორწმუნეთა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს აღმსარებელთა ერთობას.

„რამათა ყოველნი ერთ იყუნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო, და მე შენდამი, რამათა იგინიცა ჩუენ შორის ერთ იყუნენ...“ (იოანე 17. 21), ასე მიმართავს გეთსამანიის ბაღში მამა ღმერთს იესო ქრისტე და შესთხოვს მას, რომ მოწაფენი მისნი „რამათა იყუნენ ერთ, ვითარცა ჩუენ ერთ ვართ“.

უთუოდ კეთილმოსაგონარია დრო, როდესაც ქრისტიანული სამყარო ერთ მთლიან სხეულს წარმოადგენდა და არ იყო დაყოფილი ეკლესიებად და ჯგუფებად. ერთია ქრისტე და ერთი იყო გზაც მისი აღიარებისა. ერთად ვიყავით ქრისტიანნი მთელი ქვეყნისა და აღვაჯენდით ლოცვებს ღვთის მიმართ ერთი ბაგითა და ერთი გულით. მაგრამ გაიარა საუკუნეებმა და... დაირღვა სანუკვარი ერთობა ამ დიდი აზრისა.

ყველა ქრისტიანი აღიარებს თავს იესო ქრისტეს მოწაფედ, მაგრამ აღიქვამს მას სხვადასხვანაირად, მიჰყვება სხვადასხვა გზას... დაიყო, დაცალკევა ერთიანი სხეული ჩვენი სალოცავისა, რასაც ძალზე არასასურველი შედეგები მოჰყვა. ამიტომაც კვლავ გადაუდებელ მოთხოვნისადაა იქცა ქრისტიანთა ერთიანობის აღდგენა და გათლიანება. ამ ერთიანობისა და მთლიანობისაკენ მოუწოდებდა კაცობრიობას თვით უფალი ჩვენი.

ძალა მხოლოდ ერთობაშია, ერთობაშია სიყვარული... ეს კი საფუძველია მშვიდობიანი ცხოვრებისა. ერთად აღვლენილ ლოცვაშია ჩაქსოვილი დაუსრუტელი სიყვარული ღვთისა, სათნოება და მოკრძალება მისდამი.

„ერთ არს უფალი, ერთ სარწმუნოებად, ერთ ნათლისღებად“ (ეფ. 4. 4–5).

„რამეთუ რაოდენთა ქრისტეს მიმართ ნათელ-იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ... რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ-ხართ ქრისტე იესოჲს მიერ (გალ. 3. 27–28)“. სულიწმიდა, გარდამოსული მორწმუნეთა ზედა, აღმავსებელი და მამოძრავებელი მთელი ეკლესიისა, ახორციელებს ამ საოცარ კავშირს მორწმუნეთა შორის და მათ ყველას ისე მჭიდროდ აერთიანებს ქრისტეში, რომ სწორედ იგი ითვლება ქრისტიანობის ერთიანობის საწყისად. იგი არის ფუძე ყველა სიკეთისა და მსახურებისა. იგი ამდიდრებს იესო ქრისტეს ეკლესიას სხვადასხვა მოწოდებებით: „დასამტკიცებ-

ლად წმიდათა, საქმედ მსახურებისა, აღსამენებელად გუამისა ქრისტესისა“ (ეფ. 4. 12).

რადგან დღეს მსოფლიოს მრავალ კუთხეში სულიწმიდის მფარველობის ქვეშ ყველა საშუალება — იქნება ეს ლოცვა, სიტყვა თუ საქმე, მიმართულია იმ ერთიანობის მისაღწევად, რომელიც სურს იესო ქრისტეს, ყველა ქრისტიანის ვაღია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ეკუმენურ მოძრაობაში. ამ ცნებაში კი (ეკუმენიზმი) იგულისხმება ყველა წამოწყება, რომელიც ეკლესიის საჭიროებისა და დროის მოთხოვნის კავშირში წარმოიშობა და მიმართულია ეკლესიის ერთიანობისაკენ.

XX საუკუნის დასაწყისში ჩასახული ეკუმენური მოძრაობა თავის მიზნად სწორედ ეკლესიების გაერთიანებას ისახავს. თვით სიტყვა „ეკუმენა“ (ან „ეკუმენა“, „ოიკუმენა“) ნიშნავს „სახლს, საცხოვრებელს“. ხოლო თავის თავდაპირველ, ძირითად მნიშვნელობაში აღნიშნავს „დასახლებულ სამყაროს, მთელ დასახლებულ დედამიწას“. მათეს სახარების ტექსტში სიტყვა „ეკუმენა“ სწორედ „სამყაროს, ამ ქვეყანას, ამ სოფელს“ აღნიშნავს... „და იქადაგოს სახარებად ესე სასუფეველისაჲ ყოველსა სოფელსა საწამებელად ყოველთა წარმართთა...“ (მათე. 24. 14).

IV საუკუნის პირველი ნახევრიდან „ეკუმენა“ აღნიშნავს „მსოფლიო ეკლესიას“. „ეკუმენურად“ იწოდება მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებაც.

თანამედროვე გაგებით სიტყვა „ეკუმენური“ განსაზღვრება კი 1937 წელს ჩამოყალიბდა ოქსფორდის კონფერენციაზე. ტერმინი „ეკუმენური“ ეკლესიის ერთობას გამოხატავს, ეკლესიის ცნობიერება და საქმე ეკუმენურია... იგი მიმართულია ერთიანი, წმიდა ეკლესიისაკენ, იმ ქრისტიანების ძმობისაკენ, რომლებიც ერთ უფალს აღიარებენ.

მართლმადიდებლობის მისწრაფება ძველი ეკლესიის ყოვლისმომცველი ტრადიციებისაკენ სულაც არ წარმოადგენს აზროვნებისა და შეხედულებების შეზღუდულობას... ეს არის სურვილი — შეურყვნელად შემოინახოს და დაიცავს ის ღვთიკურთხეული ჭეშმარიტებანი, რომელნიც დღემდე სწორედ მართლმადიდებელი ეკლესიის აღმსარებლებმა შეინარჩუნეს; ჭეშმარიტებანი, რომელნიც ყოველ მორწმუნე ქრისტიანს გადარჩენის მტკიცე რწმენით ავსებს.

საქართველოს უძველესი ეკლესიაც ქრისტეს ერთიანი სხეულის შემადგენელი ნაწილია. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ თავისი სულიერი მრწამსითა და ბუნებით

იგი მუდამ იყო ეკუმენური. ამას ადასტურებს იესო ქრისტეს რწმენისათვის მთელი მისი ოცსაუკუნოვანი ჯვარცმით აღსავსე მოწამებრივი ისტორია. ამ ხნის მანძილზე, არა ქრისტიანული სამყაროს უმძაფრეს გარემოცვაში, იგი ურყევად ინარჩუნებდა ჩვენი მაცხოვრის წმიდათა წმიდა რწმენას და მის შენარჩუნებაში მთელი ქართველი ერის სულიერ და ფიზიკურ გადარჩენას ხედავდა.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიას არასოდეს უღალატნია ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის. იგი თავის სამშვიდობო მოღვაწეობაში მუდამ ეყრდნობოდა და ეყრდნობა მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებებსა და წმიდა მამათა ცხოვრებას. იგი დღესაც მოითხოვს, რომ ქრისტიანული ერთობის საფუძველი სწორედ ამ კრებათა დადგენილებანი და წმიდა მამათა სწავლებანი იყოს. იგი მუდამ სამეგობროდ ხელგაწვდილი და მზადმყოფი იყო ყოველთა მიმართ. ქართველი ერი ჭეშმარიტად ქრისტიანულია. ამაზე დასაბუთებელი მთელი მისი ისტორია. ის უამრავი ცადადმართული უწმიდესი სალოცავეები, რომელნიც უხვდაა მთელ საქართველოში და რომელთა არქიტექტურა, ფრესკული მხატვრობა და ჩუქურთმის ჰარმონია მუდამ აოცებს მნახველის თვალს...

ქართველმა ერმა კარგად იცის, რომ ქრისტიანობამ უდიდესი როლი შეასრულა მის გადარჩენაში. მან კარგად იცის, ქრისტიანთა ერთობის ფასიც... ამიტომ დღეს, როცა ასე მწვავედ დაისმის ამ ერთობის საკითხი, ჩვენ აღვაგვიანებ მხურვალე ლოცვას მისი ჭეშმარიტი განხორციელებისათვის.

ჩვენი ეკლესია და მისი მამამთავარი, უწმიდესი და უნეტარესი, მსოფლიო საეკლესიო საბჭოს პრეზიდენტი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამედროვე ეკუმენურ მოძრაობას, მხარს უჭერს მას და ცდილობს თავისი გარკვეული წვლილი შეიტანოს მის გაღრმავებასა და გაძლიერებაში, რათა ახალი მეგობრული კონტაქტები დაამყაროს მოძმე ეკლესიებთან. უწმიდესი ილია II თავად ბრძანდება თანამედროვე ეკუმენური მოძრაობის ფუძემდებელი საქართველოში. იგი მისი ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელია მთელ მსოფლიოში. წლების მანძილზე მონაწილეობს საერთაშორისო საეკლესიო თათბირებისა და კონგრესების მუშაობაში და მაღალი ტრიბუნადან ქრისტიანებს ერთობის, მშვიდობისა და ძმობისაკენ მოუწოდებს.

მართლმადიდებელი ეკლესიები დღეს გარდაუვალ ეკუმენურ ეტაპზე დგანან. ეს, როგორც სამეცნიერო ღვთისმეტყველების, ისე სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთან პრაქტიკული ურთიერთდამოკიდებულების მთელი რიგი საკითხებით გამოიხატება.

ჩვენი ეკლესია ეკუმენურ თანამშრომლობას ეწევა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიებთან...

მისი დევიზია — ქრისტიანული, ძმური სიყვარული. თანდათან უფრო ფართოვდება და მეტ შინაარსს იძენს ჩვენი ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნების ეკლესიებთან. ბევრ ეკლესიასთან შორეულ საუკუნეებში საქართველოს ეკლესიას მჭიდრო შემოქმედებითი, ურთიერთსიყვარულით სავსე კონტაქტები ჰქონდა, რომელიც

ჟამთა ვითარებაში შენედა... ამჟამად ეს კონტაქტები ან უკვე აღდგენილია, ან საამისო პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა... (მაგ. ვატიკანთან — რომის კათოლიკურ ეკლესიასთან და სხვ.). ამის დამადასტურებელია, თუნდაც, 1977 წელს მონსინიორ ვირვოლის ჩამოსვლა კათოლიკოს-პატრიარქ დავით V დაკრძალვაზე. ასევე ორი ვიზიტი ვატიკანში ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოს ნიკოლოზისა (მახარაძე), პაპის იოანე-პავლე I დაკრძალვასა და ახლადარჩეული პაპის იოანე-პავლე II კორონაციაზე, რასაც ფართოდ გამოეხმაურა დასავლეთის პრესა. დიდად მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, კარდინალ იოანე ვილბრანდის ვიზიტი საქართველოში (ვატიკანიდან). დაბოლოს, ამ ეკლესიებს შორის ურთიერთობის აღდგენის გვირგვინად იქცა უწმიდესი ილია II შეხვედრა რომის პაპ იოანე-პავლე II 1980 წლის მაისში, ვატიკანში. რომის პაპმა ამ შეხვედრის დროს განსაკუთრებით აღნიშნა ჩვენი პატრიარქის დიდი ღვაწლი ეკუმენურ მოძრაობაში და იგი ძვირფასი ჯვარით დააჯილდოვა. სასიხარულოა, რომ ეს კონტაქტები უფრო და უფრო შინაარსიანი ხდება. ჩვენ საშუალება გვეძლევა ვატიკანის უნიკალურ ბიბლიოთეკაში მოვიძიოთ ქართული ხელნაწერები, გადავიღოთ მათი ფოტოკოპიები... ამ საქმეში, საქართველოდან წარგზავნილთა გარდა, თვით იქაური საეკლესიო პირებიც იღებენ მონაწილეობას... რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ. ჩვენ ასევე მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რომის კათოლიკური ეკლესიის სამწყსოსთან...

მრავალსაუკუნოვანი, მჭიდრო კონტაქტები აკავშირებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სომეხ გრიგორიანებთან, როგორც აქ, საქართველოში, ასევე სასომხეთის ეკლესიასთან. ეს ურთიერთობა ჩვენს ეკლესიებს შორის დღევანდელ ეტაპზე უაღრესად მეგობრული და ანგარიშგასაწევი...

დიდად მნიშვნელოვანია ჩვენი ურთიერთობა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა ბოლო წლებში. თავისი ტრადიციული ბედის გამო, საქართველო საუკუნეების მანძილზე მუდამ იმედის თვალთ შეჰყურებდა ერთმორწმუნე რუსეთს... სწორედ სარწმუნოებამ დააკავშირა იგი ამ ქვეყანასთან. მართლმადიდებლობა იყო ის მთავარი ამოსავალი, რისთვისაც ქართველი მეფეები თავიანთი, ოდესღაც დიდი და ძლიერი, მათ დროს კი დაუძღურებული ქვეყნის, მისი ქრისტიანული სულის გადარჩენად, რუსეთისაკენ მიიღებოდნენ. რთული იყო ეს გზა... წინააღმდეგობებითა და ტკივილებით სავსე... მაგრამ გარდაუვალი... დღეს რუსეთისა და საქართველოს ეკლესიები არსებობს, როგორც ერთი ძმური ოჯახი.

საქართველოს ეკლესია მონაწილეობს მსოფლიო ეკლესიათა თითქმის ყველა კონფერენციასა და შეკრებაზე. ასევე, მსოფლიოს თითქმის ყველა ეკლესიის წარმომადგენლები ჩამოდიან საქართველოში... თანდათან მტკიცდება მეგობრული ურთიერთობები, მრთელდება წარსულის ჩაწყვეტილი ფესვები, ჩნდება ახალი, იზრდება თვალსაწიერი, ფართოვდება პორიზონტი. საქართველოს ეკლესია

თავისი მამამთავრის მეთაურობით განუხრებლად მიისწრაფვის ამ ერთობისა და მეგობრობისაკენ.

ქართული ეკლესია ისწრაფვის ახლო კავშირი იქონიოს კონსტანტინეპოლის ეკლესიასთან — მსოფლიო პატრიარქთან. საამისოდ სათანადო ნაბიჯები უკვე გადაიდგა. 1979 წელს ამ მიზნით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II მეთაურობით, კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა ჩვენი ეკლესიის დელეგაცია.

დიდად მნიშვნელოვანი იყო ქალკედონის მიტროპოლიტის მაღალყოვლადუსამღვდელოეს მელიტონის ვიზიტი საქართველოში. ამ ვიზიტის დროს მიტროპოლიტი მელიტონი მიიღო კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II და საქმიანი საუბარი ჰქონდა მასთან.

უკანასკნელ ხანებში ანგლიკანური ეკლესია ცდილობს, ახლო კავშირი დაამყაროს მართლმადიდებელ და, განსაკუთრებით, ქართულ ეკლესიასთან. მისასალმებელია ინგლისის პრემიის არქიეპისკოპოს ღონაღდ კოგანის მღვდენის და საერთაშორისო დეპარტამენტის თავმჯდომარის კანონიკ მაიმელ მურის ვიზიტი საქართველოში, რომელიც 1977 წლის ოქტომბერში მოეწყო, ამ ბოლო წლებში მრავალი დელეგაცია ეწვია საქართველოს ეკლესიას ინგლისიდან... ასევე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს საპატრიარქოს ქორეპისკოპოსის, მთავარეპისკოპოს კონსტანტინეს ვიზიტი ინგლისში ანგლიკანური ეკლესიის საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

ჩვენ გულწრფელად მივესალმებით აშშ-ისა და საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიების დაახლოებასა და კონტაქტების დამყარებას. ორივე ეკლესიისათვის უსათუოდ მნიშვნელოვანი ფაქტი იყო ნიუ-იორკისა და სრულიად კანადის მიტროპოლიტის მაღალყოვლადუსამღვდელოეს თეოდოსის ვიზიტი 1978 წლის ოქტომბრის თვეში.

თანამედროვე ეტაპზე ეკუმენური მოძრაობის წინაშე მთელი რიგი დოკუმენტური და კანონიკური ხასიათის საკითხები დგას, რომლებიც დეტალურ შესწავლას მოითხოვენ. ეკლესიათა მსოფლიო საბჭო ისწრაფვის, უფრო ახლო კავშირი ჰქონდეს საბჭოს წევრ ეკლესიებთან. ამ მიზნით საქართველოს ეკლესიას 1977 წლის ნოემბერში ეწვია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს „საეკლესიო წყობისა და რწმენის“ დეპარტამენტის თავმჯდომარე დოქტორი ლუკას ფიშერი.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, როგორც ჩვენს მკითხველს მოეხსენება, არის ეკლესიათა თანამეგობრობა, რომელიც აღიარებს ჩვენს უფალს იესო ქრისტეს ღმერთად და მხსნელად.

მისი მთავარი და საბოლოო მიზანი კი არის არა მარტო ეკლესიათა გაერთიანება, არამედ (დღესდღეობით) ისეთი აქტუალური პრობლემისადმი სიყვარულითა და ჭეშმარიტებით მსახურება, როგორიცაა მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება.

ჩვენი ეკლესია მსოფლიო საეკლესიო საბჭოს წევრია 1962 წლიდან. საქართველოს ეკლესიის უთუოდ დიდი დამსახურებაა მსოფლიო საეკლესიო საბჭოს ერთ-ერთ პრეზიდენტად მისი საჭეთმპყრობლის, უწმიდეს ილია II არჩევა. ეს მოხდა 1979 წლის 1-13 იანვარს იამაიკის ლედაქალაქ კინგსტონში. ცხადია, ამ დი-

დადმნიშვნელოვანმა ფაქტმა კიდევ უფრო ფართო სარბიელზე გაიყვანა იგი. განმტკიცდა და გაიზარდა მისდამი ინტერესი... მსოფლიო საეკლესიო საბჭოს პრეზიდენტს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II მის შემდგომ ხშირად უხდება მსოფლიოს ეკუმენურ ცენტრში — შვეიცარიის ქალაქ ვენევაში საბჭოს სხდომებსა და თათბირებზე მონაწილეობის მიღება.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ: 1979 წლის ნოემბერში თბილისში მოეწყო ქრისტიანული სამშვიდობო კონფერენციის საერთაშორისო საკითხების კომისიის სხდომა, რომლის დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: „ჩვენი წუთისოფელი, მისი პრობლემები და იმედები ქრისტიანული თვალსაზრისით“.

1980 წლის მაისში კი იერუსალიმისა და პალესტინის პატრიარქის ბენედიქტე I-ის მიწვევით, უწმიდეს ილია II მეთაურობით იერუსალიმს ეწვია საქართველოს ეკლესიის დელეგაცია. ამ ვიზიტს ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა... საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ მოილოცა მსოფლიო ქრისტიანობის უდიდესი სიწმიდენი, ასევე ქართველთა მიერ აშენებული ცნობილი ჯვარის მონასტერი და ყველა ის ადგილი, სადაც ოდესღაც ჩვენი დიდი წინაპრები მოღვაწეობდნენ.

ძნელია ყველა იმ ურთიერთობის თუნდაც ასეთი სქემატური ჩამოთვლა, რომელიც საქართველოს ეკლესიამ ბოლო წლებში მსოფლიოს სხვადასხვა ეკლესიებთან დამყარა, ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანსა და საინტერესოს ვახსენებთ.

1980 წლის სექტემბერში თბილისში ჩამოვიდა ევროპის ეკლესიათა კონფერენციის გენერალური მდივანი დოქტორი გლენ ვილიამსი, მისი საუბრის თემა იყო: „ეკლესიათა ურთიერთკავშირი და მსოფლიოს ეკლესიათა ერთ ეკლესიად გაერთიანება“.

გვინდა აღვნიშნოთ ბულგარეთის პატრიარქ მაქსიმეს მიწვევით ილია II ვიზიტი ბულგარეთში, შემდეგ კი პატრიარქ მაქსიმეს ჩამოსვლა თბილისში.

იზრდება მსოფლიოს საპატრიარქოთა ინტერესი ქართული ეკლესიისადმი. ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის უძველესი ქრისტიანული ტრადიციები, მისი მრავალსაუკუნოვანი, მოწამებრივი ცხოვრება და ღვაწლი სულ უფრო მეტი ყურადღების ცენტრში ექცევა. ამას ისევე და ისევე ადასტურებს საზღვარგარეთის პრესაში გამოქვეყნებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი სტატიები, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს პრეზიდენტის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II სახელზე მოსული წერილები, თვით მისი მოღვაწეობა მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, უცხოეთის სახელმწიფოებიდან ჩამოსული მთელი რიგი დელეგაციები, ამ ბოლო პერიოდში საზღვარგარეთის ცნობილ საეკლესიო და სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან მეგობრული მიწერ-მოწერა და სხვა მრავალი...

1981 წელს ამ ინტერესის კიდევ ერთი მჭკვერმეტყველური დადასტურება იყო სამი დიდი პატრიარქის ვიზიტი საქართველოში. თბილისში ჩამოვიდნენ ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი — უნეტარესი ნიკოლოზ VI, წმიდისა ქალაქისა იერუსალიმისა და

სრულიად პალესტინის პატრიარქი — უნეტარესი დიოდოროსი და დიდისა ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქი — უნეტარესი ეგნატე. ცხადია, ამ ვიზიტებს ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.


გასული წლის გაზაფხულზე მოსკოვში ჩატარდა მსოფლიო კონფერენცია თემაზე — „რელიგიის მოღვაწენი ბირთვული კატასტროფისაგან სიცოცხლის წმიდანობათის გადასარჩენად“.

90 სახელმწიფოს სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები შეიკრიბნენ საბჭოთა კავშირის დედაქალაქში, რათა გამოეძებნათ, შეესწავლათ ის გზები და საშუალებები, რომლებიც მსოფლიოს რელიგიის მსახურთა

წვლილს ნაყოფიერსა და შედეგიანს გახდიდა ბირთვული ომის საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლაში.

კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეკლესიამ.

ქართული სამოციქულო ეკლესია თავის მოღვაწეობაში ეყრდნობა მსოფლიო ეკლესიათა კრებების დადგენილებებსა და კანონებს და მომავალშიც, რჩება რა უცვლელად მათი ერთგული, მათი დაცვითა და შენარჩუნებით, ეცდება კიდევ მეტად გააღრმავოს ძველი კავშირი და თანამშრომლობა სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთან, ემსახუროს ხალხთა მშვიდობის, კეთილდღეობისა და ბედნიერების დიდ საქმეს.



ქუთაისი. ბაგრატიონ ტაძარი რესტავრაციამდე, XI ს.



მცხეთა — სვეტიცხოველი. დიდგორობა



სიონი. იოანე ნათლისმცემლის
დღესასწაული. წყალკურთხევა



ჯვართამაღლება



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II



სიონი, კრისტეშობის დღესასწაული



ვიყუარებოდეთ ურთიერთს..

ბედი ქართლისა

მწყემსო კეთილო, შენს წმიდას სამწყსოს
შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს!
გულთამხილავო, შენ უწყვი, რაც დღეს
საქართველოსა ჭირნი მოადგეს!
მრავალ არიან, უფალო მტერნი
და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი!
გვესწრაფე ჩვენო ხელთ აღმპყრობელო,
და აღადგინე დღეს საქართველო.

მრავალთ ყმაწვილთ — კაცთ, ნუგეშთა ქართლის,
დასდევს აქ თავი მამულისათვის!
აწ საფლავიცა არსად ჩანს მათთვის,
ჰაერში განქრა მათი სახელი
და არსად ჟამთა მოწამე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა;
მაგრამ, ჰოი, გმირნო, ნუ შეშფოთდებით,
თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილიშვილოდ გარდაეცემის.

აწ განთქმულია რუსთა სახელი,
ხელწიფე უვისთ ბრძენი და ქველი,
დიდი ხანია, გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი, — სარწმუნოება, —
მას მინდა მივცე მემკვიდრეობა,
და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა!“

იცო, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?

სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არარას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს.
ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს.
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი:
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა?
მაშინ, მეფეო, რავდენთ კაცთ მართალთ
მოუკლან გულნი ტანჯვათ იღუმალთ!
მაშინ ირაკლის სახსენებელი
ვინდა ახსენოს, აწ საქებელი?
ნუ, ხელმწიფეო, მას ნუ ინებებ;
შენგან კი მაგას ნუ გაგვაგონებ,
და მერმე ქართლი ვინც ვერ განაგოს,
მაშინ მან უწყის, რაც მოაგვაროს,
ხოლო ირაკლი ვიდრე ჰყავთ ქართველთ,
უბედურებაც ბედნიერ აქენდეთ!
„ჩემო სოლომონ“, მეფემ უბრძანა,
მე ეგ ყოველი არ ვიცი განა?
მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის
რა მოვაგვარო უმჯობეს ამის?
მე არა ვფიქრობ ვითარცა მეფე,
თვისს დიდებისთვის სისხლთა აღმჩქეფე:
არამედ ვითა მამა კეთილი,
რომელსა სურს, რომ თავისი შვილი
თვის სიცოცხლეშივ დაასახლკაროს.
ძნელ არს ცხოვრება სამეფოსი, როს
უჭვრეტდეს იგი ომსა დღე-ღლითი!
აი, ხომ ნახე აწ მაგალითი,
რა ქმნა ამ ერთმა დამარცხებამან.


ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა.

რათა ერთობით აღვიარებდეთ

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი
მიძღვნილი მასალები


მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავს წინ,
გპირო მხცოვანო,
და ცრემლთ დავანთხევ შენს სახელზე, მეფევე
ხმოვანო!
ახ, რად არ ძალუმს განცოცხლება წმიდას
აჩრდილსა,
რომ გარდმოხედო ახალს ქართლსა, შენს
პირმშოს შვილსა!
თაყვანს ვცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად
თქმულს!
გახსოვს სიკვდილის ჟამს რომ უთხარ ქართლს
დაობლებულს?
აჰა აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი,
და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა, აწ შენი
ძენი.

ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი



პ. პოტიომკინის, გ. კავკაიძისა და ი. მუხრანბატონის ხელმოწერები
ტრაქტატზე.





მოსკოვი. დონის მონასტერი. XVII ს.

ნარსულის ქეგლები

მოსკოვში, რუსეთის ისტორიასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სხვადასხვა ადგილას რუსეთ-საქართველოს კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობის აღმნიშვნელი მრავალი ძეგლია განლაგებული.

სამწუხაროდ, ამ ძეგლების შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. ჩვენც, თანამედროვე ადამიანები, ხშირად ჩავეუღოთ გვერდს და აზრადაც არ მოგვდის, წარსულის რა საყურადღებო ფურცლებია მათთან დაკავშირებული.

XV საუკუნე... ტახტზე ავიდა მოსკოვის დიდი მთავარი ივანე II. მოსკოვს ჩაეიდნენ ერთმორწმუნე საქართველოს პირველი ელჩები. ეს მოხდა 1491 წელს. მათ დიდ მთავარს მიართვეს კახეთის მეფის ალექსანდრე I სიგელი.

ბიზანტიის დაცემის შემდეგ ქრისტიანული საქართველო მართლმართლ დარჩა მუსულმანური აღმოსავლეთის პირისპირ. მისი ერთადერთი სულიერად მახლობელი ქვეყანა იყო მოსკოვი.

„უბრწყინვალესო ხელმწიფეო, — წერდა სიგელში კახეთის მეფე, — შორეული ქვეყნიდან აზრით ახლობელი უმრწემესი ძმა შენი ალექსანდრე თაყვანსა გცემუ.“

ჩვენ აქ, ივერიის მიწაზე ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ. ეს პირდაპირ გულისხმობდა იმ საშინელ სინამდვილესა და განსაკუთრებით, მომავალ უბედურებას, რაც მოაყენეს და კვლავ უქაღდნენ საქართველოს მისი დაუძინებელი მტრები — თურქები და სპარსელები.

ალექსანდრე I თხოვდა ივანე II დახმარებას და ძმურ კავშირს.

1491 წელი უნდა ჩაითვალოს საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი კავშირის, უწყვეტი მეგობრობის დასაწყისად.

რუსი და ქართველი მეფეები უგზავნიდნენ ერთმანეთს ელჩებს. ისტორიამ შემოგვინახა ქართველ ელჩთა სახელები და მათი მოლაპარაკების წერილმანები ივანე მრისხანესთან, ბორის გოდუნოვთან, თედორე ივანეს ძესთან. საქართველო დაჟინებით ეძიებდა კავშირს რუსეთთან.

ამავე ხანებში ათონის ივერიის მონასტრიდან, რომელიც საქართველოს კულტურის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა და ცნობილი იყო მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში, ერთმორწმუნე რუსეთში ივერიის დეიკონების ხატის პირველსავე ჩაიტანეს. ამ უდიდეს სიწმინდეს რა პატივისცემით ეპყრობოდნენ რუსი მლოცველები.

* იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით

სწორედ მაშინ, მეფე ალექსი მიხეილის ძემ ცნობილი ნიკოლსკის მონასტერი ქართველებს საშვილიშვილოდ უბოძა.

მონასტერი იმავეთვე ქართული კოლონიის კულტურული და რელიგიური ცენტრი გახდა.

მოსკოვის ნიკოლსკის მონასტერი რუსეთში ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პირველი პანთეონია. მის საძვალეში დაკრძალულია ქართული კოლონიის უფროსი თაობის წარმომადგენლები მიტროპოლიტ ეპიფანესა და მეფე ქაიხოსროს მეუღლე — დედოფალ ეკატერინედან მოყოლებული.

ამ საძვალედან საფლავის ქვები შემდგომ დონის მონასტრის პანთეონში გადაიტანეს.

ეს იყო ქართული კოლონიის უფროსი თაობა. როდის შეიქმნა იგი და რატომ?

საქართველოდან რუსეთში მიმავალი ძველი გზა ხანგრძლივი და ძნელი იყო. ელჩები ამ მანძილს დაძლევის ორი-სამი თვე უნდებოდნენ. გზა მიდიოდა დარიალის ხეობით, ქალაქ თერგზე, შემდგომ ასტრახანზე და ზემოთ, ვოლგით ყაზანსა და ნიჟნი ნოვგოროდისკენ, იქიდან ვლადიმირით და სუზდალით — სტახტო ქალაქში... 1653 წელს ამ გზით დედისთან, დედოფალ ელენესთან ერთად წავიდა უფლისწული ერეკლე — თეიმურაზ პირველის შვილიშვილი, შვილთაშვილი ქეთევან წამებულისა... მთელ გზაზე მას უჩვეულო პატივით ხვდებოდნენ. ნიჟნი ნოვგოროდში უფლისწულის შესახვედრად გამოგზავნეს თავადი პროზოროვსკი ამალით. მოსკოვში, ტვერის კარიბჭესთან მათ შეეგებნენ ჭეფის სხვა ახლობლები, ქალაქის შესასვლელში — მრავალრიცხოვანი ხალხი, მოხეტეები და მოსკოველი აზნაურობა.

მეფე ალექსი მიხეილის ძემ ქართველი უფლისწულის პატივსაცემად, კრემლის წახნაგებიან დარბაზში დიდი წვეულება გამართა. საზეიმო სადილზე ერეკლე ალექსი მეფის მხარმარცხნივ იჯდა, სრულიად რუსეთის პატრიარქი ნიკონი — მარჯვენა მხარეს. ყველაფერი ეს 1654 წლის 1 იანვარს მოხდა.

დედოფალმა მარიამმა უფლისწულის დედა კრემლის ოქროს დარბაზში მიიღო, დედოფლის პატივსაცემად ძალზე მდიდრული წვეულება გამართეს. დედაც და შვილიც უმაღლესი მეფური პატივით მიიღეს.

შემდეგ უფლისწული ერეკლე თან ახლავს მეფეს მოსკოვის ახლოს, ზვენიგოროდში, საბა სასწაულომოქმედის მონასტერში (ახლანდელი საბა სტოროჟევის მონასტერი). ეს იყო ალექსი მიხეილის ძის საყვარელი სამლოცველო ადგილი. სწორედ იმ წელს მონასტერი ხელახლა იქნა შეკეთებული. იგი ახლაც ანკვეთვებს მნა-

ხვეს დიდებულებითა და დასრულებული არქიტექტურული ფორმებით. მეფე ალექსი და ერეკლე დაათვალიერეს ახალი ქვის კედლები და ტაძრები, სთვალთვალონ კოშკი, მოხატული სატრაპეზო და სასახლე, აგრეთვე, სამრეკლო და დედოფლის პალატები. უფლისწულს ხშირად იწვევდნენ საილზე პატრიარქ ნიკონთან მის რეზიდენციაში. ფაქტობრივად ნიკონი მართავდა ქვეყანას ალექსი მიხეილის ძის ლაშქარბაში ყოფნისას.

იმავე (1654) წელს ალექსი მიხეილის ძე ილაშქრებს პოლონეთის მეფის იან კაზიმირის წინააღმდეგ. ერეკლე თან ახლავს მეფეს. ლაშქარს წინ უძღვის ღვთისმშობლის დიდად საპატიო ქართული ხატი. იგი შემდგომშიც გამოაქვთ ჭარბის წინაშე ყოველი ბრძოლის წინ.

ღვთისმეტყველების ლოქტორმა არქიმანდრიტმა სერგიმ, მის მიერ გამოცემულ გამოკვლევაში: „ივერიის წმიდა და სასწაულომოქმედი ღვთისმშობლის ხატი ათონში და მისი სახეობა რუსეთში“ (მოსკოვი, 1879 წ.), მის მიერ შეკრებილი ისტორიული მონაცემების საფუძველზე დაამტკიცა, რომ ნოვოდევიჩის მონასტერში დაცულია პირველსახე ათონის ივერიის ხატისა, გამოგზავნილი ივერიელი არქიმანდრიტის მიერ.

ეს ხატი მოსკოვში ცარგადიდან ჩამოიტანეს 1654 წლის 15 მაისს. იგი თან დაქონდა მეფე ალექსი მიხეილის ძეს ვიანაში, პოლონელების წინააღმდეგ ბრძოლაში. მანამდე კი კრემლის მიძინების ტაძარში ესვენა. იგი ნოვოდევიჩის მონასტრიდან პეტრეს დამ სოფიომ მონაზვნად აღკვეცისას თან წაიღო. ხატი ახლაც ნოვოდევიჩის მონასტრის სოფიოს დარბაზში ასვენია.

უფლისწული იმ დროს მხოლოდ თერთმეტი წლისა იყო. იგი ხშირად იყო ნიკოლსკის მონასტერში ქართველ ეპისკოპოს ეპიფანესთან, სადაც სწავლობდა ღვთისმეტყველებას და ლიტერატურას.

მაღე ალექსი მიხეილის ძემ მეორედ იქორწინა. ხელმწიფის ქორწილში უფროსი საქორწინო ჩინი ერეკლეს ეჭირა. იყო სიძის საპატიო მამა, განაგებდა საქორწინო წეს-ჩვეულებებს.

წელწიდანახევრის შემდეგ დედოფალს ვაჟი შეეძინა — პეტრე, რუსეთის მომავალი იმპერატორი, მილოცვების ცერემონიაზე უფლისწული მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა.

ერეკლემ მოსკოვში 21 წელი გაატარა. მისი რუსეთში ყოფნა დამთხვავა რუსეთის ისტორიის ერთ უშესანიშნავეს მონაკვეთს. ეს არ იყო შვიდი დროება, თუმცა ალექსის „უწყინარს“ უწოდებდნენ. ზოიართა დემა უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. რუსეთში მკვიდრდებოდა სასტიკი თვითმპყრობლობა. სახელმწიფოს საზღვრები ფართოვდებოდა. სამღვდლოება გამჭვინავრებული იბრძოდა. პატრიარქ ნიკონის გასამართლებამო მონაწილეობდა ქართველი არქიმანდრიტიც.

მაღე ერეკლე კახეთის მეფე გახდა. ბევრი მისი თანმხლები პირი მოსკოვში დარჩა, მათ შორის დედაც, დედოფალი ელენე. ისინი ცხოვრობდნენ თავად ლვოვის (რომელსაც ცოლად ქართველი ქალი ჰყავდა) სახლში, ილინის კარიბჭესთან.

1684 წელს მოსკოვში ჩავიდნენ სხვა უფლისწულები — ალექსანდრე და მამუკა არჩილის ძენი და მათთან ერთად 70 ქართველი. უფლისწული ალექსანდრე მონაწილეობდა პეტრეს სამხედრო თამაშობებში. პეტრემ აირჩია იგი თავის ამხანაგად, რასაკვირველია, არა მეფური შთამომავლობის გამო (ცნობილია, რომ პეტრე შთამომავლობას ყურადღებას არ აქცევდა), არამედ სიმამაცისა და სამხედრო ისტატობისათვის.

უფლისწული ალექსანდრე მომავალში რუსეთის არტილერიის პირველი სარდალი, ბრძოლებში გაცხოველებულ მონაწილეობას იღებდა, არ სცილდებოდა პეტრეს. მეფეს იგი ძალზე უყვარდა. ალექსანდრეს მამა, მეფე არჩილი ასტრახანიდან მოსკოვს ჩავიდა. მოსკოვში მისი ყოველი დღე საქმითა და საზრუნავით იყო აღსავსე. იგი მივიდა ნიკოლსკის მონასტრის სტამბაში, რათა გაეგო ასოებისა და დაზგების ფასი (მას სურდა მოსკოვში ქართულ ენაზე წიგნების ბეჭდვის ორგანიზება).

მჭიდრო იყო კავშირი რუსულ და ქართულ ეკლესიებს შორის. პატრიარქი იოაკიმ და კათოლიკოსი ნიკოლოზი ხშირ-ხშირად უგზავნიდნენ ერთმანეთს ეპისტოლეებს. არქიმანდრიტი ლავრენტო არჩილის სახელით მოლაპარაკებას აწარმოებდა პატრიარქთან.

1686 წელს იან სობესკიმ (პოლონელმა) ომი გამოუცხადა თურქეთს. მას შეუერთდა მოსკოვი და ვენეციის რესპუბლიკა. მეფე არჩილმა გადაწყვიტა, დამპყრობელთაგან საქართველოს გათავისუფლების დრო დადგო. დაიწყო მზადება სოლაშქროდ. იაუზის შესართავთან მეფისათვის ამზადებდნენ ხომალდებს. ნავმისადგომთან მოზიდეს საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა.

საზეიმო გაცილებების შემდეგ არჩილმა წამოიყვანა თავისი ვაჟები და გამოემგზავრა საქართველოში.

უფლისწულები ალექსანდრე და მამუკა მაღე დაბრუნდნენ მოსკოვში.

მოსკოვში გარდაიცვალა არჩილის ვაჟი მამუკა. ყველაზე უმცროსი დავითი უფრო ადრე გარდაიცვალა. ორთავე ნოვოდევიჩის მონასტერში დასაფლავეს.

1695 წლის 2 ოქტომბერს მოსკოვში დიდმა ხანძარმა იფეთქა. ცეცხლი გეორგიევსკის მონასტერს და გვერდით, უფლისწულ ალექსანდრეს სახლსაც მოედო.

ამ დროს თავად უფლისწული მოსკოვში არ გახლდათ. საქართველოს გათავისუფლების ხელახალი ცდა მარცხით დამთავრდა და მეფე არჩილი მოსკოვს დაბრუნდა.

აქ არჩილმა საშინელი ამბავი შეიტყო: ერთადერთი შვილის, ტახტის მემკვიდრის ტყვედ ჩავარდა. მან ისიც არ იცოდა თავადაც რომ აღარ ეწერა საქართველოს ნახვა, რომ სამუდამოდ დატოვა სამშობლო.

პეტრემ მამინე დაიწყო შევლებთან მოლაპარაკება ტყვეების გაცემის თაობაზე. არჩილს ალექსანდრეს გამოსყიდვა ორი-სამი თვის საქმე ეგონა. მაგრამ გავიდა ერთი წელი, მეორე, მესამე და ნათელი გახდა — ალექსანდრეს ტყვეობიდან გამოხსნა უფრო ძნელი საქმე იყო, ვიდრე სხვა რომელიმე რუსი გენერლისა. მას ტყვეობაში სხვაზე უფრო მაკარად ექცეოდნენ. ეპყრობოდნენ როგორც პატიმარს, აშიშვლებდნენ.

რა იყო ამის მიზეზი? ალექსანდრეს მაღალი სამხედრო წოდება თუ მისი შესაძლო გამეფება საქართველოს ტახტზე?

პეტრე ყველა პირობაზე თანახმა იყო, ოღონდ გამოეხსნა უფლისწული, მაგრამ შევლები სულ ახალ და ახალ მოთხოვნებს უყენებდნენ. ბოლოს მათ მოთხოვეს მხოლოდ ალექსანდრეს გამოსასყიდად ათი კასრი (ტონა) ოქრო. პეტრე საბოლოო პასუხს არ იძლეოდა. ასეთ გამოსასყიდს რუსეთის ხაზინის გაკოტრება შეეძლო. ალექსანდრემ თვითვე თქვა უარი. „არა მხოლოდ სიტყვით, ფიქრადაც კი არ მოგესვლია — წერდა იგი პეტრეს — სამშობლოსათვის რაიმე ზიანი მიგეყენებია. ამისათვის ვართ მოწოდებულნი, ვითმინოთ და დავიხოცოთ ხელმწიფისა და მამულის ინტერესებისათვის“.

ალექსანდრეს საქციელს ტყვეობაში დიდად აფასებდნენ მოსკოვში, პეტრე როგორც შეეძლო, ანუგეშებდა ხანშიშესულ არჩილს, ხშირად დადიოდა მასთან სახლში, მეგობრობდა დედოფალ ქეთევანსა და მეფის ასულ დარეჯანთან.

მთუხედავად ყოველივესი, არჩილს არ შეუცვლია დღის რეჟიმი. დილაადრიან მიუჭლებოდა სამუშაოს. პეტრე ნაწარმოებების გარდა, ორჯერ ხანძარში რომ დაეწვა, იგი ბაგრატ სოლოლაშვილთან ერთად, ქართულ სასულიერო წიგნებს ამზადებდა დასაბეჭდად და ქართულ ენაზე ბერძნული „ქრონოგრაფიდან“ თარგმნიდა მოთხრობებს.

იგი ცდილობდა ქართული წიგნების ბეჭდვა, როგორმე, მოსკოვში მოეგვარებინა, მაგრამ ხან შრიფტი არ ყოფნიდათ, ხან ხელოსნები. 1703 წელს ეს კეთილშობილური საქმე პეტრეს წყალობით ადგილიდან დაიძრა.

მეფე არჩილმა ჩუქურა საფუძველი წიგნის ბეჭდვის საქმეს მოსკოვში. სტამბა დონის მონასტერში იყო მოთავსებული.

ქართული წიგნების ბეჭდვა დაიწყო. გახარებული არჩილი სწერდა პეტრეს: „ჩემს მწუხარე გულს დიდად ესალუბუნება ეს საქმე. ამ ამბავმა სევდის ალი დამიძებრო“.

1591 წელს ყირიმის ხანი ყაზი-გირეი ურიცხვი ურდოთი მოულოდნელად დაესხა თავს მოსკოვს. მეფე თედორე ივანეს ძეს და ვეფოდა ზორის გოდუნოვს მცირერიცხოვანი ჭარბი მოუხდათ მათთან შებრძოლება. ბრძოლის წინ გოდუნოვმა მეტროპოლისის წინაშე გამოიტანა დონის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ჭერ კიდევ

დომიტრი ღონელს დაჰქონდა თათართა წინააღმდეგ ლაშქრობებში და როგორც დროში, ისე მონაწილეობდა 1380 წელს უკრაინის ბრძოლაში. ხატი იმ დროიდან ითვლებოდა ქობაგად და მფარველად.

მოსკოველებმა გაიმარჯვეს. ხანი გაიქცა. ბრძოლის ადგილზე მეფემ ღონის ღეთისშობლის ხატის პატრიარქად ააშენა ტაძარი და დააარსა მონასტერი.

მეორე მეფემ, თედორე ალექსის ძემ, XVII საუკუნეში გააფართოვა იგი.

ღონის ღეთისშობლის ხატი თან ახლდა ივანე მრისხანეს ყაზანის სამეფოს დამხობისას. სხვათა შორის, ყაზანის აღების წინ წარმოთქმულ სიტყვაში ივანე მრისხანემ გაისენა დედოფალი დინარა. „ამბავი დედოფალ დინარასი“ (თამარისა) იმ დროს ძალზე პოპულარული იყო.

მონასტერი თანდათან იხვეჭს სახელს. XVII საუკუნეში იგი უკვე შესამე მონასტრად ითვლება ჩუდოვისა და სიმონოვის მონასტრების შემდეგ.

რამდენად დიდი უნდა ყოფილიყო მამინ საქართველოს მნიშვნელობა და გავლენა მოსკოვში და როგორი ძლიერი რუსულ-ქართული ურთიერთობა, რომ ასეთი დიდებული წარსულის მონასტერი მეფე არჩილს გადასცემოდა მოსკოვის ქართული კოლონიის სასარგებლოდ და გასამტკიცებლად.

1705 წელს მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა არქიმანდრიტი ლავრენტი იმერეტინსკი. მანამდე ლავრენტი იყო მოსკოვის ზლატოუსტის მონასტრის იღუმენი.

მის დროს მოთავდა დიდი ტაძრის მშენებლობა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა პეტრე დიდის დის — მეფის ასულ ეკატერინეს მიერ.

მოსკოვს არ ყოფნიდა მუშახელი. ოსტატებს ყოველი ქვეყნიდან იწვევდნენ, ქვის სამუშაოების მკოდნეები განსაკუთრებულ აღრიცხვაზე აყვადებდნენ. ქვის შენობების აგება ნებადართული იყო მხოლოდ მეფის განკარგულებით.

პეტრემ მისცა მონასტრის გარშემო კედლის აგების ნება, რადგან მონასტრის სახედრო მნიშვნელობაც ჰქონდა. ლავრენტიმ ექვსი წლის განმავლობაში დაასრულა ძირითადი სამშენებლო სამუშაოები. აღიშართა უზარმაზარი აგურის სათოფურიანი კედლები, მონასტრის გალავანი შეიკრა კუთხეებში დატანებული მაღალი მრგვალი კოშკებით, მონასტერმა მიიღო პირველი კლასის სამხედრო სიმაგრის მრისხანე სახე.

მშენებლობას დიდად უწყობდა ხელს მეფე არჩილი. ის და მისი ოჯახი, განსაკუთრებით დარეჯანი, ყველა სამონასტრო საქმეების მონაწილე იყვნენ.

ლავრენტიმ უმოკლეს დროში ააშენა ტიხვინის საყდარში ქვის კიბეები, ცხურიანი ფანჯრები, სენაკები, სარდაფი, სამზარეულო, ბუჩახის სახლი, საყინულე (ხისაგან), ქვის დამხარე სათავსოები, პურის საცხობი და სამიო სამზარეულო, ორი საცხორებელი პალატი, სამი ქვის სენაკი და სხვ.

საყდარი დედოფალ დარეჯანის მიერ შეწირული 353 ცალი რკინის ფილით იყო მოგებული.

ღონის მონასტერი გახდა რელიგიური და პოლიტიკური ცენტრი იმ ქართველთათვის, მოსკოვში თავისი მეორე სამშობლო რომ მოიპოვეს. ქართული კოლონია, რომელიც ჩაისახა ერეკლე დავითის ძის დროს, საგრძნობლად გაიზარდა. მოსკოვში დამკვიდრდა ოცამდე თავადიშვილი, აგრეთვე 150-მდე მსახური და დაბალი სასულიერო წოდების პირი. მათი სახელები და გვარები, ძალზე დამახინჯებულნი, ხშირად მოიხსენიება სხვადასხვა რუსულ სახელმწიფოებრივ სასულიერო და სასამართლო საბუთებში.

ალექსანდრე ისევ ტყვეობაში იყო.

პოლტავასთან გამარჯვების შემდეგ კვლავ ჩაესახათ მისი მალე გათავისუფლების იმედი. ლავრენტიმ დიდ ტაძარში საზეიმო პარაკლისი გადაიხადა. მას ესწრებოდნენ მეფე არჩილი, დედოფალი ქეთევანი, დარეჯანი, თავადები და ქართველი მეფის ახლობლები.

პეტრეს შედეგზე გამარჯვების აღსანიშნავად არჩილმა სამი ლექსი დაწერა. მაგრამ გვიდა კიდევ სამი მოქანცველი წელი. 1710 წლის პირველ ივლისს პეტრე პირველი ალექსანდრეს სწერდა:

„ღმერთთა მოწყამე, რომ თქვენ გამო ყოველგვარ ღონეს ვიხ-

მართ“, პეტრე ულოცავდა ალექსანდრეს ვიბორგისა და რიგის აღების და არწმუნებდა: „როგორც აქამომდე, ისევე ახლაც, თქვენი გათავისუფლებისათვის ცდა არ დაეკლებოთ“.

დაბოლოს, ტყვეებმა აღარ დაუცადეს გაცელას. ხელთ იგდეს შვედების გემი, გამოიქცნენ ბოტნიის კუნძულოვანი ნაპირებიდან და ჩამოვიდნენ რეველში.

სამშობლოში დაბრუნებულ ორმოცდათხუთ რუს მეომარს შორის იყო იმერელი მღვდელი, უფლისწულ ალექსანდრეს მოძღვარი. მხოლოდ იგი გადმოვიდა ნაპირზე თავდახრილი, ღონემიხილი და ავადმყოფმა უფლისწულმა ალექსანდრემ ვეღარ გაუძლო ხანგრძლივ ტყვეობას და პიტეოს კუნძულზე დალია სული.

„ეგი ჩვენ უბედურ თავს, — წერდა არჩილი პეტრეს, — უღვთო სიკვდილმა მოგტაცა ჩემი ვაჟი, იქნებ მისი ძელები მინც გადმოგვეტანა მოსკოვში“.

პეტრემ ყველაფერი გააკეთა უფლისწულის ნეშტის მოსკოვში გადმოსასვენებლად.

ღონის მონასტრის დიდი ტაძრის საკურთხეველის ქვეშ არჩილმა ააშენა მირქმის საყდარი, სადაც დაკრძალეს უფლისწული. იქვე ქმრის გვერდით დასაფლავებულია მისი პირველი მეუღლე ფეოლონია, აგრეთვე ძმები — დავითი და მამუკა, რომელთა ნეშტი გადმოსვენეს ნოვოდევიჩის მონასტრიდან. თავადაც და მისმა ქალიშვილმა დარეჯანამაც აქ ჰპოვეს საუკუნო საფანი. ამიერიდან ღონის მონასტრის ეს საყდარი გახდა XVIII საუკუნის ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეების ყველაზე დიდი სამკაული.

ღონის მონასტერში დაკრძალულთა მხოლოდ უბრალო ჩამოთვლაც კი საშარისა რუსთა და ქართველთა კავშირის მრავალმხრივობისა და მნიშვნელობის წარმოსადგენად.

ჯერ კიდევ არჩილის სიცოცხლეში გახდა ეს მონასტერი მოსკოვის მონასტრებს შორის იერარქიის მიხედვით ყველაზე მნიშვნელოვანი. თანამედროვეთათვის იგი საქართველოს ნაწილად იქცა. აქ ხანგრძლივად ცხოვრობდნენ საქართველოდან ჩამოსული სწავლული მღვდელ-მსახურები. აქ მოდიოდნენ ვახტანგ VI, ბაქარი, ვახუშტი და კათოლიკოსი ანტონ პირველი, რათა არჩილის საფლავისათვის პატივი ეცათ. აქ დასტიროდა მწარედ დედოფალი რუსულადი არჩილს. მისი მოთქმა-გოდება ჩართო თავის პოემაში პოეტმა ფავლენიშვილმა.

პეტრეს საქციელი ხშირად მოულოდნელი იყო, ხანდახან გაუგებარიც. ისტორიკოსები ხშირად გაოგნებულან კიდევ. მეცხრამეტე საუკუნის ერთი მკვლევარი ჩივის: „პეტრე პირველის მისტორიები აქამდე ვერ განმარტეს მიზეზი, რატომ დაიწყო შედეგითან ზაეის დღესასწაული, სახელდობრ, სოფელ ვესესიატსკოეში“. ეს სოფელი ისტორიაში მოიხსენიება 1599 წლიდან.

...მოზიემ პეტრემ დილით ფლოტლია პეტერბურგის ახალი გზაკეცილით მოსკოვისაკენ წაიყვანა.

მეტრო „სოკოლის“ ახლოს მდებარე ვესესიატსკოეს ეკლესია სწორედ ამ ამბებს გვაგონებს. ამ ადგილას, სოფლის ცენტრში იდგა მოქმედებული ხის ეკლესია. მეფის ასულმა დარეჯანმა იმავე ადგილზე თავისი ხარკით ააგო ახალი, რომელიც ქართველმა ოსტეტებმა მოხატეს. ეს ნახატები შემონახულია საკურთხეველსა და სხვა ადგილებში. არსებობს წარწერები ქართულ ენაზე.

ამ ეკლესიასთან შეიქმნა ქართველ მოღვაწეთა შესამე პანთეონი. აქ არის საფლავი გენერალ პ. ი. ბაგრატიონის მამის და (ზოგი წყაროთი) საბა-სულხან ორბელიანის საფლავიც.

მოსკოვში ქართული ეკლესიები იყო, აგრეთვე „ბოლშაია გრუზინსკაია“ რაიონში (წმ. გიორგისა და ციციშვილებისა, ვორონცოვის მიწდობზე, გრუზინსკის შესახვევში... სულ ექვსი ეკლესია).

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის კიდევ ერთი ძველი მდებარეობს იპატევის შესახვევში. ესაა XVII საუკუნის სამების ყოფილი ქართული ეკლესია.

მოსკოვში მძინვარებდა შავი ჭირი, ქალაქს გარს საგუშაგოები შემოარტყეს. ქალაქიდან არავის არ უშვებდნენ. მეფე ალექსი მიხეილის ძემ ბრძანა — კრასნოგორის მონასტრიდან მოეტანათ ღეთისშობლის ქართული სასწაულმოქმედი ხატი. იგი იქ საქართველოდან სპარსელი ღამპარობლების მიერ იყო გატანილი. ამ ხატის პატრიარქივალ ქრანოვორს მონასტერში ააგეს ეკლესია,

რომელმაც სახელი სასწაულომომქმედებით გაითქვა და აი, სასოწარ-კვეთილმა ალექსი მიხეილის ძემ ეპიდემიის შეჩერება ხატის დახმარებით მოინდომა. იქნებ ამით მარცხ დავაშოშინებინა მოსკოველები. ხატი ჩამოასვენეს, მის მიმართ ლოცვა აღავლინეს და ოი, სასწაულო! ჰირი მოულოდნელად შეწყდა. ხატი დასვენეს წმიდა სამების ეკლესიაში. იმ დროიდან ქართულ ღვთისმშობლის ეკლესიად რომ იწოდებოდა. ეპიდემიის შეწყვეტამ განსაკუთრებით გაუთქვა სახელი ხატს. 1658 წელს ალექსი მიხეილის ძისა და პატრიარქ ნიკონის ბრძანებით „მისი სასწაულომომქმედების გამო“ დადგინდნენ ღვთისმშობლის ხატის ყოველწლიური დღესასწაული. ეს იყო — 22 აგვისტო. ამ დღესასწაულს 250 წლის განმავლობაში აღნიშნავდნენ.

სამების ეკლესია სიმონ უშაკოვმა მოხატა. (ახლა იქ მოთავსებულია სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფილიალი).

ქართული ღვთისმშობლის ის ხატი, რომელსაც ლაშქრობებში ალექსი მიხეილის ძე ატარებდა, ესვენა კრემლის მიძინების ტაძარში. ახლა ეს ხატი ნოვოდევჩინის მონასტრის მუზეუმში ინახება. მეორე ხატი დღემდე ასვენია სოკოლნიკების ამაღლების ტაძარში.

კრემლის მთავარანგელოზის ტაძრის არქივებში დედოფალ ელისაბედის მეფობამდე, მეტწილად ქართველები იყვნენ.

სამწუხაროდ, მცირე მოცულობის წერილში შეუძლებელია ყველა ღირსშესანიშნავი ადგილის თაობაზე საუბარი. მთავარი ის არის, რომ მოსკოვის ქართულმა კოლონიამ დიდი როლი ითამაშა რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის გაფართოებაში. უდაოდ დიდად შეუწყო ხელი ორ მომხმე ხალხს შორის მიმავალში დამყარებულ მჭიდრო კავშირს.

ზორის ანდრონიკაშვილი



სულის სამკვიდრო

კაცის სული მის მისწრაფებათა გამოვლინებაში ჰპოვებს ღირსეულ დამტკიცებას. ეს დამტკიცებანი — სამყაროში ნაპოვნ გამოხმაურებათა ძალით აღველინებიან ნათელს სიმაღლეს, დარჩების რაიც ძახილად ისტორიისა, სახედ მამულიშვილურის მისწრაფებისა. ჩვენ დავეძებთ ყოველთა ამათა ნივთიერ მტკიცებებს იმ აკლდამების თაღებს, სვეტებს, ავსიდათა და ლოდთა შორის, რომელნიც ინახავენ აწ გარდასულ და დღეს ნათელყოფილ წყურვილთა ნივთიერ მტკიცებებს.

ისტორიამ იცის თავისი ფასი — პირუთენელობის მარადი დადადისის უნარით შეუძლია თავი გამოიღოს.

ქართველმა კაცმა შესძლო ჯვარის ძლევა მოსილეთისა და გულის შეუვალობის დამტკიცება ქართველებში, როდესაც, შესაძლოა, მრავალი რამ გაღუნულიყო, ოღონდ არა მშობისა და ერთგულების დერძი.

ჩვენ დღეს ვცდილობთ ვსესვიატსკოეს (ყოველადწმიდას), დონის, ნიკოლსკის მონასტრების, წმიდა გიორგის, ტროიცკის (სამების) ეკლესიათა საუფლოში უკვდავყოფილ მშობლიურ სახელთა თაყვანაღწერილობას. ოღონდაც, ობიექტური საფუძვლების თანახმად მაინც უძღურნი ვართ ჩავსწვდეთ იმ სიამ-სიავეთა გორგალს, რომელიც განზღანდულია ასეული წლების რწმენა-სიმტკიცისა და წყურვილ-გაღაღების უთვალავ ძაფ-საწყისში...

— მეგობრობის კეთილმოზილურ ნიადაგს შეუძლია ახაროს სიყვარული ძმისა ძმისადმი! — მითხრა სახელგანთქმულმა იტალიელმა მეცნიერ-დასტაქარმა, რომის სამედიცინო ცენტრის გენერალურმა დირექტორმა, პროფესორმა სავინო ამბროსიო მემომ მოსკოვში, ბოლშაია გრუზინსკაის ქუჩაზე მდებარე მეფდრო სამსართულიანი სახლის დათვალიერებისას, რომელიც დღეს რუსეთ-საქართველოს მეგობრობის ცენტრად ქცეულა. ამ სახლის კრატუნა კედლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადე-

მიის ხალხთა მეგობრობის თბილისის საჩინო მუზეუმის მოსკოვის ერთგვარი ფილიალი მუშაობს, აგრე უკვე ორი წელიწადია, მაგრამ მისი ექსპონატები, მისი არსი, როგორც მოქმედი საისტორიო-საკვლევი ორგანიზაციისა, დიდად სცილდება დროისა და სივრცის ყოველ არსებულ საზომს. ვინ იყვნენ ეს ლეგენდარული „გრუზინები“, რომელთაც მე-17—მე-18 საუკუნეებში რუსეთის გულში ერთგულების ურყევი კოშკები ააგეს, ნდობისა და წრფელი სიყვარულის ზეივნები გაიყვანეს და შეერწყნენ ყოველთა წმიდანთა მიზანშეუპყრობითა და ერწყმობითა ხოლმე ივერიის ღვთისმშობლის ხატის წინაშე აციმციმებულ სანთელთა ნალკენთწვეთები ერთმანეთს!

წვეთი სანთლისა — შუქი ნათლისა — სულის სამკვიდრო!

საქართველოს ხალხთა მეგობრობის მუზეუმის (დირექტორი თეიმურაზ ბაღრატიანი) და მოსკოვის ქართველთა დასახლების მემორიალის (დირექტორი სულხან მადრაძე) ინიციატივით ამა წლის აპრილ-მაისში დაიწყო დონის მონასტრის დიდი გუმბათის ქვეშ მოთავსებულ ქართველ მეფეთა და მათ საგვარეულოთა საქაღალის რემონტი, აღდგენითი და მოკვლევითი სამუშაოები. მოხდება მათი რესტავრაცია პირველყოფილი სახით. როგორც მოგეხსენებათ, ყველაზე პირველად აქ დაიკრძალა ალექსანდრე ბატონიშვილი არჩილის ძე (რუსეთის არტილერიის ეს პირველი გენერალი აქ პეტრე პირველის განკარგულებით დასვენეს), და მას მერე იგი ქართველ სამეფო საგვარეულოს დასაკრძალ ადგილად დაკანონდა. შემდეგ — არჩილ მეფემ გადმოსვენა თავისი ორი შვილი, რომლებიც ნოვოდევჩინზე ჰყავდა დაკრძალული. ამავე დროს, აქ დაიკრძალა თვითონვე — 1713 წელს; აქ განისვენებს დიდი ვახუშტი ბაგრატიონი, გიორგი ბაგრატიონი (ვახტანგის ძე), ბაქარი — ვახტანგ VI შვილი; იქვე — დარეჯან

არჩილის ასული (1740 წელს). აღსდგება მათი სარკოფაგები. მოიკირწყლება იატაკი.

ასევე, დონის მონასტრის შესასვლელში დაიდგება სტელა წარწერით, თუ ქართველ მოღვაწეთაგან ვინ და რატომ არის აქ დასაფლავებული. ასეთივე სტელა დაიდგება ვსესკიატსკოეში — ეკლესიის ტერიტორიაზე, სადაც განისვენებს პეტრე ბაგრატიონის მამა, ციციშვილები; ვახტანგ VI ოჯახთან დაახლოებული და მისი შვილების გამზრდელი გარსევანიშვილი... განსაკუთრებით დიდი კვლევა-ძიებითი სამუშაოები ჩატარდება — სულხან-საბა ორბელიანის წმიდა ნუსხის ადგილსამყოფელის დასადგენად, რომელიც ვარაუდით, სწორედ ამ ყოვლადწმიდა, დიანაც, ერთ დროს სწორედ ამ ნამდვილ ქართულ კულტურულ და რელიგიურ ცენტრში ყოფილა.

ყოველივე ამას გვიხსნის სულხან მალრაძე და დასძენს:

— ჩვენი მუზეუმის თანამშრომლები ჩაბმულნი არიან ამ მოძიებით სამუშაოებში ისეთ მასალებზე, რომლებიც ადასტურებენ ქართველ და რუს ხალხთა მჭიდრო კულტურულ და ეკონომიურ კავშირს მე-17, მე-18 საუკუნეებში. მოძიებულია რამდენიმე ერთობ მნიშვნელოვანი და დღემდე ვერ გამოუქვეყნებელი მასალა; მიმდინარეობს საარქივო დოკუმენტების დამუშავება მძებრის — ალექსანდრე, ნიკოლოზ და კონსტანტინე ბაგრატიონ-იმერეტინსკების ისტორიის თაობაზე. ეს გახლავთ „იმერეტინსკი-ბაგრატიონების ისტორია“... დღიურები ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკისა. მთელი 13 ტომი აქვს დატვირბული... ამჟამად ავიღეთ კიდევ ერთი ღიდი თემა დასამუშავებლად — „ქართველთა კოლონიიდან გამოსული და მოსკოვსა და მთელს რუსეთში მოღვაწე ქართველი ქალები“.

— თანამედროვე ურთიერთობანი? — ვეკითხებით სულხანს.

— ამასთან დაკავშირებით ასეთი გეგმა შევადგინეთ: განსაკუთრებით ვცდილობთ კონტაქტების დამყარებას მეცნიერებისა და კულტურის მოწინავე ადამიანებთან და ვეხმანები ახალ მოვლენებს. ფართოდ გავშალეთ სამუზეუმო მუშაობის კვანძები მოსკოვის პროფილურ დაწესებულებებთან, მეცნიერთა საკავშირო სახლის თანამშრომლებთან, მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმთან, სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმთან, შჩუსევის სახ. არქიტექტურულ მუზეუმთან, ქალაქის სხვადასხვა ორგანიზაციასთან. პრაქტიკულად დავამყარეთ მჭიდრო ურთიერთობანი მოსკოვში მოსწავლე ქართველ სტუდენტ-ახალგაზრდობასა და დედაქალაქის საშუალო სკოლების მოსწავლეებთან (მაგა-

ლითად, კიკვიძის სახელობისა და კრასნოპრესნენსკის 87-ე სკოლებთან)... საჯარო ლექციების მთელი ციკლი ჩავატარეთ მოსკოვის მოწინავე დაწესებულება-ორგანიზაციებში...

მოძიებული მასალები ცხადია, ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვან ფურცლებს შეიცავს ქართული ეკლესიის ისტორიის უვალსაზრისით.

* * *


წიდან ვახსენე მუზეუმის ჭრაჭუნა კედლები. წინაპართა აზრდებები თითქოს ცდილობენ არ დაკარგონ ჩვენთან კონტაქტი და ამგვარ საფხინზე ზმათა გამოცემით ჩვენივე საუბრის სადავები თავიანთი ნაცადი მარჯვენით უპყრიათ. ჩვენ ახლა არა გვაქვს ყველა სახელისა და გვარის, ყველა საგნისა და დოკუმენტის, ყველა ჩვენივე ვარაუდისა და ვერსიის თანმიმდევრობითი გადმოცემის საშუალება. ძნელია მუზეუმზე ლაპარაკი — აუცილებელია მისი ხილვა საკუთარი თვალთ და მისი საკუთარი გულის ენერგიით შეგრძნება. არც ისტორიულ ლაბირინთებში, საქალაქო ახდელ თავლოდებში ტრიალი ჩაითვლება იოლ საქმედ!... რამდენი მამულიშვილი წამოსულა აქეთკენ საქართველოდან და რამდენი ღირსებით აღუვსიათ ეპოქების საწყაული. ჭეშმარიტად დალოცვილი საქმეა იმ წმიდა მასალების მოძიება და გამოზიარება, საქართველოს მიწა-წყლიდან ასე დაშორებით ისე დედა-საქართველოს სადიდებელსა და სახობტოს რომ იტყვიან. შვილის ღირსება — მშობლის ამაგის გამართლებას ნიშნავს, ჩვენი საქმე — ჩვენი რწმენის სიმადლის დამტკიცებას!

სახლ-მემორიალის თანამშრომლებს გადაწყვეტილი აქვთ მოაწონ ქართველთა და რუსთა კულტურული ფოფის ნივთების, ეთნოგრაფიული მასალების ერთობლივი ჩვენება.

ყველა ქართველის მოვალეობად მიგვაჩნია მოსკოვში ჩამოსვლისას უსათუოდ აქ, ბოლშაია გრუზინსკაიაზე მდებარე მყუდრო სახლს ესტუმროს, რომლის კედლებშიც მქუხარე ისტორია ფეთქავს, და ვთხოვთ, შემდეგ, გადახედოს თავის საკუთარ ნაღვაწს, რამეთუ საქართველოს მუდამ ქულზე კაცი ჰყავდა გაჭირვებისას, და არც ლხინის დროს გამოჰპარვია სათვალავში რწმენის წინაშე დანთებული სანთლის თითოეული ნაღვენი.

ზანდლ მადლიშვილი

ქ. მოსკოვი.



VI საუკუნის ქართული კათედრალი თავრიდის ხეჩსონში



სახელგანთქმული იერარქი, მშობლიური ეკლესიის ავტოკეფალიისათვის თავგანწირული, მეცნიერი და ქველმოქმედი — კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II (საქაგლიშვილი, 1855—1918) — საქართველოსა და რუსეთის გარდასულ დღეთა ტრფიალი, მეგობარი და ჩინებული მცოდნე იყო. მისი მოღვაწეობა სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდაა შეფასებული (იხ. ელ. აბრამიშვილი, კირიონის პირადი საარქივო ფონდი, — „მრავალთავი“, 1, 3; გურგენიძე, კირიონ II, „საღვთისმეტყველო კრებული“ (საპატრიარქოში შიდა-მოხმარების წესით გამოცემული, რევიზტონზე, VI, 1981).

წინამდებარე სტატია, რომელიც ავტორის მიერ „ჩანახატად“, ესკიზადა წოდებული, კირიონის ეპისკოპოსობისას, 1911 წლის 2 დეკემბერს, რუსეთს გადასახლებაში ყოფნისას დაუსრულებია (რუს. ენაზე). თავის დროს ეს ესკიზი არ გამოქვეყნებულა. ხელნაწერი კი დაკვლია საქართველოს საისტორიო ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ფ. 1458, საქმე № 5). იგი მოგვაწოდა (სათანადო კომენტარის დართვით) სსენებული არქივის დირექტორმა ბ. ვ. გურგენიძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

ჩანახატი ეხება საქართველოსა და რუსეთის (კერძოდ — უიარიშის, უმთავრესად სკვითებით დასახლებულის) ძველ VI საუკუნისდროინდელ ურთიერთობას — მათ შორის კულტურულ-რელიგი-

ური მეგობრობის ოდინდელ ტრადიციას. გამოთქვამს აზრს, რომ ქ. სიმფეროპოლის არეალში 1897 წელს არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი საკათედრო ტაძარი იმ რეგიონში ქართველთა უძველეს რელიგიურ ცენტრს უნდა წარმოადგენდეს. ასეთივე ვარაუდი შევლევარმა ჭერ კიდევ 1910 წელს გამოქვეყნებულ შრომაში „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“, ასე ჩამოაყალიბა (გვ. 8): ქართველი და რუსი ხალხების ისტორიაში მნიშვნელოვან ფაქტად გვესახება ამ ცოტა ხნის წინ ხერსონში, (კორსუნში) აღმოჩენილი ერთ-ერთი საყდრის ნანგრევები, რომელიც; არქიეპისკოპოს ნიკოლოზის აზრით, არის ნაშთი ქართული მონასტრისა. იგი აშენებულია თავრიდის ნახევარკუნძულზე VI საუკუნეში ქართველ განდევნილ-მისიონერთა მიერ.

თუმცა ხსენებულ ესკიზს ამ მეტად რთული და აქტუალური პრობლემის გარკვევის პრეტენზია არ გააჩნია, იგი საკითხის დასმის, სპეციალისტებს შორის საკვლევაძიებო სტიმულის გაღრმავებისა და, საერთოდ, თემის ისტორია-ბიოლოგიის თვალსაზრისით ერთობ მნიშვნელოვანია. ამიტომაც უთარგმნეთ იგი და გვსურს საზოგადოებას გავაცნოთ უკუპირებით, რაც რამდენადმე ისტორიოგრაფიის თანამედროვე დონემ გვუპარნახა.

* * *

ოდესღაც სიცოცხლით სავსე ხერსონი, რომელსაც რუსულ მატიაწეში კორსუნად იხსენიებენ დიდი ხანია, პოლიტიკური ცხოვრების რომტირალს ჩამოსცილდა, პირისაგან მიწისა აღიგავა. მისი ნანგრევები კი მიწამ, ფერფლამ და ტუქმ დაფარა. მისი სახელი განუყოფელი ნაწილია თავრიდის ისტორიისა. თვალსაჩინო და საშავალითა ამ კოლონიის ბედ-იბბალი, ქრისტეშობამდე, მებუთე საუკუნეში რომ დაარსეს. დაარსების შემდეგ იგი გაიზარდა, დამშენდა და ე. წ. სკვითთა დიდი ქვეყნის სამხრეთი ნაწილის სავაჭრო და სამრეწველო ძალების თავმოყრის ადგილად იქცა. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისშივე ქალაქს ანდრია პირველწოდებულის რუდუნებით სახარების მადლი მოუფინა. პეტრუანელი ეპისკოპოსის იპოლიტეს (დაახლ. 222), ცნობილი ორიგენის (+254 წ.), ტირონელი ეპისკოპოსის წმ. დოროთეს (307—322), სოფრომის (+390 წ.), კვიპროსელი ეპისკოპოსის ეპიფანეს (+463 წ.), ლიონელი არქიეპისკოპოსის ეპეაროსის (+449 წ.), ისიდორე ესპანელისა (570—636) და სხვათა გადმოცემით, ანდრია პირველწოდებული სულწმინდის წინამძღვრობით (საქმ. მოც. XVI, 6—7) შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე და უიარიშში ქადაგებდა სახარებას. განსაკუთრებით ძვირფასია საეკლესიო მწერლისა და პიმნოგრაფის ნიკიფორე პათლაგონელის სიტყვები: „ანდრია მოციქულს ჩრდილოეთი ერგო წილად. მან გულმხურვალედ შემოიარა ივერია, საერთობატია, თავრთა და სკვითთა ქვეყნები; დაიარა ექსინის პონტოს ჩრდილოეთით თუ სამხრეთით მდებარე ყველა ქალაქი.“

ქრისტიანობის კერძოებული მარცვალი ხერსონესის ნოიერ მიწაშიც მოხვდა, ფესვი გაიღდა და მრავალი წამებულისა და მოძღვრის დაღვრალი სისხლის მადლით მომძლავრდა. წამებულთა სისხლი ეკლესიის ძალა, სიმყარე და საფუძველია. თავრიდი მრავალრიცხოვანი წმიდა ადგილებით იყო სახელგანთქმული. ერთ-

ერთი მათგანი ქართველებს ეკუთვნოდა. თავრიდში სხვებთან ერთად ქრისტიანობას ქართველებიც ავრცელებდნენ, რომელთაც აქ დიდებული საკათედრო ტაძარი აღუმართათ. მაგრამ შემდგომ ეს წმიდა ადგილი ქრისტიანობის მტრებმა დაანგრეს და დაწვეს. იგი მიწამ დაფარა და 1897 წლამდე მისი არსებობის ამბავი არავინ იცოდა. მას შემდეგ, რაც საეკლესიო-საისტორიო მეცნიერებაში ცნობები გაჩნდა ბიზანტიაში პეტრიწონის ქართული მონასტრის შესახებ, რომელთანაც, თურმე, საღვთისმეტყველო სასწავლებელიც არსებობდა, ქართული ქრისტიანობის ისტორიას ახალი ფურცლები შეემატა: თავრიდის ხერსონში აღმოაჩინეს ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლი, რომელიც VI საუკუნეს განეკუთვნება. ჩვენ დაწვრილებით შევისწავლეთ ამ ქართული საკათედრო მონასტრის ნანგრევები. გავეცანით გადმოცემებს, აგრეთვე 1897 წელს საიმპერიო-არქეოლოგიური კომისიის მიერ გათხრების შედეგად შეგროვულ ცნობებს და გადაეწვიეთ, რომ ამ წმიდა ადგილისათვის ეს ჩანახატი მიგვეძღვნა.

ესარგებლობთ შემთხვევით და გვსურს შევასწოროთ ის მცირე უხუტობა, რომელიც პეტრიწონის ქართული მონასტრის დაარსების თარიღის განსაზღვრისას დაუშვეს. პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დიდად პტივიცემული პროფესორი ი. სოკოლოვი თავის მშვენიერ ეტრუში მიიჩნევს, რომ გრიგოლ ბაკურიანმა პეტრიწონის მონასტერი 1083 წელს დააარსა. ამასთან, გელათის მონასტერში არსებობს სასულიერო მწილობათა ერთი კრებული, რომელიც 1074 წელს ორ ბერს, არსენ და დავით პეტრიწონელებს გადამუთარგმნათ ბერძნულიდან. ასევე, ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერს — აღაპებს გადაწერისგე ხელით ნიკოლოზ პეტრიწონელის სახელი აქვს მიწერილი. აქედან ცხადია, რომ პეტრიწონის ქართული მონასტერი 1083 წელზე ადრე დაუარსებიათ, გრიგოლ ბაკუ-

რანმა კი მხოლოდ წესდება დაუდგინა, ანდა დადგინა და გაზარდა იგი, უზარმაზარი მამულები უბოძა, რომლებიც ეგეოსის ზღვის სანაპიროებამდე ვრცელდებოდა.

ახლა კი ისევ ჩვენს თემას მივუბრუნდეთ. ხერსონში მდებარე მოციქულთასწორ თავად ვლადიმერის სახელობის მონასტრის ზღუდის შიგნით, შვიდი ხერსონელი წმიდა მოწამის ეკლესიასა და სამონასტრო სასტუმროს შორის, წაგრძელებული ყორანის მსგავსი ბუჩქნარით დაფარული მიწაყრილი იყო. 1897 წელს ეს ადგილი გამოიკვლიეს. მეცნიერებს ამ საქმეში დიდად დაეხმარა თავრიდისა და სიმფეროპოლის ყოფილი ეპისკოპოსი, ყოვლადსამღვდელოესი ნიკოლოზი. გამოკვლევას ბრწყინვალე აღმოჩენა მოჰყვა. მიწაში ვრცელი ჭვარჭვამათოვანი საკათედრო ტაძრის ნანგრევები აღმოჩინეს. კარგად იყო შენახული ტაძრის საძირკველიც და კედლების ნანგრევებიც, რომელთა სიმაღლე ზოგ ადგილას ექვს მეტრს აღწევდა.

ყორანზე წმიდა მოწამეთა ეკლესიის ხის სამრეკლო იყო აღმართული. ვინ ფიქრებდა, თუ მიწაში ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლი ინახებოდა, სამრეკლოს ზარის შეუნელებელი რეკითი რომ გვაუწყებდა თავისი არსებობის შესახებ. გვახსენდება ერთი ბრეტონელი თქმულება, რომლის თანახმად, წყალში ჩაბირული ქალაქი „ისე“ არსებობას ზარების იღუმალი რეკითი გვაშინებს.

ცნობილი მოგზაური, ნატურალისტი და არქეოლოგი დიუბუა დე მონაერე (1798–1850), ყირიმში მოგზაურობის აღწერისას გვაუწყებს, რომ რწმუნისადმი მოქცევისა და ქალაქის დამცობის სამადლობლად წმ. ვლადიმერმა სწორედ მოედნის სიახლოვეს მდებარე ბორცვზე ააგო მეორე ეკლესია, და რომ მას, დიუბუას, ამ ეკლესიის კვალი ჰქონდა ნახა. ბ-ნი დიუბუა ვიდაცამ შეაცდინა. ბორცვზე მდებარე შენობა VI საუკუნეში აგებული ქართული მონასტერია, რომელიც მოციქულთასწორ თავად ვლადიმერის მეფობამდე ოთხი საუკუნით ადრე არსებობდა.

ტაძრის სამხრეთი ნაწილი ოცდაათი წლის წინ ძველი სამონასტრო სასტუმროს მშენებლობისა და საყვავილეს შექმნისას განადგურდა... ტაძრის მთავარი შესასვლელისაგან მხოლოდდა მარმარილოს დიდი ფილებით აგებული ზღურბლია დარჩენილი... სამხრეთით კედლის კარადის ქვედა ნაწილიაა შემონახული, რომელიც სამოსსაცავს უნდა წარმოადგენდეს. ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელი კარგად შენახული „აგზია“ ჩადგმული, რომელიც სტიქიისაგან ხის კარადით არის დაცული.

ჩვენ ახრით, ეს აგზი საყურადღებო საგანია, საჭიროდ მიგვაჩნია, გავარკვიოთ მისი დანიშნულება. ანგარიშის პირველ ვარიანტში კ. ბ. კოსტუშკო-ვალდუენიჩი და ემბაზდ თელიდა, თუმცა გაუბედურად წერდა: „თავიდან ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, თითქოს ეს აგზი ემბაზი იყო“. ა. ლ. ბერტედელაგარდის აზრით ეს აგზი ხელების დაბანვისა და საეკლესიო ჭურჭლის გარეცხვისას გამოიყენებოდა. მღვდელმონაზონ ბორისის გადმოცემით, ნანგრევების დათვალიერებისას პროფ. ნ. ვ. პოგროვსკის ვარაუდი გამოუთქვამს, რომ აგზში საეკლესიო ჭურჭლეულისა და სხვა საგნების გასარეცხავად აგროვებდნენ წყალს. ამ ვარაუდს ჩვენ ვერ დავეთანხმებთ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ საგანს შეედომით უწოდეს აგზი.

ამ საგნის კვლევითი დანიშნულების გარკვევაში ძველი ქართული ხუროთმოძღვრების სხვა ძეგლები გვეხმარებიან. ქართულ ტაძარში დღემდე მოიძებნება მსგავსი საგნები. დაახლოებით ასეთივე ქვაბული ვიხილეთ გელათისა და ქვათახევის მონასტრებში, აგრეთვე, თერთი გიორგის ეკლესიაში, რომელსაც დიდად აფასებენ კახეთში. მსგავსი „აგზებია“ ასევე ტბაანის, ხოტაინისა და ნაფარეთის ეკლესიებში. აწყურის წმიდა გიორგის ეკლესიაში მსგავსი „აგზის“ შესახებ შემდეგი რამ მითხრეს: ტაძრის დღესასწაულის დღეს აქ, თურმე, ათეულ-ათასობით მლოცველი იკრიბება. ზოგი მათგანი ღმერთს შეილიანობას სთხოვს და აღთქმას დებს, რომ ჩველს აქ მონათლავს. ბავშვი შემდგომ, მართლაც, ამ ეკლესიაში მოჰყავთ მოსანათლად. ბავშვების ოდენობა ხშირად ორ-სამ ათეულს აღწევს. საეკლესიო კანონების მიხედვით, ნათლობისა და მირონცხების შემდეგ, წყალი მდინარეში, ან ფეხბადგმელ ადგილას უნდა გადაიღვაროს. თუკი ახლო-მახლო მდინარე არ იყო, ქარ-

თულ მონასტრებში მსგავს ქვაბულებს ათავსებდნენ. ამ ქვაბულებში გროვდებოდა განწმედილი წყალი, იქედან კი ტაძრის ქვეშ მიწაში გაყოწავდა.

ტაძრის იატაკი, სამოსსაცავის იატაკის გარდა, მარმარილოს მშენიერი ფილებით იყო მოპირკეთებული. ნანგრევებში რვაასამდე მარმარილოს დიდი და მცირე ფილა აღმოაჩინეს. მრავლად იპოვეს ღეროები, სვეტის თავები, ქოხები, ნაირგვარი ფანტასტიკური თევზების, ფრინველებისა და ცხოველების გამოსახულებანი და ჩუქურთმების სხვა ფრაგმენტები. კანკელი მარმარილოსი იყო. იგი ორივე მხრიდან გახლდათ მოჩუქურთმებული. როგორც ჩანს, ტაძარი დიდებულად იყო გაწყობილი.

ტაძრის შუაში სამქადაგებლოს მონაპირკეთებელი მარმარილოს ორი მასიური ფილა იპოვეს. ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა საყურთხველთან მოხდა, სადაც წმ. ტრაპეზის ფუნდამენტის ორი ფილა იყო გადარჩენილი. როდესაც ისინი აიღეს, ფუნდამენტის შუაგულის ქვეშ მცირე სამარხი ნახეს. იგი სამფე კრამიტით იყო შემოფენილი, ხოლო ზემოდან მარმარილოს ფილა ეხურა. დასავლეთის მხრიდან ნახევარსიღრმეზე, კრამიტებს შორის, მარმარილოს ფილა იყო პირიპირად ჩამაგრებული. ფილაზე პატარა სარკოფაგის მსგავსი ვერცხლის კილობანი იყო. კილობნის კედლებზე, მედალიონებზე, გამოსახულებები რელიეფურად იყო ამობეჭდილი, გრძელ მხარეებზე პეტრე და პავლე მოციქულებთან გარემოცული ღვთისმშობლის გამოსახულებები იყო, მოკლე მხარეებზე კი — უცნობი წმინდანების გამოსახულებები. სახურავის შიგნით, მედალიონზე, ბერძნულად ეწერა: „იოანე“. სახურავის ოთხივე ნაწილზე რელიეფური ჭვარი მდებარეობდა. კილობნის ძირზე და სახურავის შიგნით მონოგრამის ტიფის კვალი ჩანდა, რომელიც ჭვარაც არ არის გამოკვლეული. კილობნის გვერდით საყინძიანი კაუჭი, კრეტსამბელი და აბრეშუმის ქსოვილის ნახევრად დაშლილი ნაგლეჯი იყო. ამ ნაგლეჯში კილობანი უნდა ყოფილიყო გახვეული. კილობანში ასევე ნახვრად დაშლილ ნაგლეჯში გახვეული ხელი მტევნები აღმოჩნდა, რომლებიც რა თქმა უნდა, რომელიღაც წმიდანს ეუთვნებოდა. წმიდანის ნაწილები ზეიმიითა და გალობით გადასვენეს მონასტრის ზედა ტაძარში, რომელიც წმ. ალექსანდრე ნეველის სახელს ატარებს. ნაწილები დღესაც იქ ინახება, ვერცხლის კილობანში, რომელიც ტახტზე მდგარ სანაწილზე მდებარეობს.

1911 წლის 15 მარტს მე ამ კილობნის დათვალიერება მომიხდა. კილობანში, წმ. ნაწილებთან ერთად, VI საუკუნის ნახევრადლაშქილი ქსოვილი ინახებოდა თურმე, რომელიც კ. კ. კოსტუშკო-ვალდუენის დაუწვავს. ეს უძვირფასესი ნივთი სამუდამოდ დაკარგა მეცნიერებამ. ქსოვილს სიკვრეზე ნაკლები ღირებულება არ ექნებოდა. ასეთ იშვიათობას დასავლეთ ვეროპაში ამგვარად არ მოეპყრობოდნენ. 1910 წლის 18 ოქტომბერს ვარშავისა და პრინცილის ეპისკოპოსმა მალაყოვლადსამღვდელო ნიკოლოზმა შემატყობინა თავისი ვარაუდი იმის შესახებ, რომ წმ. ნაწილები VI საუკუნეში მცხოვრებ რომელიღაც ქართველ წმიდანს, მაგ., იოანე ზედახელს, ან ამავე სახელის სხვა ვინმე წმიდანს უნდა ეუთვნოდეს. 1902 წელს მას ეს ნაწილები მათი იმპერატორობითი უდიდებულესობა მეფისა და დედოფლისათვის უჩვენებია.

პროფესორი ნ. ვ. პოგროვსკი კილობნის შესახებ შემდეგ აზრს გამოთქვამს: „ახალგაზრდა და ლამაზი ღვთისმშობლის, აგრეთვე, ანგელოზთა და წმიდანთა გამოსახულებები რავენის მოზაიკებს მოგვაგონებენ. კილობანიც, თავის მხრივ, რავენის სარკოფაგებს ჰგავს. მაშასადამე, შესაძლებელია ახლად აღმოჩენილი ძეგლი VI საუკუნის მიეკუთვნოთ. ძეგლს დიდი ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა აქვს“.

ამგვარად, ძველი ქრისტიანული ხელოვნების ეს ძეგლი ხერსონში ჩატარებული გათხრების უმნიშვნელოვანესი მონაპოვართაგანია.

უშეველია, რომ ეს ტაძარი ქალაქ ხერსონის საკათედრო ტაძარს წარმოადგენდა და იგი შემდგომში მეტრმა და სტიქიამ შეუმსრს. ცეცხლის კვალი ნანგრევებში ყველგან შემორჩენა. ტაძარს ზღუდე ჰქონია გარშემორტყმული. მიზრდილი ნაგებობანიც ეუთვნოდა თურმე. მსგავს ხერსონში გათხრილ სხვა ტაძრებთან ვერ

იხილავთ. ისინი არც ზღუდით არიან დაცულები და ხშირად სხვა ნაგებობებისაგან მხოლოდ ვიწრო შეკებით არიან გამოყოფილი.

საქართველოს ჩრდილოეთით მცხოვრებთა ისტორიის კიდევ ორ შესანიშნავ ეპიზოდს დავუმატებთ ქართული ეკლესიის ისტორიდან. მათ ჩვენს ჩანახატთან უშუალო კავშირი აქვთ. ეგულისხმობთ იოანე გოთელის ხელდასმას მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში და, აგრეთვე, ქართლის ერისმთავრის ნერსეს მოგზაურობას ხერსონში.

ცნობილია, რომ იოანე გოთელის ჩვენთვის უცნობმა წინამორბედმა 754 წელს ხატმებრძოლთა კრებებში და ხატთაყვანისდაგმობაში მიიღო მონაწილეობა, რისთვისაც იმპერატორმა კოპრონიმოსმა მიტროპოლიტის პერაკლე თრაკიელის ღირსება მიანიჭა. მართლმადიდებელმა გოთებმა არ ისურვეს ამ დადგენილებების მორჩილება და თავიანთი კათედრის ახალ წინამძღვრად პართენიტილი იოანე აირჩიეს. ეპისკოპოსად ხელდასმისათვის იგი ბიზანტიისში გაგზავნეს. XI საუკუნეში მცხოვრები ვინმე გიორგი (მცირე) გვიამბობს, თუ რა უპასუხა წმ. გიორგი მთაწმიდელმა ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსი III: „იყო ღრო, როდესაც საბერძნეთში მართლმადიდებლობა იმდენად შეიღახა, ძნელი იყო, ეკლესიის ისეთი განშტოების მოძებნა, სადაც სამოციქულო მართლმადიდებლობა იქნებოდა შენარჩუნებული. ქართველთა ქვეყანა კი ყოველთვის მტკიცედ იცავდა მოციქულებისაგან ნამცნებ მართლმადიდებლურ მოძღვრებას. სწორედ ამიტომ იყო, რომ იოანე გოთელი გოთთა ქვეყნის ეპისკოპოსად მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში იქმნა ხელდასმული და, შემდეგ, წარგზავნილი გოთთა ქვეყანას“.

მართლაც, 758 წლის 26 ივნისს, ნერსეს ერისმთავრობისას, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში იოანე გოთელი II ქართლის კათოლიკოსის მიერ ეპისკოპოსად იქნა ნაკურთხი. ხერსონში აღმოაჩინეს ერთი ფილა, რომელზედაც ბერძნულად ეწერა: „გოთთა ქვეყნის მართლმადიდებელმა მცხოვრებლებმა 750 წელს მწყემსად ღირსი მამა იოანე აირჩიეს და ივერიაში გაგზავნეს, სადაც იგი


ეპისკოპოსად იქნა ხელდასმული, რის შემდეგაც იგი მტკიცედ და შეუვალად იცავდა ეკლესიის დოგმატებსა და ქეშმარიტ რწმენას“.

ამაჩინა, რომ გოთებმა კარგად იცოდნენ მართლმადიდებლობის მდგომარეობა ივერიაში, მაგრამ იოანეს იქ გასაგზავნად ეს არ იყო საკმარისი. იოანე ქართლის კათალიკოსი, რელიგიური არეულობისა და ხატმებრძოლთა დროებითი გამარჯვების ეპოს, სხვა ხალხის წარმომადგენელს ასე ხელაღებით ვერ აკურთხებდა, კარგად რომ არ ცნობოდა გოთური მართლმადიდებლობა. გოთებს შორის ალბათ ერთეულებიც იქნებოდნენ. საესებოთ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ იოანეს სწორედ ამ ტაძარში მისცეს სათანადო რეკომენდაცია. ჩვენ უფრო მეტსაც ვბედავთ: იქნებ იოანემ სწორედ ხერსონის ქართულ მონასტერში მიიღო განათლება და სწორედ იქ აღიკვეცა ბერად?...

ქართველთა სულიერ ცხოვრებაში ძლიერმოხილი პიროვნებანი მრავლად გამოჩენილან. ბევრის სახელი საუკუნეთა წყვდიადმა შთანთქმა. სწორედ ასეთნი იყვნენ ხერსონის ქართული საკათედრო მონასტრის მკვიდრნი. ქართულმა ბერმონაზვნობამ აქაც დატოვა კვალი, რომელიც გვიჩვენებს მათ ზნეობრივ სიმდიდრეს. სკვითებ-სა და გოთებს შორის ქართული საკათედრო ტაძრის არსებობა დიდი მნიშვნელობის მოვლენაა. იგი ახლებურ ელფერს აძლევს რუსულ მიწაზე ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას.

ხერსონის მიწაზე, გათხრების დროს, ბევრი ქართული ხატი იპოვეს. იქ ხშირად ნახულობენ, აგრეთვე, ქვებზე ამოკვეთილ ქართულ ორნამენტებს. ყველაფერი ეს იმის საბუთია, რომ ქართული ეკლესია ამ მიდამოებში სასულიერო-საგანმანათლებლო საქმიანობას მისდევდა. როგორც მაღალყოვლადუსამღვდელოესი ნიკოლოზი ამბობს: „ცხადია, ხერსონი საქართველოსთან არა მხოლოდ ეკონომიურად იყო დაკავშირებული, არამედ სულიერადაც“.

ეპისკოპოსი კიბრიონი
1911 წლის 2. XII



„საქართველოს სამოთხის“

100

წლისთავი

ერთი უნიკალური წიგნის სატიტულო ფურცელი გვაძინებს: „საქართველოს სამოთხე, სრული აღწერა ლუწლთა და ენებათა საქართველოს წმიდათა, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურდის სასულიერო აკადემიის კანდიდატის, ივერიელის, გობრონ (მიხაილ) პავლეს ძის საბინინის, მიერ. პეტერბურდი, ჩუპბ (1882) წელსა“.


მსგავსი კრებული ოცნება იყო იმხანად: არ მოგვეპოვებოდა არც ერთი გამოცემა, სადაც შედარებით სრულად, ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის მაშინდელ დონეზე დასამბული იქნებოდა ქართულ წმიდანთა ცხოვრება-წამებანი, ამიტომაც სიხარულით შეეგება ამ ფაქტს ყველა, ვინც აფასებდა ქართულ კულტურას. მართებულად შენიშნავდა გაზეთი „დროება“ (1882, 4. XI, № 230): „ამგვარი გამოცემა არამცთუ ჩვენი ლიტერატურის სიმდიდრეს შეაღვეს, არამედ სხვა ქვეყნების ხალხისთვისაც კი, რომელნიც ჩვენზე ბევრით მდიდარნი არიან ამგვარის გამოცემებით — თავმოსაწონი იქნებოდა“.

ეს წიგნი ცხადყოფდა, აგრეთვე, მისი შემდგენელ-რედაქტორის — მიხეილ-გობრონ საბინინის — დამსახურებას საქართველოს ეკლესიის წინაშე.

მართლაც, ჩვენს ქვეყანაში გაზრდილი, თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებული მიხეილ საბინინი (1846—1900)*, ტომით არაქართველი, უსაზღვროდ შეყვარებული იყო საქართველოზე. ფეხით ჰქონდა მოვლილი ქართლ-კახეთისა და იმერეთის ყველა სავანე. იცნობდა ჩვენს წარსულს და დიდად აფასებდა. ამის მოწამეა ქართული აგიოგრაფიული ძეგლების მისმიერი თარგმანი რუსულ ენაზე, სამეცნიერო შრომები თუ რელიგიურ-ლიტერატურული ნარკვევები.

სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულადაა აღნიშნული სხეულული კრებულის მნიშვნელობა (ქ. ცხადაძე. „შუშანიის წამების“ პირველი გამოცემის ისტორიიდან: „შუშანიის წამება“, საიუბილეო კრებული, გამოკვლევები და წერილები. თბ., 1978, გვ. 169—182). ხაზგასმულია: როდესაც მ. გ. საბინინი ამ ძეგლებს აქვეყნებდა, საზოგადოებისათვის თითქმის უცნობი იყო ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის დიდი საუნჯე. დ. ჩუბინაშვილის „ქრესტომათიაში“ შეტანილი რამდენიმე ნიმუში ქართულ სასულიერო მწერლობაზე მთლიან წარმოდგენას ვერ ქმნიდა. მ. საბინინისა

* მ. საბინინი გარდაიცვალა მოსკოვში. აი, რას წერს გაზეთ „ივერიაში“ (1904 წ. № 25) ერთი ავტორი: „საბინინის უპატრონოდ და ობლად დარჩენილი საფლავი ვნახე და ტირილი მომივიდა. ერთი უბრალო ზის ჭვარი ადგია. საწყალს ანდერძად ჰქონია ნათქვამი — „საქართველოში დამსახურავეთო“. თუმცა ფული და ნივთიულობა საქმარისი დარჩა, მაგრამ შემეციდრებმა ქონება ჩაიბარეს და ეს უკანასკნელი თხოვნა კი არ შეიწყალეს“.



საბინინი. „საქართველოს სამოთხე“. წიგნის თავფურცელი

წინმა ამ წიგნით არა ერთი და ორი ისეთი ძეგლი გამოიტანა დღის სინათლეზე, რომელიც მანამდე ეკლესია-მონასტრებისა თუ კერძო პირთა ჩაკეტილ ბიბლიოთეკებს არ გასცილებოდა.

შესანიშნავად ილუსტრირებულმა, მაგრამ ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური თვალსაზრისით „უზვირთოდ“ და „უვარგისად“, როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ, დაბეჭდილმა ამ წიგნმა პირველად გააცნო საქართველოს წარსულით დაინტერესებულთ ჩვენი სულერი საუნჯე.

თუ რაოდენი შრომა გაუწევია, რამდენი დაბრკოლება გადაულახავს ამ გამოცემისათვის შემდგენელ-რედაქტორს, გვაძინებს წიგნის წინასიტყვა. ამ წინაბჭეში ავტორი კრებულის შექმნა-შედგენის ისტორიასა და პრინციპზე მოგვითხრობს. მასში აშკარადვლება მამულიშვილის გულისტკივილი და სამდურავი მათდამი, ვისი წყალობითაც სათანადოდ ვერ იყო წარმოჩენილი საქართველოს ეკლესიის სიღრმე.

მრავალმხრივ საუურადღებო ამ წინასიტყვას, ამობეჭდილს აღნიშნული გამოცემიდან, ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ.

* * *

პატიოსანო მკითხველო, საქართველოს ეკლესიის დავრომილილებამ და სრულიად დამზობილებამ მისმან მაიბულა დღის გულისმოდგინებით დაბეჭდვამ ამ წიგნისა, რომელსა უწოდებ სახელად „საქართველოს სამოთხე“. წიგნისა ამის მეორე, არცა დაბეჭდილი, არცა ხელნაწერი არა სადა იპოების, ესრე ვრცელი და სრული, ვითარ ეს წიგნი. თუ მკითხამ, სადა შეეკრიბე ეს მოთხრობანი, ანუ რა

ალავიდან ვიშოვე ივინი და ვინ იყუნენ შემწენი ჩემნი—
ამათა პასუხთა ზედა მოგახსენებ: რამეთუ წიგნისა ამის
შეკრება და დაბეჭდვა მსუროდა ადრე ჭაბუკობიდანვე
ჩემისა, ოდეს ვსწავლობდი გიმნაზიასა შინა ტფილისს.
იქვე შეუდეგ მე ამ ფრიად ძნელსა და შეუძლებელსა საქ-
მესა. ამისათვის ადრეთვე შეუდეგ ჩუენის ეკკლესიების
და მონასტრების მოხილვასა და არა რაა განეპარებოდა
თულათა ჩემთა, რაცა შეეხებოდა ჩემს სურვილსა და
აზრსა — მრავალი დარჩომილი კეთილი ენახე, მრავალი
სიწმიდე მოვილოცე, მრავალი პატიოსანი ქართუელი პი-
რი ენახე, ვისწავე და ვირგე მათგან და რომელთა კეთი-
ლად მოვიხსენებ მარად და აგრეთვე, მრავალ უკეთურს
და მიჰდავ და განრყენილ გონებით კაცს შეეხვი — მგელ-
ნი ტყავთა შინა ცხუართასა, — რომელთა ვერადეგი მარ-
ად და რომელნი მამულთ მოყუარეობით მოღუაწეობით
ჩუენის საცოდავი ეკკლესიისათვის და ყოვლის ფრივე მსა-
ხურობით იქებენ თავთა თვისთა — სიტყვით ძლიერნი,
მოქმედებით მცირენი. ემსგავსებიან ივინი უნაყოფოსა
ხესა, რომელიც მოიკუთვების და ცეცხლსა ზედა დაუშ-
რეტელსა დაიდევს. შვიდი ოდენ წელი მომიწდა ამ წიგ-
ნის შეკრებასა შინა... განგებულებამან ღუთისამან ინება
ამისთვის, რათა სასარგებლო პატიოსანთა ქართულთა
პირთათვის წიგნი ესე შესრულდებოდა და განცხადებუ-
ლად იქდაგებოდის საქმე ღუთისა ძლიერისა.


ვითარ მოგახსენე, წიგნი ესე არა სადა იპოების ას-
რე ვრცელი და შეკაზმული მშუენიერითა მხატრობებითა,
ვითარ წიგნი ესე. მართალია, რაც ამ წიგნსა შინა არს
დაბეჭდილი სხუა და სხუა ხელნაწერებსა შინა იპოებიან
ცალ-ცალკედ, არამედ მე ხრონოლოგიურათ შევკრიბე პე-
ტერბურდის სამიპერატოროთა სამეცნიერო აკადემიის და
საზოგადო საწიგნობელთა ხელნაწერთაგან, რომელსა ში-
ნა არიან შეკრებილი მრავალი მშუენიერნი და ფრიად
ძვირფასნი შესანიშნავნი ხელნაწერნი წიგნნი, დარჩო-
მილნი ბატონისშვილთაგან, რომელნიმე მათგანი მერვე,
მეცხრე, მეათე და ჩამომავალთა საუკუნეთა არიან, აგრეთ-
ვე პარიჟის სამეფო საწიგნობელისაგან, მოსკოვის დავით
ბატონისშვილის და რუმინელების საწიგნობელთა ხელნა-
წერთა წიგნთაგან, რომელთაგან აღმოვიდე და შეუცვლელ-
ლად დავბეჭდე, რაც საჭირო იყო. ამ საწიგნობელთა ში-
ნა ვჰპოვე ხელნაწერნი არსენი კათალიკოსისა ივანეთე-
ლისა, კათალიკოსთა: ვასილისა, ბესარიონისა, ანტონ
პირუელისა და სხუათა. შესაძლებელ იყო ჩემ მიერ, რომ
ამ კათალიკოსთა შრომა ცალ-ცალკედ დამბეჭდვა, არა-
მედ არა საჭიროდ ენახე, რათა იმით განმეორებასა მი-
ვერიდე და რაც ერთსა არა ჰქონდა მოხსენებული, იგი
ჰქონდა მეორეს, მესამეს და ჩემს პროგრამაში არა იყო
ცალ-ცალკის შრომის დაბეჭდვა, არამედ — დაბეჭდვა
სრულისა მოთხრობისა ჩუენის ეკკლესიის წმიდათასა.
იამბიკონი მიუძარტე მათ მოთხრობასა ნიკოლას ტფი-
ლელ მიტროპოლიტისა და კ. ანტონ პირ. ამას გარდა ზო-
გიერთი მოთხრობა არა ჰქონდათ ზემოხსენებულთა სანა-
ტრელთა წმიდათა მწერალთა, არამედ ჩემი პროგრამისა-
თვის საჭირონი იყუნენ: ღუთისმშობლის მიძინებისა —
ამისათვის, ვითარმედ ჩუენი ეკკლესია წილხდომილია
ყოვლად უბიწოისა და მარადის ქალწულისა დედოფლისა
მარიამისა, მოთხრობა წმ. ანდრეა მოციქულისა, რამეთუ

მან სანატრელმან პირუელად ჰქადაგა სიტყუა ღუთისა
ქუეფანასა ჩუენსა. მოთხრობა წმ. გიორგისა, რამეთუ დი-
დი გიორგი ახლო ნათესავი იყო წმ. ნინოსი და, როგორც
ვევინებ, ქართულთაგან უნდა იყოს, ვითარ წმ. ნინო და
ღირსნი მამანი ასურასტანელნი — მეორენი მოციქულნი
ჩუენისა ეკკლესიისანი და მარად მფარუელნი მისნი. მერე
დაუჯდომელი წმ. მოციქულისა ნინოსი, საგალობელნი
ღირსთა მამათა დავით გარეჯელისა და ანტონისა. აღ-
წერა საკვირულებათა ღირსისა დიდისა შიო მღვიმელისა
და ზოგიერთი სხუა. ესენი ვიშოვნე სხუა და სხუა პირთა-
გან იმერეთსა შინა და ზოგი მიბოძა ჰსძალმან ქრისტეს-
მან და ზეცის მემოქალაქმან მცხეთის სამთავროს დედათ
მონასტრის წინამძღუარმან ნინომ და სხუათა, რომელთა
უძღვნი დიდსა მადლობასა და მრავალმცა არიან ჟამნი
და წელნი მათნი. მხატრობები ზოგი ერთი გადმოვიდე
წმ. სუეტის ცხოველის კედლიდან, ზოგნი მრავალგზის
დანგრეულის მონასტრების კედლებიდან, ზოგი მიბოძა
კნიაზმან გრიგორი გრიგორის ძემ გაგარინმან და ზოგი-
ერთი დავით ბატონის შვილის ხელნაწერთაგან და სხ.
მრავალი მათგანი არ იყვნენ ისრედ აღსრულებულნი, ვი-
თარ მოითხოვდა კლასიკური მხატრობა, არამედ შემწე-
ობითა სხუა და სხუა მხატვართა სამხ. აკადემიისათა
სრულ ვჰყავ მხატრობანი, რომელნიც აქა არიან. უწყის
ღმერთმან და ჩემმან უკანასკნელმან ჟამმან, რამეთუ დი-
დი ჭირი და იწროება ენახე მე ამ წიგნის შედგენასა ში-
ნა და უმეტეს დაბეჭდვასა შინა. ვერ აღურიცხად ყოველ-
თა, ვითარ კაცი შევძრწუნდი და ლამის სასოწარკვეთი-
ლებას არ მივეცი თავი ჩემი. არა ვინ მყუანდა ქართულ-
თაგან შემწედ და გულდამწველ. არამედ მრავალნი მტრად
და მომიძულეს ცუდათ — აქ მოვიხსენო სიტყუანი ქართ-
ლის ცხოვრებისანი: გუერდი 260, მეთხუთმეტე სტრიქო-
ნისა და ქუემოთა.

რაიც ძალმედეა სასულიერო სასარგებლოდ, სულ
ყოველი აქ მოვიხსენე და შენცა გვევდრები, პატიოსანი
მკითხველო და მსმენლო, თუ გონებით, თუ წერილით
რაიმე იცოდე მეტი ამისა, ღონისძიებით და გულსმოდ-
ვინებით შეასრულე და მიუმატე, რათა არა წაირყუნას წმ.
ენა ჩუენი — წმ. მამათა მოხსენებული და აღჭურვილი
სულიერითა გონებითა და ტრფიალებითა, რათა არა და-
გვკარგოდა საქართველოთა წმიდათა ცხოვრება. მჭვრე-
ტელი ვინაიდგან მრავალნი არიან ჩუენთაგანნი და უცხო
თესლნი, რომელთა ჰნებათ ჩუენის მშუენიერისა და ღუ-
თივსაყუარელისა ენისა მოსპობა. თუ ვითარმედ იქნება
წიგნსა ამას შინა შთაწერილნი, ამისთვის არღარა შესა-
ძლებელ არს დაკარგუად მშუენიერთა და გონებას წეს-
თა აღმყუანელთა მოთხრობათა: ამის გამოთ ვთხოვ დიდის
მოწიწებით, რათა არა უარჰყო მოხსენება ჩემი და ინებო
შთამატება, თუ რაიმე ვრცელი ამათა მოთხრობათა იპო-
ვო სადმე და ამასთან მომიტევე შეცთომილებათათვის,
რომელნიცა იპოებიან წიგნსა ამას შინა და თუ გენებოს,
ლოცუა ჰყავ ჩემთვის, რათა მივემთხუო წმიდათა ჩუენთა,
მეოხთა და მჭირრულთა ჩუენის მამულისა და ეკკლესიისა.

პეტერბურდი წელსა ჩყაბ

ივრიელი კანდიდატი გობრონი
(მიხაელ) საბინინი



სწიწთქიწიწის

ჯვარი ვაზისა

ვაზის ნასხლევისაგან ქალწულის თმით შეკრული ჯვარი, საქართველოს ეკლესიის გარდასულ დღეთა დიდმოწამე, მისი მტვირთველი ერის მსგავსად ომგადახდილი, ქართველთა მძლე-შემშუსრველი და ვალმოხდილია.


გარდმოცემა და ძველი მათიანენი („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ლეონტი მროველი, სომხური სვინაქსარი) გვამცნობენ, რომ ქალწულმა ნინომ — „ნეტარმა დედამ და ემბაზმა ჩვენმა“ (ლ. მროველი) — მოგვმადლა იგი.

„წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველაზე სრული, არსენ ბერიძის (XI–XII ს.ს.), რედაქცია ამგვარად მოგვითხრობს ღვთისმშობლისეული წყალობის ამბავს:

კაპადუკიელი ქალწული ნინო იერუსალიმს ევედრებოდა ღმერთს საუფლო კვართის სამარხისათვის თაყვანისცემა ეწყალობებინა მისთვის. და, აჰა, ძილსა შინა ყოვლად წმიდა გამოეცხადა და მოუწოდა: „წარგავლინებ შენ ქადაგად ნათესავთა მიმართ უცხოთა, ნაწილსა ჩემსა ქუეყანასა ჩრდილოელსასა, ერისა მიმართ ქართველთასა, წარვედ სიმხნით და უშიშად და უქადაგე ჭეშმარიტებაჲ“. შეცბა თავმდაბალი: უძღური დედაკაცი ვითარ ვატარებო მოციქულთა ტვირთს? „მაშინ წმიდამან დედოფალმან მიყო ხელი ზედა კერძო ცხედრისა მისისა მყოფსა მას რტოსა ვენახისასა და მოჰკუთნა მისგან და შექმნა ჯვარის სახედ და მისცა იგი ხელთა ნინოსთა, და ჰრქუა: ამით ნიშითა სძლო ყოველთა მანქანებათა ეშმაკისათა და წარგემართოს ქადაგება შენი, და თანაშემწე გეყო და არა დაგიტეო შენ“.

...მარტო ვიდოდა მოციქულთა სწორი ეკლიანსა და ავბედით გზაზე. მოჰქონდა მხოლოდ მცნება ქრისტესი — ვაზის ჯვრად წარმოჩენილი, ვზას რომ მოუკვლევდა წარმართთა შორის, განამტკიცებდა ურბნელ ებრაელთა ბაგინს, სადაც მან „დაყენა თვისა ერთისა კამნი და განიცდიდა ძალსა მის ქუეყანისასა“. და, რა იხილა, რომ ქართველნი — „უცხოთა ღმერთთა მსახურნი, რომელნი ცეცხლთა და ქვათა და ძელთა თაყვანის — სცემდნენ, (ლეონტი მროველის თქმით) „გამოაჩინა ჯვარი იგი ნასხლევისა და მით იქმოდა საკვირველებათა დიდთა. რამეთუ განრღვეულნი განკურნის თვინიერ წამლისა, შეხებითა ჯვარისათა...“.

ოდეს ქართველთა ზედა გამობრწყინდა „ნათელი ნათლისათა“: ერმა და „მეუფებამ მისმა“ აღიარა ღმერთი ჭეშმარიტი, მოციქულთასწორმა კი „მიიძინა ნეტარი ძილით“, მაშინ, გვამცნობს „ქართლის ცხოვრება“, მეფე მირიანმა უფლისწულ ბაქარს „მოაყვანინებინა ჯვარი იგი წმიდისა ნინოსი, რომელი პირველითგანვე აქუნდა, და ჩამოჰკიდა (სამეფო) გვირგვინი სამეფო ჯვარსა მას და ამ-



ჩვენი სქესი



რიგად კურთხეული „ნიში მეფობისაჲ“ დაადგა თავზე. შემდეგ კი, წმ. ნინოს ნებისაებრ, არაგვის პირას მთის თხემზე აღმართულ ტაძარში, რომელსაც „უწოდიან“ „ჯვარი პატიოსანი“, განუსვენეს.

„წმ. შუშანიკის წამების“ სომხური სვინაქსარული საკითხავი გვამცნობს, რომ ჰერეთის დედოფალს ხელთ ეპყრა ვაზის ჯვარი. და, ოდეს აღსასრული მიუახლოვდა, მოძღვარ ანდრიას ჩააბარა იგი: ეშინოდა, ავი არაფერი შემთხვეოდა. დამპყრობთა ლაშქრობის, ცეცხლთაყვანისმცემელთა და ხატთმებრძოლთა აღხევების მიზეზით ეს სიწმიდე ჯერ ქალაქ სპერში, შემდეგ ერისთავ გრიგოლ მამიკონიანის თაოსნობით, კაპოეტს ანუ „ლურჯ ციხეში“ გადაასვენეს. იქიდან ქი კ. ვანანდში, ხოლო, არაბთა შემოსევის გამო — ქ. ანში.

XI ს. გასულს, ოდეს ძლევაშემოსილმა მეფე დავით აღმაშენებელმა უცხო თესლთაგან გაათავისუფლა ეს ქალაქი, ვაზის ჯვარიც პატივისცემით მცხეთას წამოაბრძანეს და სვეტიცხოველს განუსვენეს. ჩვენი ქვეყნის ძნელბედობისას (XIII—XVII სს.) კი ბევრ სხვა სიწმიდესთან ერთად მთაში გადაძალეს და იქ, ანანურსა და, შემდეგ, სტეფანწმიდის წმ. სამების ტაძარში ყოფილა თურმე დაცული.

ისტორიკოსნი (პ. იოსელიანი, ეპ. (შმდ. კ.-პ) კირიონი (საძაგლიშვილი, ა. ნატროშვილი, მლდ. მ. ტყემალაძე, დეკ. მ. კელენჯერიძე და სხვ.) გვიამბობენ, რომ 1749 წელს თბილელმა მიტროპოლიტმა რომანოზმა ეს ჯვარი მალულად გაიტანა რუსეთში და ვახტანგ VI მეგვიდრეებს, ქართლის ტახტის პრეტენდენტთა გადასცა. მეფეები: თეიმურაზ II, ერეკლე II, კათოლიკოს-პატრიარქნი და მორწმუნე ერი ამაოდ ევედრებოდნენ ემიგრანტ უფლისწულებს სამშობლოში დაებრუნებინათ ეროვნული სიწმიდე, რომლისთვისაც ქართველ მეფეთა კუთვნილ მამულში, სოფ. ლისკოვს (ნიჟეგოროდის გუბერნიაში) განუსვენებიათ.

პლატონ იოსელიანი გვამცნობს (П. Иоселиани, „Тифлис и его древности“, გვ. 120—131), რომ უფლისწულმა გიორგი ალექსანდრეს ძემ, ბაქარის შვილიშვილმა, ვაზის ჯვარი 1801 წელს იმპერატორ ალექსანდრე პირველს მიუძღვნა. უკანასკნელმა კი, რადგანაც ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების სურვილი გულს ჩავარდნოდა, უმაღვე შეიწყნარა მორწმუნეთა თხოვნა...

1801 წლის 24 ნოემბერს წმიდისა და სასწაულმოქმედი ჯვრის სამშობლოში დაბრუნება ეროვნულ დღესასწაულად იქცა: სამღვდელთა და მორწმუნეთა ერთი დასი კავკასიის უღელტეხილზე — სტეფანწმიდასთან შეეგება, მეორე — ანანურში, მესამე — ღართისკარში (მცხეთის ახლოს) და მეოთხე — მცხეთას. იქიდან კი პროცესია ხატებით, ბაირაღებითა და კელაპტრებით, თბილისს გამოემართა. კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II, იუსტინე სამთავნელი, არსენ თბილელი, სტეფანე რუსთაველი და მორწმუნეთა უთვალავი ერი ქალაქის მისადგომებთან ზარ-ზეიმით, კმევა-გალობითა და მეტანიის მოხდით შეეგება საღმრთო სტუმარს. გარდახდილ იქნა წირვა და პარაკლისი.

ეს ჯვარი დღესაც თბილისის სიონს განისვენებს ჩვენდა იმედად.

ეპისკოპოსმა (შმდ. კათოლიკოს-პატრიარქმა) კირიონმა შენიშნა: მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება სიწმიდე, რომელსაც ვაზის ჯვრის მსგავსად, მოვლილი ჰქონდეს ამოდენა ტერიტორია, გადასულიყოს ხელიდან ხელში, ქალაქიდან ქალაქში, ხალხიდან ხალხში, გადაელახოს ქალაქები, მთები, მდინარეები, ტყეები და ველები.

ვაზის ჯვარი სიმბოლურად ცხადყოფს, აგრეთვე, ქართული მართლმადიდებლობის თვითმყოფადობას (რა თქმა უნდა, არა დოგმატური თვალსაზრისით). ღვთისმეტყველთა მიერ მრავალჯერ ხაზგასმულია, რომ ჯვარი—„პურიათა სამე საცთურ და წარმართთა სისულელე“ (I კორ. 1, 23), ძველ ეპოქაში დასჯის იარაღად გამოყენებული და, ამდენად, ადამიანთა დაცემის ნიშანი, მხოლოდ ქრისტიანთა მიერ იქნა თავიანთი, იგი იქცა გამოსყიდვის, სიკვდილისაგან დახსნისა და, ამდენად, ძლევის, გამარჯვების სიმბოლოდ (იხ. ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა, თბ. 1878, გვ. 79 და შ.).

პატიოსანი ჯვარი — „საჭურველი მშვიდობისა, უძლეველი საძლეველი“ (ჯვრის ამაღლების კონდაკი) — როგორც თეოლოგები გვასწავლიან, ამავე დროს არის კაცობრიობის არქეტიპი: პირველქმნილი, ცოდვამდელი ადამის ხატი — ღვთაებრივი და ადამიანური ბუნების ერთეული (ვერტიკალური ხაზი (I) ღვთაებრივ სუბსტანციას გამოხატავს, ჰორიზონტალური (—) ადამიანურს).

ვაზის ჯვარი ხსენებულ მდგომარეობათა თავისებურ გააზრებაზე უნდა მიგვანიშნებდეს. ჯერ ერთი, აღნიშნა მიტრ. (შმდ. კ.-პ) კალისტრატე ცინცაძემ, ეს ჯვარი „სიმბოლური გამეორება იყო მაცხოვრის სიტყვისა: მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი; რომელი დაადგრეს ჩემ თანა და მე მას თანა, ამან (გა)მოიღოს ნაყოფი მრავალი (იოანე 15,5), ე. ი. მორწმუნე ანუ რტო თავის მოქმედების დროს უნდა დაეყრდნოს ქრისტეს ანუ ვენახს და არა სხვას ვისმე“. მეორეც — ვაზი, ჩვენს ქვეყანაში ოდითგანვე ასერიგად გავრცელებული კულტურა, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, სიცოცხლის, „მნებელობის“ (გაიხსენეთ — ტირილი ვაზის!), განახლება — აღორძინების სიმბოლოა. ქალის თმები კი ღვთისა, ქალწულებისა, კდემამოსილებისა. ვაზის ჯვარმა ქრისტიანული რჯულის არსი, ჰორიზონტალური ფრთების შესამჩნევად დახრით ამრიგად გაასახიერა: ქალწულის თმით ჩენილი სიწმიდე ძირს ჰხრის ადამიანურ საწყისს; ცოდვათაგან, ამპარტავნებისაგან ათავისუფლებს და, ამავე დროს, კრძალვით უზენაესისაკენ აღმართავს.

სამართლიანად შენიშნა ცნობილმა პედაგოგმა და ისტორიკოსმა დეკ. მ. კელენჯერიძემ (მისივე, საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია, ქუთაისი, 1918, გვ. 30): ვაზის ჯვარში არის ქართველთა „ეროვნული სული ჩაქსოვილი, მისი კულტურის სახე, წმიდა წმიდათა, ეროვნული ალლო და შემეცნება“.





მოდით ნინო მთებში

„ხოლო მე დავშთე ეკალთა შინა ვარდისათა,
რამეთუ ვარდი და ნუში ყვალდა მას ჟამსა“

ნინო

ღურჯ მწვერვალებს ქარი რძისფერ ნისლეში
ჰხვევდა...

და როდესაც ბარში ვარდნი ჰყვაროდნენ,
თოვლი იღო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ...
მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა
და ფარავნის ტბასა ზედა კრწოდა ქარი...
მოდით, ნინო მთებში მოდით,
და მოჰქონდა სანატრელი ვაჟის ჯვარი...
თოვლის მთებში კვირდებოდა უცხო მგზავრი, –
ვის უნახავს ვარდობისას თოვლი მთებზე?
მწყემსსა კკითხა – რომელია ქართლის გზად?
მწყემსმა უთხრა – საქართველო არის ესე...
მიეპინა... ერთ ფალკოტში მიეპინა
და უმატებმა მზისგან მოუჩრდილესო,
ეს ვინ არი, გამოცხადდა მგზავრის წინა?
„ნუ გეუბნინ“ – მიუბებდა იესო...
გაეღვიპა... წუთით იბრძნო მშობლის სევდა,
მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?
თოვლი იღო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ.

ანა კალანდიაძე

აკადემიის ჭალათა წიად ვეძიებთ ჭეშმარიტებას

ჩვენ მეფეო, მოწაფე გვეგონე ამით მოძღვართა თქვენ-
თა... გარნა ვითარ ვხედავთ, შენ სამე ხარ მოძღვარი მო-
ძღვართა.

„ქართლის ცხოვრება“, —
ცხოვრება მეფეთ მეფისა
დავითისი

„რამეთუ მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა რომელიცა გამოირჩია მაღლმან საღმრთოთმან ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცაა გარდაართხა ტაძარი ყოვლად წმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა. რაბამ რამე აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა, რომელი ზემთა ჰმატს შუენიერებასა ყოველთასა...“

და მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვისთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანასა კიდეთათ სადათცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელთა სათნოებითა აღსავსებობა...“

რომელიცა აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად სხვად ათინად, ფრიად უადრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა... ხოლო სახელი მისი გელათი.

და კულად სხუა მოიგონა საქმე, შემსგავსებული მოწყალისა და ტკბილისა ღმრთისა სახისა, კაცთმოყუარებისა თვისისა: აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა მძანი, თუთო სახითა სენითა განცდილნი, და მოუმზადა ყოველი საკმარი მათი, უნაკლულად და უხუებით, და განუჩინნა შესავალნი და საღუაწნი მათნი ყოვლადვე. თვით მივიდის და მოიხილნის, მოიკითხის და ამბორს უყვს თუთოეულსა, აფუფუნებდის მამებრ, სწყალობდის და ნატრიდის, განამზნობდის მოთმინებისა მიმართ და განავის ყოველი საქმე მათი დიდად შუენიერად და ღმრთის-მსახურებით“ („ქართლის ცხოვრება“, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი).


როცა საუბარია ქართულ რენესანსულ კულტურაზე, საჭიროა თვალის მიდევნება, საიდან მომდინარეობს სულიერი ნაკადები წინარენესანსული აზროვნებისა. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ქართული რენესანსი, უპირველეს ყოვლისა, იყო აღორძინება იმ მდიდარი აღმოსავლური

სიბრძნისმეტყველების თუ ანტიკური სულიერი ტრადიციებისა, რომელმაც ადრეულ საუკუნეებში ფართოდ მოიკიდა ფეხი ჩვენში. ამ მოძრაობის ცენტრი გახდა გელათის მონასტერთან XII საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული გელათის აკადემია, რომელიც გადაიქცა ქრისტიანული აზროვნების უმნიშვნელოვანეს საგანედ. იგი დავითის სულის ნაზრევი, მისი გონების ნამოქმედარი იყო. აკადემიის ცხოვრებაში ძნელად იპოვით მაგალითს, ვისაც მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება — მეცნიერებისათვის. პირიქით, აქ სარწმუნოებას ამეცნიერებდნენ და მეცნიერებას ასარწმუნოებდნენ და მთელი სიბრძნე ამაშია გამოხატული.

რენესანსი თითქმის ყველგან იმაშიც გამოიხატა, რომ განახლებულ იქნა ანტიკურ ხანაში არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები აკადემიის სახით. ძველი სამყარო მრავალ სკოლას იცნობდა. ყველა ეს სკოლა უძღური აღმონდა აკადემიასთან მეტოქეობაში და პირველობა ამ უკანასკნელს დარჩა. „აკადემიის ჭალათა წიად ვეძიებთ ჭეშმარიტებას“ — აღნიშნავდა რომაელი პოეტი ჰორაციუსი.

გელათის აკადემიის სულიერი ცხოვრება უპირატესად გამოიხატა რელიგიის, ხელოვნებისა და მეცნიერების სინთეზის, მათ ურთიერთ ჰარმონიულ მოღვაწეობაში, რომლის ნიადაგზე აღმოცენდა პრინციპი: „მეცნიერებაა განალაღებს, ხოლო სიყუარული აღაშენებს“ (I კორინთ. 8,1).

სხვა აკადემიებისაგან განსხვავებით, გელათის აკადემიის ბედი სხვაგვარად დატრიალდა. ჩანს მაშინდელი ქართველობის განათლება უფრო გამოკვეთილ სულიერ მოთხოვნილებებსა და მიზნებს ისახავდა. იმ ნეტარხსენებულ დროში პატრიოტული მოტივი მტკიცედ დაუკავშირდა სარწმუნოებრივს, რამაც გამოიწვია არა მხოლოდ ეროვნული თვითშეგნების გაძლიერება, არამედ ზოგადსაკაცობრიო იდეალებისაკენ სწრაფვაც. ამას უპირველესად უნდა მოჰყოლოდა ადამიანში პიროვნების, „მეს“ თვითდადგენის ისტორიული მისტერია, სულიერი საწყისისადმი მისი ახლებური დაქვემდებარება, რის შედეგად




სანაწილე. ტიბრული მინანქარი. საყდარზე მჯდომარე
მაცხოვარი. XI ს.



შემოქმედი. ჯვარცმა. ტიხრული მინაწერი. X ს.



ტახრული მინანქარი. წმიდა გიორგი.



ტიბრული მინანქარი, მირქმა უფლისა. XII ს.



მარტვილი, ტრიტიქონი ტიბრული მინანქროთ. VIII ს.



გელათი. დეტალი ჯვთისმშობელი-იესოს მონაიკური გამოსახულებიდან, XI ს.

ადამიანი არღვევს დოგმების ზღუდეებს და თავისუფლების საუფლოში იხედება. მას აზრისა და გულის ცოცხალი თანაზიარობა მოაქვს.

როგორი იყო ქართული რენესანსული იდეოლოგიური ცენტრის — გელათის ეზოტერული საქმიანობა მთლიანობაში ძნელი აღსადგენია, რადგან საამისო პირდაპირი ცნობები ნაკლებად შემონახულა, ან, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ცნობილი არ არის. მაგრამ ერთი საიდუმლო სიბრძნის კვალი მაინც შემორჩენილა გელათის ტაძრის საკურთხეველის აფსიდის კონქში მოზაიკით* შესრულებულ კომპოზიციაში, რომელზედაც ღვთისმშობელია ყრმა იესოთი. დაკვირვებული მნახველის თვალი ადვილად შეიცნობს იესოს შუბლზე გამოხატულ თასისა და ნამგალა მთვარის სიმბოლოს, რაც ქრისტიანობის უადრესად მნიშვნელოვან საიდუმლოებაზე მიგვანიშნებს და დღემდე ამოუცნობ იეროგლიფად არის მიჩნეული. ეს ქვეყანა დიდი ნიშნების თავშესაფარია, რომელშიც საუკუნეთა სიბრძნე იფარება.

ქართულ იკონოგრაფიაში ძნელი საპოვნელია მაგალითი კედლის მხატვრობისა, სადაც ვინმეს უფრო ღრმა სიტყვა ეთქვას ფარული ჭეშმარიტების ირგვლივ, ვიდრე იგი ხსენებულ მოზაიკაშია ამეტყველებული ანონიმი ოსტატის მაღლიანი ხელის მიერ. შეიძლება ჟამთა სიავის გამო მსგავსი ქმნილებები აღარ შემოგვრჩენია.

რადგან თასისა და ნამგალა მთვარის სიმბოლო ღვთისმშობელი — იესოს იკონოგრაფიის ერთი უჩვეულო ელემენტიაგანია და შემთხვევითი არ არის, რომ ასეთ კომპოზიციურად მნიშვნელოვან ადგილას არის ჩართული, მას პასუხიც უნდა მოეპოვებოდეს და ამ პასუხის ამოცნობაა სწორედ მნიშვნელოვანი, არა მხოლოდ ჩვენი სულიერი კულტურის აღდგენის მიზნით, არამედ, საერთოდ ქრისტიანული მისტიერიის ამოცნობის თვალსაზრისითაც.

რას შეიძლება ნიშნავდეს, ან რა საიდუმლოს ინახავს ეს სიმბოლო? ხშირად ისტორიული ფაქტის დასადგენად საკმარისია ერთი სიტყვა ან ერთი მოტივი. გელათის კედლის სიმბოლიკას წმიდა ბარძიმის (გრაალი) საკითხთან მივეყვართ.

ქრისტიანული გადმოცემის მიხედვით, საიდუმლო სერობის დროს, იესო ქრისტემ თავის მოწაფეებს თასით (ბარძიმი) „სასუმელი“ (მარკოზი 14,23) მიაწოდა და ამცნო: „ესე არს სისხლი ჩემი ახლისა სჯულისაჲ, მრავალთათჳს დანთხეული“ (მარკოზი 14,24).

...და როდესაც გოლგოთაზე ჯვარცმულ იესო ქრისტეს „ერთმან ერისაგანმან ლაზურითა უგმირა გოგერდსა მისსა“ (იოანე 19,34), ჭრილობიდან მომდინარე სისხლი იოსებ არიმათელმა,

* სოფლის კენჭი. სართო.

„რამეთუ იყო იგი მოწაფე იესოსი ფარულად“ (იოანე 19,38), ბარძიმში დააგროვა. ამ სისხლს მოაქვს ცნობიერების ფერიცვალების, განახლების ძალები, რაშიც ქრისტიანობა ხედავს თავის უმაღლეს იდეალს. ბარძიმში განსახიერებელია ღვთიური სიყვარულის იდეალი. მის კეთილშობილურ ფორმაში უკეთილშობილესი აზრია მოთავსებული. გერმანელი რომანტიკოსის — ნოვალისის ხატოვანი თქმით: „სიყვარული — სწორედ ეს არის „მე““.

არსებითად წმიდა ბარძიმის ცნებაში იგულისხმება ის, რაც ღრმა ჭეშმარიტი სიტყვებით გამოხატა ნეტარმა ავგუსტინემ: „რასაც ახლა ქრისტიანობას ვუწოდებთ, ის ყოველთვის არსებობდა“. იგი დაკავშირებული იყო მზის მისტერიებთან, რომლის ცენტრში იდგა „ნათელი ჭეშმარიტი“ (იოანე 1,9), რომელიც ერთხელ მოგვევლინა „შობილი მამისა მიერ“ (იოანე 1,14) „დეემკვდრა ჩუენ შორის“ (იოანე 1,14) და ქრისტოლოგიაში ცნობილი გახდა, როგორც ჯვარცმული „სიტყვა“. იგი უჟამო, ძველთაძველი და მარად ახალი სიბრძნეა. უჟამო ჟამში მოექცა, „დედამიწის ძალებს შეუერთდა, ადამიანის ცოდვილი სხეული მიიახლოვა და გოლგოთაზე სიკვდილითა სიკვდილი დათრგუნა! „და ვითარცა იგი ადამის გამო ყოველნი მოწყდებინა, ვერეთცა ქრისტეს მიერ ყოველნი ცხოველ იქმნენ“ (1 კორინთ. 15,22). დედამიწამ ღვთიური სიყვარულის მაღლი მიიღო. „მე“ და ღმერთი ერთმანეთს დაუახლოვდა. ამ ისტორიულ მოვლენას პავლე მოციქული, თვით ამ სიყვარულის სხივით ნათელღებული, გამოეხმაურა გალატელთა მიმართ მეორე ეპისტოლეში: „ქრისტეს თანაჯუარს-ცუმული ვარ, ხოლო ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემ თანა ქრისტე“ (2 გალატ. 19—20), რომელიც უდიდესი სინათლით ავსებს ადამიანს და არის მთელი ქრისტიანული მრწამსის ქვაკუთხედი.

* * *

აი, ღვაწლი „დავით ღმრთის-მსახურისა და ღმრთივ-დაცვულისა“, ვინც თავის თავს „მესიის მახვილს“ უწოდებდა, ვინც იდგა აღმოსავლეთისა და დასავლეთის შესაყართან ქრისტიანთა წინა ბურჯად, და ვისი სიბრძნე მართო ჩვენ არ გვანცვიფრებდა.

დავით აღმაშენებელს ჭაღაროსან მეფეს ვერ ვუწოდებთ, რადგან ჭაღაროსან ასაკამდე მან ვერ მიაღწია. ღვთისმოსავ მეფეთა მსგავსად თავმოდრეკილი, უჩუმრად გაეყარა ქვეყანას, ვისი ღვაწლის ჩამოთვლა შეუძლებლადაც მიგვაჩნია. ჩვენს მეხსიერებაში დავითი რჩება, როგორც თავისი წილხვედრი ეპოქის სულიერი გზების მანათობელი, უდიდესი ჰუმანიზმისა და სიკეთის ჩაუქრობელი კანდელი. 1125 წელს 52 წლისა გარდაიცვალა და შეუერთდა სამყაროს უსასრულობას,



ალავერდის ტაძარი. XI ს.

„რომლის შუენიერება არა უხილავს თუალსა სხეულიანსა“. ჟამის აღსრულებით იგი თავის თავს კი არ მოუკვდა, არამედ — თავის ერს და მისივე ანდერძის თანახმად ნათლითმოსილი მისი „გუამი“ დაიკრძალა გელათის შესასვლელთან, მონასტრისა და აკადემიის შენობების შემაერთებულ გზაზე, იქ, სადაც სიბრძნით ამეტყველებული სიყვარულის სული სუფევდა.

36 წლის მანძილზე ქრისტეს ჯვრით ხელში თავგამოდებით იდგა ჩვენი ერის მწედ და მფარველად პიროვნება, რომლის მიცვალებამ გლოვის ზარივით გაიხმაურა მთელ ქვეყანაზე, მაგრამ ერთი ნუგეში კი დაუტოვა თავის ხალხს: ძღვევისა და აღორძინების ძალა არ ეკარგება იმ ქვეყანას, რომელსაც ებადება მისნაირი სახელოვანი შვილი.

„აი, ამისთანა კაცის ხსენებაა გამაცოცხლებელი ერისა და ამისთანა კაცის არ-ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა... ჩვენმა დამცველმა ეკლესიამ ეს კარგად იცოდა და ამიტომაც, მან 26 იანვარი დაგვინიშნა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გავიხსენოთ ეს ქართველისათვის თავმოსაწონებელი დიდებული კაცი.

...კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, — ამ-

ბობს ჩვენი ერი: ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდ-ბუნებოვანმა კაცმა წაიყოლია სახელი წმიდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი“ (ი. ჭავჭავაძე).

მისი ცხოვრება იყო ერთი დიდი მაგალითი იმ დაუსაბამო და უსასრულო სულიერი მოძრაობისა, ვისაც უკვდავება მხოლოდ მატერიალურ სიცოცხლის ტერმინებში არ ჰქონდა წარმოდგენილი, არამედ იმ იდუმალებით მოცულ ხმაში, რომელიც დღენიადაგ ჩასჩურჩულებდა: „მოვედინ ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტურთმძიმენი, და მე განგისუენო თქვენ“ (მათე 11,28).

* * *

„საყუარელნო, ვიყუარებოდით ურთიერთას, რამეთუ სიყუარული ღმრთისაგან არს და ყოველი, რომელსა უყუარდეს, ღმრთისაგან შობილ არს და იცის ღმერთი. რომელსა არა უყუარდეს, მან არ იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყუარულ არს“ (1 იოანე 4,7-8).

თინათინ ბურაულაძე



ჩვენნი


„ღმერთს შევთხოვ, დაუბრუნოს საქართველოს თავისი ხელოვნების საგანძურია“ — წერს პარიზიდან გამოგზავნილ ერთ თავის წერილში დიდი ექვთიმე თაყაიშვილი... ეს სიტყვები იმ საეკლესიო ჯვარ-ხატებს ეხება, რომელიც ოციან წლებში საზღვარგარეთ გაიტანეს. პირველივე დღიდან ამ განძის უცვლელი მცველი სწორედ ექვთიმე თაყაიშვილი გახლდათ... განძის, რომელიც საუკუნეებში აუნაზღაურებელ, ურიცხვ დანაკარგთა შორის შემთხვევით და სასწაულებრივად გადაარჩა. მას მსოფლიოს უძვირფასეს კმნილებათა შორის თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს.

და ახლა, როცა იგი უკვე კარგა ხანია თავისი ნამდვილი პატრონის — ქართველი ერის საკუთრებაა, უმძაფრესი განცდით ვკითხულობთ დიდი მამულიშვილის ვედრებით საუკუნე წერილებს, სადაც მოთხრობილია ამ განძის ევროპაში „მოგზაურობის“ ისტორია, მისი ბედი...

თვალს ვავლებთ აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის წიგნსაც „საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება“ და სხვ. ყოველივე ეს სულის ისეთი მღვდლარებითა და ტკივილითაა აღწერილი, რომ ჩვენ ხელახლა გვეუფლება საშინელი შიში... ხომ შეიძლება იგი ოდესმე დაკარგულიყო. ქართველი კაცი-სთვის ერთი წამითაც შეუძლებელია ამის წარმოდგენა.

* * *

ქართული სულიერი ზესწრაფვისა და შემოქმედი გენიის ერთი საოცარი გამოჩაბება ჩვენი წარსულის, უმეტესწილად უსახელო ოსტატების ხელით შექმნილი ჰედური ხელოვნების ნიმუშები, კერძოდ ქრისტიანული ჯვარ-ხატები. ამ ჯვარ-ხატებთან საუკუნეთა მანძილზე დაჩოქილი და მსასოფარი ლოცულობდა ჩვენი წინაპარი. ამ ჯვარ-ხატებს ჰქონდათ



სასწაულებრივი ძალა. მათი უმეტესობა დღეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის უნიკალური ფონდის საკუთრებაა. იგი ჩვენი ეროვნული საგანძურის ნაწილია.

ქართველი მეფეები ოდესღაც ამ ჯვრებით მიუძღოდნენ წინ მამულის დასაცავად ომში წასულ ვაჟკაცებს. ღვთისმსახურნი დაჩოქილნი შესთხოვდნენ მათ ძალმოსილებას ქვეყნისა და ხალხის სიცოცხლეს.

მუზეუმის დარბაზებში მონაცვლეობით კედლებიდან გადმოდიან, მოგზაურობენ გარდასული საუკუნენი და თავიანთ მხატვრულ სახეს — ძველ ოსტატთა გადარჩენილ ფიქრებს გვაცნობენ. ეს ჯვარ-ხატები მიგვანიშნებენ ხელოვნების ამ უძველესი დარგის წარმოშობა-განვითარებისა და მის მხატვრულ ამოცანათა ცვალებადობაზე თვით წინაქრისტიანული ხანიდან XIX საუკუნის მიწურულამდე.

ჩვენს წელთაღივცხამდე IV—III ათასწლეულებში საქართველო და კავკასიის სხვა რაიონები მეტალურგიის ცენტრებს წარმოადგენდნენ. საქართველო სპილენძსა და ბრინჯაოს აწვდიდა მცირე აზიის ქვეყნებს. ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის თრიალეთში აღმოჩენილი მდიდარი სამარხები... ოქროს თასი, შემკული ხეველი ორნამენტით — „გრეხილური“ და ფერადი ქვებით. აქვე, ერთ-ერთ სამარხში ნაპოვია ვერცხლის თასი მრავალფეროვანი კომპოზიციით: იგი გამოსახავს რელიგიურ მისტიკას, რომელიც ნაყოფიერების კულტანაა დაკავშირებული. სპეციალისტები მალაღ შეფასებას აძლევენ შუა ბრინჯაოს ხანის ოქრო-მჭედლობის ნიმუშებს... მოპოვებულია მრავალრიცხოვანი საყურადღებო მასალა, რომელიც ისტორიაში „თრიალეთის ყორღანების ბრწყინვალე კულტურის“ სახელითაა ცნობილი.

ჯვარ-ხატები

არანაკლებ საინტერესოა ანტიკური ხანა... ამ პერიოდში უკვე კარგად შეინიშნება ორი სტილისტური მიმართულება. ერთში აირეკლება ანტიკურ მხატვრულ ტრადიციათა გავლენის ნიშნები, მეორეში მკაფიოდ ჩანს ეროვნული მხატვრული ტრადიციის საფუძვლები.

მაგრამ ყველაზე მალაღ განვითარებასა და სრულყოფას ქართული ჰედური ხელოვნება ქრისტიანობის ხანაში აღწევს და ეს გასაგებია. სწორედ ამ პერიოდიდან (ივლისსხმება IV—V საუკუნეები და მათი შემდგომი პერიოდი) საქართველოს სახელმწიფო თანდათან ძლიერდება და იგი განვითარების ისეთ სიმაღლემდე აღის, რომ მწერალი-მემატიანე გიორგი მერჩულე ხმამაღლა აღნიშნავს: „ქართლად ფრიალი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ყამი შეიწირვის და ლოცუჲა აღესრულების“. ქრისტიანობა ერთ სხეულად კრავს და აერთიანებს მთელ ქვეყანას, აღავსებს მას სულიერი ძალმოსილებით, შემოქმედისადმი ერთიანი თაყვანისცემით. მისი განვითარება თავის ზენიტს XI—XII საუკუნეებში აღწევს. ბუნებრივია, ყოველივე ეს სათანადო გავლენას ახდენს ერის სულიერ ცხოვრებაზე, მის შემოქმედ სულზე... ამიტომაცაა, რომ ამ პერიოდში საქართველოში იქმნება მსოფლიო მნიშვნელობის, სავსებით უნიკალური და ეროვნულ ფესვებზე აღმოცენებული ხუროთმოძღვრება, ფრესკული მხატვრობა, ჰედური ხელოვნება. იწერება „ვეფხისტყაოსანი“,

საეკლესიო საგალობლები, ღორძინდება ფილოსოფია, მედიცინა... იზრდება და იხვეწება მწიგნობრობის დონე, ჩნდება აკადემიები (გელათში, იყალთოში...) და სხვა მრავალი. ყოველივე ეს თავისი მხატვრული ფორმითა და შინაარსით სავსებით შეესატყვისება მაშინდელი ქართული ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგიასა და გემოვნებას. ამ პერიოდის ქართული სამონასტრო ცენტრები საქართველოშიც და უცხოეთშიც ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარების დიდ კერებს წარმოადგენენ.

იქმნება მხატვრულად სრულყოფილი და დასრულებული ფორმები, იხვეწება ხაზები, იწყება ძიება ახალი გამომსახველობითი საშუალებების მისაღწევად. იცვლება მხატვრული ამოცანები. დასაბამი ეძლევა პლასტიკურ ფორმათა უსასრულო განვითარებას.

და აი, ჩვენს თვალწინაა ზარზმის ფერისცვალების ფერწერული ჰედური ხატი. იგი „ძიებათა ეპოქის“ საეტაპო ნაწარმოებია. ესაა ორფიგურულიანი კომპოზიცია. ვაოცებს მასზე გამოსახული, ამ დროისათვის უჩვეულო, საოცრად მეტყველი ხელები და ამ ხელებით შექმნილი ურთიერთკონტაქტი, დეტალებში მოცემული პლასტიკობა, ცისფერი ფერის დომინირება და ასეთივე ცისფერის მიწის ფერთან დაპირისპირება. ეს ლეგენდარული, სასწაულმოქმედი ხატია. იგი მზნ წელს შეუჭედვინებია ზარზმის მონასტრის წინამძღვარს პავლეს. ხატი, თუმცა საკმაოდ დაზიანებულია, მაგრამ მაინც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

ამ ხანიდან ქართული ლითონმქანდაკელობის ისტორიაში ადამიანის სხეული თავისი მთლიანი, დაუნაწევრებელი პლასტიკური სახით ჩნდება. ამის მაგალითია იშხნის საწინამძღვრო ჯვარი, რომელზედაც გამოსახულია იესო ქრისტეს ჯვარცმა (973 წ.).

მხატვართა წინაშე დგება პლასტიკურ ფორმათა შეგრძნების, მისი შემოქმედებითად გააზრებისა და გამოსახვის ამოცანები, რაც სრულიად ახალი საქართველოს (და არა მარ-

ტო საქართველოს) იმდროინდელი ხელოვნების ისტორიაში.

ეს ახალი მხატვრული ამოცანები ეპოქის სტილისტურ ნიშნებად გვევლინება. იგი მკაფიოდ აისახა ქვაზე კვეთილ რელიეფებსა და ლითონზე პლასტიკის იმ ძეგლებში, რომლებიც X—XI საუკუნეთა მიჯნას განეკუთვნებიან.

თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს ქართული ოქრომქანდაკელობა XI საუკუნიდან აღწევს. ამ პერიოდის ნამუშევრებში უკვე დასრულდა პლასტიკურ ფორმათა მხატვრული გამოსახვის ძიება. სხეული აქ მოცემულია მწყობრი პრაორციებით. ხდება რბილი მოდელირება. იგრძნობა პერსონაჟთა ფსიქოლოგიური დახასიათების სიღრმე და ერთგვარი ემოციურობაც კი. მათი კომპოზიციური აღნაგობა რთული და მეტყველია. სწორედ ამ თვისებებით მიიქცია შუა საუკუნეების ქართულმა ოქრომქედობამ საერთო ინტერესი. ნიმუშისათვის შეიძლება დავასახელოთ თუნდაც მარტივლისა და საფარის (ბრეთი) საწინამძღვრო ჯვრები, იოანე მონისძის მიერ 1040 წელს შესრულებული ლორფინები, ცაგერის ღვთისმშობლის ჰედური ხატი, ლაკლაკისძეთა მიერ შეწირული ღვთისმშობლის ხატი ზარზმიდან, გელათის ტონდო წმ. მამას გამოსახულებით და სხვა მრავალი.

XII საუკუნე...

მემატიანე თამარის ეპოქის ძლიერებასა და ქვეყნის საგანძურზე გვიამბობს:

„აღივსნეს ყოველნი საგანძურნი სამეფონი ოქროთა და კურკულითა ოქრომსათა, რამეთუ მიწისა მსგავსად შეისხმოდის ოქროსა, ხოლო თვალსა და მარგალიტსა წყვით დასდებდეს... ხოლო ვერცხლის კურკულსა არღარა აქუნდა პატივი პალატსა შინა მეფისასა, რამეთუ ყოველი ოქროსი და ბროლისა წინაგებული იყო“.

ხატები მოიჭედა ვარძიაში, ყინწისში, ბეთანიაში... ბრწყინვალე ოსტატობით მოიხატა მონუმენტური ფრესკები.

სწორედ ამ ეპოქაში სახელგანთქმული ოქრომქანდაკელები: ბექა და ბეშქენ ოპიზრები ახალ პლასტი-

კურ ამოცანებს წყვეტენ და ოქრომქედლობის უმაღლეს დონეს აღწევენ. ისინი ქმნიან სრულიად ორიგინალურ, თავისებური მხატვრული ფორმის მქონე ორნამენტს, რომელსაც საფუძვლად ეროვნული დეკორატიული ხელოვნების ტრადიცია უდევს. მათ ნამუშევრებში ჩანს საკუთრივ პლასტიკური ამოცანების სრულყოფა და დახვეწილობა.

„წყაროსთავისა და ბრეთის სახარებათა ჰედური ყლები, რომელთა ავტორები ბექა და ბეშქენ ოპიზრები არიან, მოწმობენ ნეიტრალურ ფონზე განაწილებული სკულპტურული ფიგურების პლასტიკურ ფორმათა შეგრძნების მაღალ დონეს, აგრეთვე, დეკორატიული ელემენტების პლასტიკური თვალსაზრისით გამოსახვის ცდებსაც. ანჩისხატის კარდის ჩარჩოს მოჭედობაში, რომელიც ბექა ოპიზრის მიერაა შესრულებული, პლასტიკურად მოდელირებული ფიგურები დეკორატიულად გააზრებულ ფონზეა მოთავსებული: (გ. აბრამიშვილი, „საქართველოს ხელოვნების საგანძური“, 1977 წ.).

ამ პერიოდშია შექმნილი გასაოცარი ხაზულის კარედი, რომელიც თავისი სრულყოფილებით, ტიხრული მინანქრის სიუხვითა და სიმშვენიერით მსოფლიო ხელოვნების საესეებით უნიკალურ შედეგარადა აღიარებული.

ღვთისმშობლის ხატი მეფე დემეტრეს ოქროსა და ელექტრუმის მასალაში მოუჭედვინებია... კარდის სიბრტყე მცენარეული ორნამენტითაა დაფარული.

XII საუკუნის უძვირფასეს საგანძურთაგან არ შეიძლება არ დავასახელოთ ლალით, ზურმუხტითა და მარგალიტით შემკული ოქროს ძვირფასი გულსაკიდი ჯვარი, რომელსაც თამარი ატარებდა. იგი ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება და თავისი სინათლით მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს.

ქართული ხელოვნების, ასევე საუკეთესო ნიმუშია გელათის ჰედური ხატი. იგი მკაფიოდ გამოხატავს ახალ სტილისტურ მიმართულებას. ესაა მაცხოვრის ფერწერული გამოსახულება, რომელიც შემკულია ოქროს ფირფიტებით. მისი ზედაპირი




დაფარულია სევადით შესრულებული ფაქიზი და რთული გრაფიკული ნახატი. ასეთ დეკორატიულ გადაწყვეტას კიდევ უფრო აძლიერებს ტიხრული მინანქრის მედალიონები და მაცხოვრის შარავანდი. ხატი შემკვათ სვიმონ ჭყონდიდელის სახსრებით.

ასევე XII საუკუნეს ეკუთვნის გელათის სამი ტიხროვანი მინანქარი..

უნდა ითქვას, რომ ქართული ტიხრული მინანქრის ხელოვნება საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს. მისმა პირველმა ნიმუშებმა კი ჩვენამდე VIII—IX საუკუნეებიდან მოაღწიეს. ისე, როგორც სხვა უამრავი რამ ქართული ხელოვნების საგანძურადან, ტიხრული მინანქრის უძვირფასესი ნაკეთობანიც უწყალოდ ბევრი დაიღუპა. უამთა სიავემ და წარსულის ბედუკლმართობამ შთანთქა მინანქრით გამშვენებული უძვირფასესი ხატები და წმიდანთა გამოსახულებანი... ბევრი სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციებშია გაფანტული. და მაინც... ქართული ტიხრული მინანქარი თავისი უაღრესად მაღალმატერული დონითა და ხარისხით, ასევე, თავისი რაოდენობით, თვით ვენეციის მინანქრის უმდიდრეს კოლექციას უწევს მეტოქეობას.

დღემდე ამოუხსნელია ფერთა შეხამების ასეთი სრულყოფის რა საიდუმლოს ფლობდნენ ძველი ქართველი ოსტატები... ძალზე რთული და ჯერჯერობით მიუღწეველია ეს ტექნიკა. ერთი კი ცხადია, მასში, როგორც მაშინდელ (შუა საუკუნეების) არქიტექტურასა თუ ოქრომკედლობაში, საოცარი სისავსით ჩანს ხალხის სული, მისი მისწრაფება. იგი მკიდრო კავშირშია მაშინდელი საქართველოს კულტურულ ყოფასთან, ხელოვნებასთან და თავისი დახვეწილი, მხატვრული დონით მსოფლიოს ზეალმაველი ხელოვნების მასშტაბებს სწვდება.


„მოსკოვში მუშაობის დროს განსაკუთრებით მაინტერესებდა მ. პ. ბოტკინის კოლექციის ბედი — იგონებს აკად. შალვა ამირანაშვილი, — ამ პირად კოლექციაში დაცული იყო ქართული მინანქრების ბრწყინვალე ნიმუშები, რომელთა დიდი ნაწილი მიტაცებული იყო საქართველოს სა-



განძურადან: გელათიდან, მარტვილიდან და ჯუმათიდან. დიდი გამოკითხვის შემდეგ გამოირკვა, რომ მ. პ. ბოტკინის კოლექცია მთლიანად იყო ჩამორთმეული მთავრობის მიერ და ინახებოდა სახელმწიფო საგანძურში. მე დაუყოვნებლივ მივმართე ამ დაწესებულების დირექტორს, რომელმაც მაცნობა, რომ მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ შეუძლია მოგვეცეს გარკვეული პასუხი — ინახება თუ არა მათ საგანძურში მ. პ. ბოტკინის კოლექცია. ამ ცნობამ ძალიან შემაწუხა. რამდენიმე დღის შემდეგ, სახელდობრ 1923 წლის 12 აპრილს, თხოვნით მივმართე რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სამდივნოს — მოეცათ ჩემთვის რამდენიმე შემოწმებული ცალი მთავრობის დადგენილებისა, საქართველოსთვის საარქივო მასალებისა და სამუზეუმო კოლექციების გადმოცემის შესახებ.

როცა დადგენილების ასლები მივიღე და გამოვედი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოდან, რომელიც იმ დროს კრემლის ერთ-ერთ სასახლეში იმყოფებოდა, სრულიად მოულოდნელად შევხვდი ი. სტალინს, ა. ენუქიძესა და ა. სვანიძეს.

შე კარგად ვიცნობდი ა. სვანიძეს, რომელიც ჩემი სტუდენტობის დროს



მარტვილი, სანაწილე ჯვარი. XI ს.

საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა. იგი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო საქართველოს უძველესი ხანის ისტორიის საკითხებით. მან თავაზიანად გააცნო ჩემი საქმიანობა ი. სტალინსა და ა. ენუქიძეს და მკითხა, როგორ მიმდინარეობდა კოლექციების მიღების საქმე. მე დაწვრილებით მოვახსენე საქმის ვითარება და კერძოდ შევეჩერდი იმ დაბრკოლებაზე, რომელიც აფერხებდა მ. პ. ბოტკინის კოლექციების მიღების საქმეს. ა. სვანიძემ მიმართა ი. სტალინს: „ამხანაგო სოსო, გთხოვთ დაეხმაროთ ამ ახალგაზრდას“. ი. სტალინმა უბის წიგნაკი ამოიღო, თავისი ტელეფონის ნომერი ჩაწერა, ფურცელი გადმომცა და მითხრა: „ხვალ დილის 11 საათზე დამირეკეთ და მაცნობეთ საქმის ვითარება“. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... მთელი დამე არ მეძინა... ყველაფერი კარგად აეწყო...

მე გადავსინჯე ბოტკინის კოლექცია. საბედნიეროდ, ქართული მინაქრის კოლექცია მთლიანად აღმოჩნდა. შევადგინე სია და მიღება-ჩაბარების აქტი. კოლექციაში აღმოჩნდა გელათიდან წაღებული ლეთისმშობლის ხატი მინაქრისა, რომელიც ერთ დროს ამუშვენებდა ხახულის კარდის ხატის ცენტრალურ ნაწილს. აქ იყო

ჯუმათისა და შემოქმედის ტაძრების მინაქრის ხატები, ჯვრები და სხვა განძეულობა. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ ეს განძეულობაც საქართველოში ჩამოვიტანეთ და ამჟამად ქართული მინაქრების ეს ძვირფასი კოლექცია, სხვა ეროვნულ განძეულობასთან ერთად, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული“.

(აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი „სხვადასხვა დროს საქართველოდან გატანილი განძეულობა და მისი დაბრუნება“).

შალვა ამირანაშვილი სიცოცხლის ბოლომდე ხელოვნების მუზეუმის უცვლელი დირექტორი იყო. ყველაზე მეტად სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული ამ განძეულობის დაბრუნების ისტორია...

თამარის ეპოქის შემდგომ საქართველოს ძნელბედობის ხანა დაუდგა. მტერთა ურიცხვმა შემოსევებმა ძლიერ მოადუნა და შესცვალა ქვეყნის როგორც ეკონომიური, ასევე კულტურული განვითარების ბუნიებრივი პროცესი. ყოველივე, ცხადია, ხელოვნების კერძოდ, ოქრომჭედლობის ერთ დროს ასე საოცარ სიმაღლეებში ასულ ოსტატთა ნახელავსაც დაეტყო... იგი დაქვეითდა, თუმცა არსებობა მაინც არ შეუწყვეტია... ამის ერთი მაგალითი თუნდაც XIV საუკუნეში შექმნილი ანჩისხატის კარედია, რომლის შიდამოჭედილობა მანდატურთუხუცეს ბექას ქტიტორობით შესრულებიათ. იგი ერთგვარად ჰვავს ბექა ოპიზრის ორნამენტს... თუმცა ეს მსგავსება მხოლოდ გარეგნულია. ანჩისხატის კარედის ავტორი, ცხადია, მისი დიდი წინაპრების დონეს ვერ სწვდება, მაგრამ ნიჭიერი და შთაგონებული ოსტატია.

ხელოვნების ერთგვარი გამოღვიძება XVI საუკუნიდან იწყება. ამ პერიოდის კედლის მხატვრობა და ოქრომჭედლობა წინა საუკუნეების ტრადიციას განაგრძობს, მაგრამ მასში აღარ იგრძნობა ძიება, ახალ ფორმათა შექმნის ამოცანები... ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვანია მამნე ოქრომჭედლის შემოქმედება.

XVI საუკუნის ხელოვნება ერთფეროვან და მონოტონურ მდინარეებასაა გაყოლილი. ისტორიული სა-

ბუთები მოწმობენ, რომ საქართველოში XVII საუკუნის დამლევსა და XVIII საუკუნის დასაწყისში მხატვართა რიცხვი მეტად შემცირდა. შემოვიდა აღმოსავლური ინტონაციები...

XVIII—XIX საუკუნეების ოქრომჭედლობაში კი შეიმჩნევა დასავლეთ ევროპული ხელოვნების გავლენა. ეს ხანა, ისე როგორც XIII საუკუნის შემდგომი პერიოდი, უმძიმესია საქართველოს ისტორიაში. იგი სავსეა მტერთა ურიცხვი შემოსევებით, ლაღით... სავსეა ტვიცილით. ყოველივე ეს, ცხადია, გავლენას ახდენს ერის შემოქმედ სულზე. მაგრამ ამის მიუხედავად, ქართული ხელოვნება არასოდეს ყოფილა ბრმა გავლენის ქვეშ... იქნებ ძნელად, მაგრამ მაინც ფეხდაფეხ მისდევდა მსოფლიო ცივილიზაციას და ხელოვნების საერთო განვითარების მაგისტრალურ ხაზზე იდგა.

XX საუკუნის დასაწყისსა და მის ოციან წლებში, რევოლუციის გრიგალების ხანაში ერთგული კულტურისა და ხელოვნების მრავალი ძეგლი ხანგრძლივი დროის მანძილზე სამშობლოს გარეთ აღმოჩნდა და მათ უკან დაბრუნებას წინ უთვალავი დაბრკოლება გადაეღობა.

1923 წელს, როცა ეს საკითხი რეალურად დაისვა და მისი განხორციელების იმედიც ჩაისახა, შალვა ამირანაშვილმა წერილი გაუგზავნა საფრანგეთში მყოფ მოხუც პროფესორ — ექვთიმე თაყაიშვილს და აცნობა მეტად სასიხარულო ამბავი: საბჭოთა მთავრობამ ქართველ ერს დაუბრუნა როგორც ისტორიული დოკუმენტები და ხელნაწერები, ასევე ცარიზმის დროს საქართველოდან წაღებული ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშებიო.

„ბატონებო!* — იყო საპასუხო წერილი, — როგორც მოგეხსენებათ, თებერვალში, 1921 წელს ზოგიერთი ნივთი ტფილისის მუზეუმებისა და აგრეთვე, ის ნივთები, გელათის, მარტვილის და ხობის მონასტრისა, რომელნიც ინახებოდნენ ქუთაისის ხაზინაში, წამოღებულ იქნა მთავრობის მიერ საფრანგეთში დასაცავად. და მე დანიშნული ვიყავ მეთვალყუ-

* წერილი მოგვიყვანა შემოკლებით.

რედ დამფუძნებელი კრების, სამღვდელთა და თვით მუზეუმის მიერ...

...თქვენ კარგად იცით, თუ მე როგორ მიყვარს ქართულ სიძველეებზე მუშაობა, მაგრამ ჩემს თავს ნება ვერ მივეცი, რომ რომელიმე ნივთი ან ხელნაწერი ჩამომეღო და ჩემი შესწავლის ობიექტად გამეხადა იმ შიშით, რომ ის ხელნაწერი ან ნივთი არ დამკარგვოდა. ზოგიერთმა პარიზის პროფესორმა და განსაკუთრებით, ცნობილმა ბიზანტიოლოგმა მილემ მთხოვეს ნება დამერთო ნივთები ფოტოგრაფიულად გადაეღოთ თავისი ხარჯით, მაგრამ მე უარი ვუთხარი და ავუხსენი, რომ ყუთები მუზეუმის ბეჭდებით არის დაბეჭდილი და გადმოცემული შესანახად და ჩვენ მოვალე ვართ, ასე გაუხსნელად პატრონთ ჩაეხადოთ თქო. ეხლა მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა. ნივთები უპატრონოდ არის გამოცხადებული. მე აღარა მაქვს საშუალება და უფლება ნივთების დაცვასა და ჯეროვნად შენახვას მეთვალყურეობა გავუწიო. ნებაც რომ მქონდეს, ფიზიკური მდგომარეობა არ მაძლევს ამის საშუალებას, მოხუცდი... მუხლები დამიავადმყოფდა... ძლივს დავდივარ. დღეს ვარ, ხვალ აღარ ვიქნები და ჩემთვის მეორე სიკვდი-

ლი იქნება, თუ ის ნივთები, ან მისი ნაწილი დაგვეკარგა. თქვენ უწყით, თუ რა წილი მიღვეს მე მათ შეკრებაში და მათი დღევანდელი მდგომარეობა მტანჯავს, ვერ დავმშვიდდები, მანამ ის ნივთები საქართველოს არ დაუბრუნდება და მუზეუმს არ ჩაბარდება.

...ღმერთს შევთხოვ, თავისი ხელოვნების საგანძური დაუბრუნდეს საქართველოს...

ისმინა ღმერთმა მოხუცი მამულიშვილის ვედრება და განძი, რომელიც წლების მანძილზე საზღვარგარეთ იმყოფებოდა, დაუბრუნდა საქართველოს...

სულ ახლახან კი, იგივე განძი, უფრო სწორად, იმ განძის ერთი ნაწილი, კერძოდ, ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები ისევ წაიღეს საფრანგეთში... პარიზში. უფრო აღრე კი იგივე განძი გამოფენილი იყო ვენასა და ქენევაში.

გრან პალეში, პარიზის პირველ საგამოფენო დარბაზში მოეწყო ქართული ხელოვნების დიდი გამოფენა, სადაც იგი თავისი ოთხასწლოვანი ისტორიით გაბრწყინდა. „ოქროს საწმისის ქვეყანაში“ — ასე ერქვა ამ გამოფენას. იგი 1982 წლის აპრილიდან დაწყებული, სამი თვის მანძილზე უსასრულოდ იზიდავდა მა-


ყურებლისა და პრესის ყურადღებას... აქ უხვად იყო ეპითეტები, რომელთა შორის ყველაზე ხშირად ისმოდა სიტყვა „აღმოჩენა“.

„გრან პალეში“ ჩამოტანილია განძეულობა საბჭოთა საქართველოსი, ძველი კოლხეთისა. იგი განსაკუთრებული კერაა ცივილიზაციისა, რომელიც დღეთაებრივ შუქსა და ტექნიკის ვირტუოზულ სრულყოფილებას ასხივებს. ოქროს დამუშავების ხელოვნებამ აქ განვითარებას მიიღწია წინასტორიულ ხანაში. ოქრო ქართველებს მისცა ბუნებამ, მაგრამ მათ დამტკიცეს, რომ დაიმსახურეს იგი. ოქრომჭედლობა დედოფლად ზის ვესქინის პონტზე. ოქროს ღვინის ქანდაკება შესრულებული ოთხი ათასწლეულის წინ, ამტკიცებს, რომ ხელოვნებაში პროგრესი არის აბსურდული ცნება“, — წერს ეურნალი „ექსპრესი“.

„კეთილშობილება და სიდიადე შავი ზღვისპირეთის ქრისტიანული აღმოსავლეთისა, — წერდა გრან პალეს გამოფენის გამო ნიციის გაზეთი „ნის მატენ“, — ექლა ცივილიზაციისა, რომელმაც არ უწყოდა, რომ იყო უკვდავი, დღეს ჩვენ ვიცით, რომ იგი უკვდავია“...

მარგველი ეპისკოპოსი
ძარისტავრომ (წამალიძე)





მცხეთა. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, XI ს.

იზიარებელი იტყვის

სწავლა მეორედ მოსვლისათვის ქრისტესა

„აღდგა იესუ განთიად ერთშაბათისა მის“. — წმიდა (მარკოზ) მახარებელი იტყვის.

ძმანო, ერთშაბათი კვირიაკედ გამოითარგმანების, დიდსა მას დღესასწაულად, რომელსა მოველით აღდგომისა დღესა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესა და განვეშადებთ ყოველნი და გვიხარის დღისა მისთვის მხოლოდ არა ერისკაცთა, არამედ ჩვენ მონაზონთაცა, და გვენებას სწრაფით მოსლვა. და დღე და ღამე არს საგონებელ ჩვენდა: ვითარ ვიყვნეთ და ვითარ განვეშადნეთ და რა-ძი ვპოვოთ მას დღესა პირის საკსარი, ანუ სამოსელი გვათა ჩვენთათვის?

აჰა სამეოცი დღე არს, ვიდრე ზატიკადმდე და აწვე მას ვიგონებთ და მისსა მოსლვასა ეხარობთ და ზვალე და ზევე მოვალს მარხვა ესე წმიდა და პატიოსანი, არცა მოსლვისა მისისა სიხარული გვაქვს, არცა განვეშადნებით მისთვის, რომელ არს განმწმედელი სულთა ჩვენთა და მაცხოვარი ჩვენი.

ძმანო, უკეთუ მას ერთსა კვირიაკესა მოსლვასა იხარებთ, რომელსა შინა ქრისტე აღდგა, ესე ორმეოცი დღე, რომელიცა ქრისტემან იმარხა, ესეცა რად სიხარულად არა მიგანსთ და სთვლით დღეთა მისთა, ოდეს შემოკლდეს, და ესწრაფების აღდგომის დღესასწაულისათვის? თურე არა ქრისტეს აღდგომისა სიხარული გავქვსთ, — ღვივისა, სანოვავისა და ნაყროვანებისა და ზვაობისა და სილალისა. შვილთა მათთათვის განვეშადებთ და მოსვლა მათი გიხარისთ. თუცა არა მარხვა, ესეცა რად არა მოსალოდებელ არს, რომელსა შინა არს მარხულობა, ლოცვა, ცრემლი, მუხლთდრეკა, სიმდაბლე, სიმშვიდე განმარწყინებელი სულთა? ქრისტე აღდგა, ერთგზის აღდგა, ვითარცა მოციქული იტყვის: „ქრისტე მოკუდა, ერთგზის მოკუდა, ცოდვით მოკუდა, არღარა მოკუდეს და სიკუდილი მის ზედა არღარა უფლებდეს“¹.

ხოლო დღესასწაული შემდგომად აღდგომისა მრავალგზის მოსრულ არს და წარსრულ არს და მრავალგზის მოვალს, იგიცა წარვალს, რასა განვეშადებთ მისთვის? ქრისტე მოკვდა და აღდგა, არღარა მოკვდეს, არამედ შენ მოჰკვდები და აღდგომად ხარ, ამას აღდგომასა მოელოდე, ჩვენ აღდგებით და მკვდრეთით აღდგომილი ქრისტე მოვალს. რასა ეშადებთ ამა დღესასწაულსა აღდგომისასა? იხილო აღდგომა, არა იხილო ქრისტე აღდგომილი, არცა ანგელოზნი, არცა წმიდანი, არამედ აღდგომასა შენსა ქრისტე იხილო აღდგომილი და ყოველი სათნო ყოფილი მისნი, მისთვის განვეშადებოდე. მას ჩვენსა აღდგომასა უეჭველად მოვალს ქრისტე, მოვალს მეორედ,

მოვალს ორითვე მით ბუნებითა, ვითარცა პირველ მოვიდა. მოვალს ხორციითა, რომელ მარიამისაგან მიიხვნა წმიდისა ქალწულისა, მოვალს არამედ არა ეგრეთ სიმდაბლით, ვითარცა პირველ სიგლახაკით:

მაშინ ღმრთაებისა ბუნებასა კაცებისა ბუნებითა ჰფარვიდა წინაშე თვალთა კაცთასა, აწ კაცებისა ბუნებასა ღმრთაებისა ბუნებასა გარდაპრევს. მაშინ ქვაბსა შინა იშვა და ბავასა პირუტყუეთასა მიიწვინა, მერმე ქერობინთა ზედა მჯდომარე მოვალს. მაშინ მარიამ/და იოსებ იყვნენ, მერმე სრულობით ზეციერი წინა მოუძღვიან. მაშინ პეროდესაგან ივლტოდა, მერმე ყოველნი მეფენი ზარ-განჯღილი შეძრწუნდებიან. მაშინ სიმშვიდით და სიმდაბლით შრომით ვიდოდა, მერმე სიმალლით მოვალს, რათა, რომელიცა მისთვის დაშვრა, მას სასყიდელი მიაგოს. მაშინ ასისთავი და მეზვერენი აწვევდენ სახლად მათდა და მერმე წამისყოფა შემოჰკრებს საუკუნოთაგან მიცვალეზულთა. მაშინ მეძვანი და მემრუშენი ამბორსუყოფდენ და მერმე ცოდვილი სავალალოდ შეიქმნებიან. მაშინ პურიანი მისთვის წარწყმედად შეითქმოდენ და მერმე მიგებად მათდა მომავალ არს. მაშინ პილატე და პეროდეს მიერ განიკითხებოდა და მერმე ყოველნი მსაჯულნი ამის მიერ განისაჯებიან. მაშინ პურიათაგან იგინებოდა, მერმე ზეცისა ძალთაგან იდიდების. მაშინ ავაზაკთა მიერ იყვედრებოდა, მერმე მთავრობათაგან იქების. მაშინ მოციქულნი დაუტევებდეს და ივლტოდეს და მერმე ნათლის ღრუბლითა აღტაცებულნი მოუძღვიან. მაშინ ჯვარსა ზედა ამაღლდებოდა, მერმე ძველი დიდებითა საყდართა ზედა მჯდომარე იქმნების. მაშინ სისხლი ქრისტესი ქვეყნად ჩამოეწვეთებოდეს, მერმე მდინარენი ცეცხლისანი აღმოედინებოდა წინაშე მისა ცოდვილთა შესაქმელად. მაშინ იულა ერთი მოიშობდა თავსა თვისსა, მერმე ყოველნი ცოდვილი დაიშობიან ცეცხლსა საუკუნესა. მაშინ ქვეყანა შეიძროდა, მერმე სრულიად ძენი კაცთანი შეძრწუნდებიან. მაშინ მცირენი კლდენი განსქდებოდეს, მერმე ჯოჯოხეთი განსქდების ცოდვილთათვის შეჰმად. მაშინ კრეტსაბმელი განიპებოდა, მერმე ცანი წარიგრაგნებოდა. მაშინ მზე დაბნელდებოდა, მერმე მზე და ვარსკვლავნი შთამოცივიან. მაშინ ქრისტე საფლავად დაიდებოდა, მერმე საფლავთა მყოფი ყოველნი შიშით აღდგებიან.

რასა განვიზარახავთ, ძმანო, ამა აღდგომისათვის განვიზარახოთ. ძმანო, მის აღდგომისათვის ვშვებოდეთ. მაშინ გვეკმარების სამოსელი, მაშინ გვიქმს ჭამალი, მაშინ გვინდა, რათამცა შევიკრიბოთ ნუზლი, ვინაათგან გრძელსა გზასა მიმავალ ვართ. მოვალს უფალი ჩვენი, მოვალს ღმერთი ჩვენი, მოვალს მოძღვარი ჩვენი, ჩვენ-

¹ რომ. 4, 9—10.



თვის დამდაბლებული, ჩვენთვის დაგლახაკებული, ჩვენის ტყვეობისათვის განყიდული; ჩვენ წარწყმედულთათვის ჭვარცმული. მივეგებოდეთ ნებსით, ვინაჲთვან ძალად მისაგებად ვართ. იგი მოვალს ძლიერი ძალითა უძლეველითა, მოაქვს ჩვენდა საჩვენებელად და გვეტყვის: „პოი დაბადებულნი ჩემნი და შექმნილნი მიწანი ჩემგან განცხოველებულნი, ესე მიქმნია თქვენთვის (ესოდენნი ტანჯვანი თავსა მისხმან)“. თავსა გვაჩვენებს ეკლის ნაწერტსა, ყვრიმალსა ნაცემსა, პირთა პატიოსანთა ნანერწყვთა, ბეჭთა შოლტითა ნაცემთა, ხელთა და ფერხთა დამსკვალულთა, გვერდთა ლახვრითა განღებულთა და გვეტყვის: „ამით გამოვიხსენ, ამით აღმოვიყვანე ჯოჯოხეთით. აჰა, ამისი მაგიერი რა ძღვენი მოგაქვს თქვენ ჩემდა?“ რა-მე მიუპყრათ, ძმანო? ამისთვის განემზადენით: რა-მე უთხრათ? რა-მე მიუგოთ? განარჩევს ღირსთა ცოდვილთაგან, ვითარცა კრავთა და თიკანთა, ვითარცა ბრძანებს მათეს სახარების კმ.ლდ და ეტყვის მარჯვენითა მათ: „მოვედით, კურთხეულნი მამისა ჩემისანო და დაიმკვდრეთ სასუფეველი ცათა, რამეთუ მშობილ და მეცით მე ჰამადი, მწყუროდა და მასუთ მე, უცხო ვიყავ და შემწყურებ, სნეულ ვიყავ და მოხედეთ, საპყრობილესა ვიყავ და მოხედით“¹... და შემდგომ ამისი.

პოი, რა სანატრელი არს ხმა იგი, რა ადვილ საშოვარ სასუფეველი? მცირედისა წყლისა სმევისათვის მის-

ცემს კურთხევასა მამისა მისისასა, სნეულთა ნახვისათვის დაუძვიდრებს სასუფეველსა, უცხოთა შემწყურებისათვის ჰყოფს მსახურ თვისად.

ვაი, ჩვენდა რა მცირედისა დეაწლისათვის მოგვიძულბიეს სასუფეველი?

სასუფეველი გასმიესთ, ძმანო, და არა უწყით სასუფეველი მისი, თუ რა არიან ანუ ვითარ არიან მყოფნი მუნ, არა ითქმის კაცთა მიერ, გულისხმა-ყოფების, ვითარცა იტყვის წმიდა პავლე: „ენამან კაცობრიგმან ვერ გამოთქუნეს და გულსა არა მოუხდეს“, ხოლო წმიდა სახარება ბრძანებს: „მამინ მართალნი, ვითარცა მზენი, გამობრწყინდენო“².

პხედავ ნიჰსა ამსა ღმრთისასა? შენ თუ შიშველსა უნდოსა სამოსელსა შეჰმოს, იგი მსგავსსა მზისასა შეგმოსს განუბრწყნელსა სამოსელსა. შენ თუ მწყურვალსა წყალსა ასმევ, იგი გასმევს ცხოველსა მას წყალსა, რომელი დიან მუცლისა მისისაგან, რათა არღარა გწყუროდის. შენ თუ მშიერთა პურითა განაძღებ, იგი განაძღებს ცხოვრებითა დაუსრულებელითა. შენ თუ უცხოთა ორსამ დღე შეიწყურებ, იგი დაგიმკვიდრებს სამყოფთა ყოველთა წმიდათასა საუკუნოდ. შენ თუ სნეულთა მცირე ქამ ნახავ, იგი გაჩვენებს დიდებასა მამისა თვისისასა. შენ თუ საპყრობილედ მიხვალ წუთ ერთ, იგი მიგიყვანს სამყოფსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა და დაგამგობრებს წმიდათა მოციქულთა. ამისთვის განემზადეთ, ძმანო!

ხედავთა: წუთისა ქამისა მეფეთა ვინა ყმობენ და მათ თანა ახლორე არიან, რაოდენნი კაცი ევედრებიან მას, ანუ ერისთავთა და დიდებულთა მეგობართა ვითარნი კაცი პნატრიან? უმჯობეს არს დამბადებლისა ღმრთისა კეთილმსახურება ანუ წმიდათა მისთა მეგობრობა.

იხილეთ და განეკრძალეთ, რათა მოგცეს ღმერთმან და არა გესმეს ხმა იგი საზარელი, მხის ტეხისაგანაც უბოროტესი, რომელსა მარცხენითა ეტყვის ძნელთა ამით სიტყვათა: „წარვედით, წყეულნი მამისა ჩემისაგან, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისა და მსახურთა მისთათვის. რამეთუ მშიერი ვიყავ და არა მეცით ჰამადი, წყურთვ ვიყავ და არა მასუთ“¹. და შემდგომი ამისი.

ვაი, რა ძნელი სასმენელ არს სიტყვა ესე!

ვაი, რა შესაძრწუნებელია!

ვაი, რა ზარის-სახდელია : „წარვედით, წყეულნი, ცეცხლსა მას საუკუნესა“.

რაისათვის? — და ერთისა მწყურვალისა უსმელობისათვის!

არა გმართებსთა, ყოველი სოფელი შენიმცა იყო და იგი განაბნიო, თუცა წამსაცა ერთსა ჯოჯოხეთი არა იხილენ, არა თუ საუკუნოდ ჯოჯოხეთი?

რა არს ცეცხლი საუკუნე საუკუნეთა?

— დაუსრულებადი ტკივილი და არა ლხენა, დაუსრულებადი წვა და არა განლევა, დაუსრულებადი ტანჯვა და არა გამოხსნა, დაუსრულებადი კვნესა და ტკივილი და არა დადუმება, დაუსრულებადი ღრუვნა კბილთა

1 მათე 25, 85—86.

2 მათე 18, 48.


და არა დაცადება, დაუსრულებადი შეკრვა ჯაჭვითა და არა განხსნა, დაუსრულებადი ყვედრება ეშმაკთაგან და არა ნუგეშინის-ცემა, დაუსრულებადი სიმყრალე და არა განქარვება.

განვეკრძალეთ დღესა მას საშინელსა და განვემზადნეთ აღდგომისა ჩვენისათვის და მოველოდეთ ქრისტესა და შევიტყობთ მარხვა ესე მომავალი და უფროს გვიხაროდეს ზატიკობისა და დღესასწაულისა, რათა მარხვისა ამის მიერ განვიწმიდოთ შებღალული სული ჩვენი

1 ხელნაწერი უმატებს: „ქრისტე, შეიწყალე საბა ორბელიანი“.

და განწმედილი მივაგებოთ ქრისტესა, რომელსა მცირედი რამე ძღვენი გაგვყვეს საგძლისაგან ჩვენისა, რათა შევართვათ ჩვენთვის ჯვარ-ცმულსა მცირედნი ესე მოღვაწებანი: მარხვა, ლოცვა, მღვიძარება, ცრემლნი, მუცლთ-დრეკანი, მკერდსა ცემანი, ნუუკვე შეიწირნეს, ვითარცა ორნი მწვლილნი ქერისანი, და მოგვიტანეს ჩვენი აუარებელნი ცოდვანი და არა მიგვცნეს ჩვენ ცეცხლსა მას საუკუნესა, რამეთუ მასა შეენის დიდება მამისა თანა და ძისა და სულისა წმიდისა აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე, ამინ¹.






ხიონი, საღმრთო ლიტურგია

მცხეთა — სამთავრო. ლოცვა



ქ ა ლ ა გ ე ბ ა ნ ი



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

ჩვენი წინაპარნი და ჩვენ

სახელითა მამისათა და მისათა და წმიდისა
სულისათა

ჩვენთან არს ღმერთი! — არს და იყოს! (პა-
სუხი).

მე ხშირად მიფიქრია იმაზე, თუ რით გან-
სხვავდება თანამედროვე ადამიანი თავისი წინა-
პრისაგან. ალბათ, ამაზე გიფიქრიათ თქვენც და,
საერთოდ, ამაზე ფიქრობს ყოველი გონიერი
ადამიანი. ვინ ვიყავით წარსულში, ვინ ვართ
დღეს და ვინ ვიქნებით ხვალ? ამასთან ერთად,
ვსვამთ კითხვასაც, ვიქნებით კი მომავალში? რა-
ტომ ვსვამთ ამ კითხვას? არსებობდნენ დიდი სა-
ხელმწიფოები, დიდი ერები, ჩვენზე ძლიერები
ფიზიკურად. დღეს კი აღარ არიან, აღიკვეთ
პირისაგან მიწისა. ჩვენ კი ვართ, ჩვენ გადავრ-
ჩით. მაგრამ ვინ ვიქნებით, ან ვიქნებით კი მომა-
ვალში? — ეს კანონიერი კითხვაა, პასუხი ამა-
ზე ასეთია: დიახ. ვიქნებით!

ქართველ ერს უნახავს დიდი გაჭირვება,
დიდი განსაცდელი გამოუვლია საქართველოს და
ის საფუძველი, რომელზედაც აშენდა ჩვენი სარ-
წმუნოება, ჩვენი კულტურა, ჩვენი ხელოვნება,
ჩვენი ხუროთმოძღვრება, ჩვენი მწერლობა, არის
მყარი. ეს ქრისტიანული საფუძველია. ჩვენი
სული ქრისტიანი იყო მუდამ... ქრისტიანი იყო
იგი თვით ქირსტეს მოსვლამდე... ამიტომ პირვე-
ლი საუკუნეებიდანვე შევითვისეთ და შევი-
სისხლბორცეთ ჩვენ მისი მცნება. ეს საფუძვე-
ლი აკლდათ იმ ერებს და იმ სახელმწიფოებს,
რომელნიც ფიზიკურად ჩვენზე ძლიერნი იყვნენ.

მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გამახვილებ
თქვენს ყურადღებას, რომ ისინი იყვნენ ფიზიკუ-
რად უფრო ძლიერნი, სულიერად კი არა.

შეიძლება ერი მცირე იყოს, შეიძლება სა-
ხელმწიფო არ იყოს დიდი, მაგრამ სულიერად
ძლიერი იყოს და დასძლიოს ის გაჭირვება და ავ-
ბედობა, რომელიც შეხვდება მას ისტორიის მან-
ძილზე. აი, სწორედ ასეთი ერია ჩვენი ერი და
ასეთი სახელმწიფოა საქართველო: მან ყველა
გაჭირვება და ავბედობა დასძლია და ღვთის მად-

ლით, კვლავაც დასძლევს. იგი იარსებებს, სანამ
არსებობს ღედამიწა.

მე ვუბრუნდები ისევ პირველ კითხვას... მა-
ინც რით განსხვავდება თანამედროვე ადამიანი
თავისი წინაპრებისაგან, რა ახასიათებდათ მათ
და რა გვახასიათებს ჩვენ?

მათ ახასიათებდათ დიდი სარწმუნოება,
„სწამდათ, სჯეროდათ“, — როგორც ამბობს ერთი
ჩვენი პოეტი. სწამდათ, რომ შემოქმედი „ყოვლი-
სა მპყრობელი ღმერთია“, რომ იგია განმგებელი
ქვეყნისა.

როდესაც მე წილად მხვდა ბედნიერება და
შევედი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, ხი-
ლულად წარმომიდგნენ ჩვენი დიდი წინაპრები,
და მათ შორის, რუსთველი. ისინი თითქოს ჩვენ-
თან ერთად აღაღვენდნენ ლოცვებს საქართვე-
ლოს კეთილდღეობისთვის.

ჩვენ ვიყავით სულ ცოტანი, დაახლოებით 10
კაცი (ჩვენი დელეგაცია და რამდენიმე ბერძენი),
მაგრამ ისეთი გულსაჯსენი ვიყავით, ისეთი ცხო-
ველი კავშირი გვქონდა ზეციურ საქართველოს-
თან, ისეთი შეგრძნება გვქონდა, მართო ტაძარი
კი არა, თითქოს ეზოც ქართველი მლოცველე-
ბით იყო საჯსე. და ეს მხოლოდ გრძნობაზე დამ-
ყარებული წარმოსახვა არ იყო, არამედ რწმენა
და რეალობა. ისინი, მათი სულიები რეალურად
იყვნენ იქ და ლოცულობდნენ ჩვენთან ერთად.

აი ეს ძალა გვაკლია ჩვენ, გვაკლია მტკიცე
სარწმუნოება. მე ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ ურწმუ-
ნონი ვართ, არა, მაგრამ გვაკლია სიმტკიცე.

სარწმუნოება კი გაგვაჩნია, მაგრამ ჩვენი
სარწმუნოება უფრო დაბალი ხარისხისაა, უფრო
სუსტია, ვიდრე ჩვენი წინაპრებისა. არცერთ
ერს არ ჰყავს იმდენი მოწამე, რამდენიც საქარ-
თველოშია. ათასობით ბერი, მონაზონი, ერის-
კაცი იწამებოდა და არ ლალატობდა ქრისტიანო-
ბას. ამაში იყო მათი ძალა. ამაში იყო მათი მო-
მავალი... ეს პირველი, რითაც განსხვავდება თა-
ნამედროვე ადამიანი თავისი წინაპრებისაგან.

მეორე — აქედან გამომდინარე — ეს არის
სიყვარული.

რაოდენი სიყვარული იყო წარსულში! სიყვარული მშობლებსა და შეილებს შორის, სიყვარული მეუღლეთა შორის, ოჯახი რა მტკიცე იყო! რა აკავებდა, რაზე იყო დაფუძნებული ოჯახი? დღეს ასე რომ დასუსტდა ოჯახის კავშირი, რატომ ხდება ეს? რატომ და, ეს საფუძველი დაიკარგა, სარწმუნოება დაიკარგა. მასთან ერთად კი დაიკარგა და დასუსტდა სიყვარულიც. ის გრძნობა, რომელიც ჩვენ დღეს გავგაჩნია და რომელსაც ვუწოდებთ სიყვარულს, სიყვარულის აჩრდილია. ნამდვილი სიყვარული ის არის, როდესაც საკუთარ თავს სხვას შესწირავ, როდესაც თვით სულსაც კი არ დაზოგავ. „სახარებაში“ სწერია, — ყველაზე დიდი სიყვარული ის არის, როდესაც შენ შენსა სულს შესწირავ.

ასეთი სულის პატრონები და სიყვარულის შემძღვენი იყვნენ ჩვენი წინაპრები. დღეს ესეც გვაკლია. ღმერთმა მოგვცეს, ღმერთმა გააძლიეროს სიყვარული ჩვენს ერში.

მესამე, რასაც მინდა, მივაქციო თქვენი ყურადღება, ეს არის სულის სიძლიერე.

ამ საკითხს განსაკუთრებით მინდა შევეხო. ჩვენი წინაპრებისაგან განსხვავებით ზოგიერთ თანამედროვე ადამიანს სული არა სწამს, სწამს მხოლოდ მატერია. აი ეს, რაც ფიზიკურად გავგაჩნია — სისხლი და ხორცი. რა თქმა უნდა, ჩვენც ვიცით, რომ ეს მატერიაა, მაგრამ მატერიას არ მივაწერთ ღვთის თვისებებს. სული სხვაა და მატერია სხვა. თავისი დანიშნულება აქვს სულს, თავისი დანიშნულება აქვს მატერიას.

მაგრამ ხორცზე მაღლა დგას სული, სული უკვდავია. უზენაესი სული თვით ღმერთია, როგორია იგი? წმ. მამები ამბობენ, ვერაფრით ვერ წარმოიდგენ და ვერაფერს ვერ შეადარებ ღმერთსო. ლოცვის დროს ჩვენ ვამბობთ: „რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ მაღლითა შინითა“.

ადამიანის სახისა არის? არა. ჩვენ რომ ადამიანის სახით ვხატავთ ღმერთს, ეს რაღაა? ეს არის ჩვენთვის, ჩვენს გასაგებად. იმიტომ, რომ სხვანაირად ვერ წარმოვიდგენთ მას. მაგრამ, ამავე დროს, ისიც გვახსოვს, რომ ადამიანი არის შექმნილი ხატად ღმერთისა. რაღაც მსგავსება აქვს ადამიანს ღმერთთან, იმიტომ ვხატავთ მას ადამიანის სახით. მე არაერთხელ მითქვამს, რომ ხატი — ეს არის ფანჯარა, რომლის საშუალებით ვიყურებით სასუფეველში.

როცა ჩვენ ვუყურებთ ხატს, ნებისმიერ ხატს, მის იქით მის პირველსახეს ვხედავთ. ამიტომაც ყოველი ხატი სასუფეველის ფანჯარაა.

ასეთი ხედავც გვაკლია ჩვენ.

სული — გვწამს თუ არ გვწამს იგი? სული არსებობს, მაგრამ, რადგან სარწმუნოება არ არის მტკიცე, სულიც არ არის მტკიცე, სულიც სუსტია, სული დაჩაგრულია. ამიტაც განვსხვავდ-

ბით ჩვენ ჩვენი წინაპრებისაგან. მათი სული ძლიერი იყო, რადგან ძლიერი იყო მათი რწმენა.

მეოთხე განსხვავება ჩვენსა და ჩვენს წინაპრებს შორის არის სიმართლე.

ჩვენი წინაპარი ჩვენზე მართლანი იყვნენ. სიმართლე ახასიათებდა ყოველ ადამიანს. არ შეიძლებოდა, რომ უსამართლობა გაეკეთებიათ, სიყალბე, ან სიცრუე ეთქვათ... იმიტომ, რომ ღმერთი სწამდათ, იმიტომ, რომ დარწმუნებულნი იყვნენ ღვთის გულთამხილობაში. იცოდნენ, ყოველ სიტყვაზე ადამიანი პასუხს აგებს ღმერთთან. ამიტომ, შეიძლება, სიმართლე ძნელი იყო სათქმელად, მაგრამ მაინც არ ატყუილებდნენ ერთმანეთს.

თანამედროვე ადამიანი კი მეორე ადამიანს თავისუფლად ელაპარაკება ტყუილს. ვინც ლაპარაკობს, იცის, რომ ეს ტყუილია, და ვინც ისმენს, იმანაც იცის, რომ ეს ტყუილია, მაგრამ მაინც ლაპარაკობს. ერთი ელაპარაკება, მეორე ისმენს და საოცარი ის არის (ეს პირდაპირ საშინელებაა), რომ ის, ვინც ისმენს, ვერ ეუბნება ტყუილს ლაპარაკობს.

კიდევ ერთი განსხვავება: ჩვენ გვაქვს ცოდნა. ცოდნა ჩვენს წინაპრებსაც ჰქონდათ, მაგრამ დღეს მეცნიერებამ გადადგა დიდი ნაბიჯები. ცოდნა ამაღლდა, მორალური დონე კი, სამწუხაროდ, ხშირად დაბალია.


ჩვენ ბევრ ცოდნას ვიძენთ... ვიძენთ სასწავლებელში, ვიძენთ იმ ინფორმაციით, რომელსაც ვლავთ ვლავთ, რასაც ვუყურებთ, ვთქვით, ტელევიზორით, რასაც ვისმენთ რადიოთი, რასაც ვკითხულობთ.. მაგრამ საოცარი რაღაც ხდება: ცოდნა კი გვაქვს, მაგრამ სიბრძნე გვაკლია. სიბრძნე ჩვენს წინაპრებს უფრო ჰქონდათ.

ჩვენი ცოდნა მრავალმხრივია, სიბრძნე კი არა... რატომ ხდება ასე? ადამიანი იმდენად გადაიტვირთა ყოველდღიური საქმიეებით, რომ ფიქრისთვის დრო აღარ რჩება. ვეღარ ფიქრობს, ან თუ ფიქრობს, მართო თავის თავზე — „პური ჩვენი არსობისა“, — აი, ესაა მთავარი... დანარჩენზე, დიდ, გლობალურ საკითხებზე, ერისა და კაცობრიობის მომავალზე, ის უკვე აღარ წუხს...

ამიტაც განსხვავდება თანამედროვე ადამიანი თავისი წინაპრებისაგან, მაგრამ ეს ასე არ გასტანს. ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორ ხდება ჩვენი ერის სულიერი აღდგომა, სულიერი ამაღლება.

და თუ ეს ასეა, თუ სარწმუნოება ძლიერდება, სიყვარულიც გაძლიერდება, სიბრძნეც ამაღლდება და ჩვენი ერი ისევ ისეთი სულიერი და ჭეშმარიტების მქონე იქნება, როგორც წარსულში იყო.

შეკთხოვ უფალს, გააძლიეროს იგი. მისცეს მას ბრწყინვალე, ნათელი, ამაღლებული მომავალი, ამინ!



კათოლიკოს-პატრიარქი
პალისტრატე ცინცაძე

სიტყვა აპაკის გარდაცვალებაზე

დედის სალომას ნუ ღივიფხვა (ი. ზირაძე 7,29)

ჰბრძანებს უფალი და ეს სიტყვა დიდებულ მამულიშვილს აპაკის გულის ფიცარზედ ჰქონდა აღბეჭდილი.

თითქმის სამოცი წლის განმავლობაში იგი „მალამოს“ სდებდა დედის სალმობას და აღვიძებდა „ძველ ტურფას“ საღათას ძილისაგან“...

მართალია, ჰზოგნი ჰნატრობდნენ „მკვდარივით მძინარის“ სიკვდილს, მაგრამ დედის „თავსმდგომმა“ „ჭირისუფალმან“ საქვეყნოდ გამოაცხადა: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს... ბევრის ბრძოლით დაღალულსა ეჭირვება მოსვენება“...

მაშ, დასცხერით, ორგულნო, და იშვებდით, მოყვანო: „გულსა სწამს და ჭკუას სჯერა, რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა მომავლის ბედისწერა“...

ამ მომავლის ბედისწერის მოლოდინში დაუცხრომელმა მუშაკმა „ცხოვრების გზა გალია“ და „სიტკბოზედა მწარე მეტი დალია“. თანამგზავრი ჰყავდა „მწუხარება და ჭირი“, მაგრამ იტყვის „სულ ვიციანი, არ ვსჭირი“...

იცინოდა, იშვებდა, განიხარებდა მისთვის, რომ „იხილა უცხო სიზმარი“, „ნახა, რომ ქვეყნად ჩამოსულიყო ნინო, ქეთევან და თვით თამა-

რი“, „ზეცად აღეპყრათ სამთავეს ხელი“ და „ავედრებდნენ „დედასა ღვთისას“ ჩვენს საქართველოს „დიდჭირნახულსა“...

საოცარის სანახაობით ნუგეშისცემულს ერის მესაიდუმლეს დარდი გაუქარწყლდა, „გულს იმედი დაესახა“ და აღარ „ტიროდა“...

არც ჩვენ შეგვფერის „საყვარელნო, ტირილი ფასდაუდებლის ცხედრის წინაშე: თუმცა თვით მგოსანი ვერ მოესწრო, მართალი სვიმეონივით, მაცხოვრების ხილვას, მაგრამ დედის სალმობათა არ დავიწყება მან გულს ჩაუნერგა მთელს ქართველობას და შემოიკრიბა იგი გარემოსთვისა, ვითარცა ახალნერგნი ზეთისხილისანი (ფსალმ. 127,4)...

ეს კი „წინამორბედი“ ანგელოზთ გუნდის საგალობელის“ აღსრულებისა:

„მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
„და გარდმოსახე ძლიერად ჯვარი,
„რომ აღადგინო ქართველთა ერი,
„დღეს დაცემული და ცოცხალ-
მკვდარი“...
იყავნ! იყავნ!

(წარმოითქვა ქვაშეთში 1915.11.1. „სახალხო ფურცელი“ № 202)

როგორ მოვხატე ქვაშვეთი

ლადო გუდიაშვილი

„...ერთელ სამხატვრო სასწავლებელმა (მაშინ მე მესამე კურსზე ვიყავი) მოაწყო ექსკურსია გელათში. როცა ტაძარში შევედი, საოცარი განცდა დამეუფლა: ფანტასტიკური სანახაი იყო, მზე სარკმლიდან რომ უქვრეტდა ღვთისმშობლის მოზაიკას. აქედან დაიწყო ყველაფერი და ის სურვილი, რომ ცოტათი მაინც ვყოფილიყავი ამ დიდებული ფრესკების მხატვართა გზის გამგრძელებელი, დღემდე ცოცხლობს ჩემში-ო“ თქვა ერთელ ლადო გუდიაშვილმა. იგი ხშირად იხსენებდა, როგორ მოგზაურობდა მთელ საქართველოში, როგორ სწავლობდა ძველი ისტატივის ხელოვნებას... მონაწილეობდა თითქმის ყველა ექსპედიციაში, რომელიც მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის მიზნით ეწყობოდა. და უოველივე ამას თავის აკადემიას უწოდებდა.

მისი მოგონებების წიგნში, რომელიც ჩვენი ლიტერატურული ჩანაწერებით აიკინძა, მოთხრობლია ამ ექსპედიციების შესახებ, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილი ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, აგრეთვე, დავით გარეჯში, ნაბახტევში, ბიჭვინთაში და სხვ...

ჩვენ ამ მოგონებებს გზადაგზა დაგებუდავთ...

ამჯერად კი მკითხველს ვთავაზობთ ერთ ნაწყვეტს ამ წიგნიდან.

თ. კ.

1947 წელს კათოლიკოსმა კალისტრატე ცინცაძემ ჩემთვის მეტად მოულოდნელი, მაგრამ დიდად სასიხარულო წინადადება შემოთავაზა... ქვაშვეთი უნდა მომეხატა.

დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული ეს საქმე, მაგრამ რაკი ნებაართვა მივიღე, აღარაფრის წინაშე აღარ მსურდა უკან დახევა... მთავარი დაბრკოლება მაინც ის იყო, რომ იმ დროს ჩვენში ფერები არ მზადდებოდა. მე უარი ვთქვი ზეთის საღებავებზე... ქვაშვეთი ენკაუსტიკის წესით უნდა მოხატულიყო. ცხელი, ადუღებული ფერებით. იგი ბიზანტიელებმა გამოიგონეს... ძალიან კარგია იმ მხრივ, რომ საუკუნეებს უძლებს; მაგრამ როგორ უნდა გვეშონა საამისო სათანადო მასალა... ფერადი ფხვნილები, რომლითაც სითხე ზავდება, ჩვენში მაშინ სულ არ არსებობდა.

ძებნა-ძებნით მივაკვლიეთ ძველ მღებავებს... მათი დახმარებითა და რჩევით შევაზავეთ მცენარეთა ფერები... ზოგი ფხვნილი მწერებისაგან მზადდება. ყველა ეს ფხვნილი ავურიეთ თაფლის ფიჭაში... გავალხვეთ და დავიწყეთ მუშაობა.

შევირდები არ მყოლია. მეხმარებოდა მხოლოდ ორი ადამიანი: შალვა აბრამიშვილი, რომელიც, საერთოდ, ფრესკების აღდგენაზე მუშაობდა ხოლმე და მუსიკოსი არსენ ფონჩუა — მას ჩუქურთმები გადაჰქონდა. საერთოდ კი მე არ მიყვარს, როცა სხვა ამთავრებს ჩემს საქმეს.

უამრავი ესკიზი და ჩანახატი გავაკეთე. საკურთხევის ძირითადი ფართობი, რომელიც მოხატულია, ცხრა თვეში დაეამთავრე. ცხრა თვე ფანტასტიკურად მოკლე დროა ასეთი დიდი სამუშაოსათვის, მაგრამ ისეთი ვატაცებით ვმუშაობდი, რომ დამცლოდა, ალბათ, სამ-ოთხ წელიწადში სულ მოეხატავდი... ეს არის ეკლესიის მთლიანი მხატვრული კომპოზიციის ცენტრალური თემა. ადვილი არ იყო, რა თქმა უნდა, მთელი დღეების განმავლობაში

ისეთ უჩვეულო მდგომარეობაში, თანაც ადუღებული საღებავებით მუშაობა, მაგრამ ბევრად ახალგაზრდა ვიყავი და რასაც ვაკეთებდი, ჩემთვის დიდ პატივად და ნდობად მიმანდა... ასეც იყო... კალისტრატეს ძალიან უხაროდა და მუდამ ჩემთან იყო. არ ბტოვებდა არც ქვაშვეთის ეპისკოპოსი დიმიტრი ლაზრიშვილი... ყველაფერში მშველოდნენ, როგორც შეეძლოთ, მეხმარებოდნენ.

რაც შეეხება თვით მხატვრობას... რა შემძლია ვთქვა მის შესახებ... ცხადია, ყველა ავტორს სურს თავისი სათქმელი როგორმე ისე თქვას, როგორც მას უფიქრია და სურს, თქვას კარგად.

ვიდრე მუშაობას დავიწყებდი, ყველა ხელმისაწვდომი მასალა, როგორც ქართული, ისე უცხოური გადავითვალთვალე და შევისწავლე.

ფრესკის ცენტრალური ფიგურა ღვთისმშობელი და იესოა, აქეთ-იქით კი ანგელოზები... ეს დაკანონებული თემაა, ძნელია მასში რაიმე ცვლილების შეტანა... ასეთი მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს... ისინი დიდი მხატვრები იყვნენ.

როგორც ფრესკებში, ისე დაზგურ პორტრეტებში თითქმის ყველა მხატვარი, დიდიც და პატარაც, ღვთისმშობელს მუდამ ახალგაზრდას და სათნოს ზატავდა... ვავიხსენოთ, თუნდაც რაფაელი... მე გადავწყვიტე ღვთისმშობელი წამომეყვანა ჩვენსკენ, მიწისაკენ. უფრო დღევანდელი სახე მიმეცა მისთვის... ამ სახის ასეთმა გადაწყვეტამ მაშინ, როგორც მოველოდი, აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია... ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას...

საერთოდ, ბევრი უსიამოვნება შემხვდა ამ სამუშაოს დროს, მაშინ ჯერ კიდევ ერთგვარად უჩვეულოდ გამოიყურებოდა ის ფაქტი, მხატვარს რომ რელიგიურ თემაზე რაიმე ეხატა... ბევრი გაღიზიანდა კიდევ.

ცხადია, ქვაშვეთი რომ მთლიანად მოხატულიყო, გაიშლებოდა მისი თემატიკაც და სიუჟეტებიც... ხატვის პრო-

ცესში გზადგა ამ სიუჟეტებზე ვმუშაობდი, ახლაც შენასული მაქვს ეს ყველაფერი, მაგრამ გარეშე თვალისთვის გაუგებარია... ეს უფრო მინიშნული ჩანაფიქრებია, რასაც, როგორც ჩანს, განხორციელება არ ეწერა.

ერთხელ კი ქვაშვეთში იტალიის დელეგაციაც გვეწვია...

მკლავზე ხელს მკიდებდნენ...

— ნუთუ, თქვენ მართლა ხატავთ... ნუთუ, საბჭოთა კავშირში რელიგიურ თემაზე ხატვის უფლება არსებობსო? ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მთელი ჩვენი მოგზაურობიდან ამ ფაქტმა მოახდინაო — ამბობდნენ.

რაც შეეხება კალისტრატეს, იგი დიდებული ადამიანია იყო... დიდი პატრიოტი, განათლებული, ისტორიის, საეკლესიო მხატვრობის შესანიშნავი მცოდნე, უაღრესად კაცთმოყვარე. მე იგი ისე მომწონდა, რომ მისი სახე ფრესკაში ერთ-ერთ მოციქულად ჩავხატე. მას ეს ძალიან ესიამოვნა.

რა თქმა უნდა, გული მტკივა, რომ ქვაშვეთის მხატვრობა ბოლომდე ვერ დავამთავრე... მერე და მერე, როცა ჩემდამი დამოკიდებულებაში უკვე ბევრი რამ თანდათან შეიცვალა, მეკითხებოდნენ ხოლმე:

— აღარ უნდა მოხატოთო?

მაგრამ მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, წლებმა თ-


ვისი ქნა და, რა თქმა უნდა, აღარ შემეძლო... ეს ყოველივე დიდ ფიზიკურ შრომასა და დამაბულობასთანაა დაკავშირებული. მაშინ ჭერზე მუშაობის გამო ცხვირიდან სისხლის დენა და თავბრუსხვევები მქონდა, მაგრამ სამაგიეროდ, არც ენერგია მაკლდა და არც ხალისი, ახლა კი...

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და უსაზღვრო მადლობით მოვიხსენიო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომელმაც დიდი თვაზით და ტაქტით შემომთავაზა, ეგებ როგორმე, ქვაშვეთი ისევ მონახტოთო, ამაღელვა და სიხარულით ამავეს ამ თხოვნამ, მაგრამ გვიანაა... აღარ შემიძლია.

რაც შეეხება ღვთისმშობელს, ხშირად მეკითხებიან ხოლმე — მის სახეში ვინმე კონკრეტული ადამიანი ხომ არ მყავდა მხედველობაში. არა... მე, ძირითადად, მუდამ შთაბეჭდილებებით ვხატავ... პროტოტიპებს კი იშვიათად ვაკეთებ... იმიტომ კი არა, რომ, არ მომწონს ეს გზა... ჩემი მუშაობის სისტემაა ასეთი.

ცხადია, უმტკივნეულოდ არაფერი ხდება, და ქვაშვეთმაც დატოვა ჩემში ტკივილი... მაგრამ რას იზამ.

დრო გადის... და როგორც ერთი ძველი რიტორი ამბობს: „ხელი მონისაა ლეხა, ნაწერი კი ჰგვის უკუნითი, უკუნისამდე“. მეც, რა თქმა უნდა, მინდა დარჩეს ის, რაც ამდენი ტკივილის ფასად შემიქმნია...



სასწაუდთა ღაღადისი

ურბნელი მთავარეპისკოპოსი
კონსტანტინე (გილიძე)

ოდიტგანვე სახლობდა ქართველი საქართველოს მიწაზე — მაინც როდიდან? საიდან მოვიდა, არავინ უწყის არავინ უწყის, რადგან ქართველი და საქართველო თითქოს ერთად შექმნა და დაბადა ღმერთთან. ძლიერ შორეულ წარსულის ბურუსში თუ შეაღწევს თვალი, იქ რაღას ვნახავთ? იყო ქართველი და საქართველო! ალმასის თვალივით ბრწყინავდა ქვეყნებს შორის საქართველო. ქართველს დედა სამშობლოს გარეშე არ გაეძღვებოდა არსად. ასე იყო და ასე არს დღესაც... და თავიდანვე შეიყვარა უფალმა ქვეყანა ესე „ქართლი“. „ქართლად ფრიადი ქუყანაა აღირაცხების“... აქედან წარმოსდგა სახელი საქართველო, სამყოფი ქართველთა, ქვეყანა ქართველთა,

ხალხი ამბობს, თავისი სიუხვის კალთა მალაღმა ღმერთმა აქ დაბერტყაო.

მაგრამ იმ შორეულ წარსულში დრო იყო ძნელი. როგორც კრაზანები ფუტკრის წმიდა სკას, ისე ეხვეოდნენ მტრები საქართველოს.

საშინელ ხმაურში, ნგრევასა და ავებლობაში ჩაიკარგნენ საუკუნენი. საქართველოს უსპეტაკესი ცა ხშირად იყო ნაღვლიანი და დაღრუბლული. ძალიან ხშირად მტრის ურდოების ყიჟინა ახშობდა ქართლის ასულთა უნაზეს ხმებს — გადაბუგული და გაჩანაგებული ქვეყანა ქედს არ იხრიდა წინაშე მტრისა და ფენიქსებერ ფერფლიდან აღმდგარი და განახლებული იგერიებდა და თავზარს სცემდა სხვადასხვა ჯურის დამპყრობთა.

მთავარი ის იყო, რომ უყვარდა უფალს საქართველო.

როცა ქვეყნად იყო უსჯულოება და სიბნელე და კაცთა მოღვათა მიმძღავრებული იყო ეშმაკისგან, ქართლის პირველნი მეფენი კერპს აღმართავდნენ, მას სცემდნენ თაყვანს.

„...და იყო პირველი მეფე მცხეთასა შინა აზოი, ძე არინ ქართველთა მეფისა და ამას ჰყვანდეს კერპნი გაც და გაიმ ღმერთებად“. შემდგომად ამისა დადგა ფარნაოზ. და ამან აღმართა კერპი „სხვირისა“ ზედა (იგულისხმება ციხესა ზედა) და უწოდა სახელი არმაზი, „და უწოდენ არმაზ“.

შემდგომად მისა დადგა მეფედ საურმაგ და მან აღმართა კერპი აინინა გზასა ზედა და იწყო არმაზის ციხის შენება. მის შემდგომად მეფობდა

შირვან და აღმართა კერპი დანინა გზასა ზედა და აღაშენა არმაზი. შემდგომ მეფობდა ფარნაჯომ და მან აღმართა კერპი ზადენ მთასა ზედა (ზედაზენი) და აღაშენა ციხე იქვე. ესე ოცდარეანი მეფენი ქართლსა შინა წარმართნი აღმართავდნენ კერპთა და ჰპონებდნენ ხელთი ქმნულთა ხეთა და ქვათა და ლითონთა.

მაგრამ სხვა რამეს ამზადებდა უფლის წინასწარი განზრახვა. იგი წინასწარმეტყველთა პირით ამცნობდა ხალხებს ახალი ერის დაწყებას და როცა იშვა ყოვლად წმიდა დედოფალი ჩვენი, „რომელსა ემოსა მზე და მთოვარე იყო ქვეშე ფერხთა მისთა“... ინება ქვეყნის შემოქმედმა, რომ საშოსა მისსა „დაეცა დაუტყვენელი“ იგი, „რომელმან მოსდრიცა ცანი და გარდამოხდა ქუეყანად“... და ხორცი შეისხნა სულისა წმიდისა მიერ და მარამისაგან ქალწულისა განკაცნა“. განკაცნა ცათა უფალი ჩვენთვის, კაცთათვის, რომ უფრო ახლოს ყოფილიყო ადამიანთან, გაეხსნა მისი დაზნული გონება, მოექცია „მზისაგან წაწყმედილისა და საეშმაკოსა“, განეახლებინა კაცი იგი მოძვედარი ცოდვითაგან ადამითგან ვიდრე მაცხოვრის მოვლინებამდე.

ესრეთ გათენდა ღამე ბნელი და აღმოუბრწყინდა ქვეყანას მზე სიმართლისა და სხივები მისი განმანათლებელ ყოველთა „მცნებაი უფლისაი“. და აქ უმეტესად გამოჩნდა სიყვარული უფლისა კაცის მიმართ, რომელიც მანამდე დაფარული იყო და თანმიმდევრულად აღესრულებოდა წინასწარ განზრახული ღვთისა. „...და განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ზედა ჩემსა განიგდეს წილი“.

განიყვეს სამოსელი უფლისა მხედართა უბრალოდ, ხოლო კვართზე იყო შეცილება ურთიერთშორის. ამის გამო „წილი განიგდეს“, — წილი იყარეს. და აქ მოხდა უდიდესი სასწაული, — კვართი იგი მიემადლა ქვეყანას ქართველთა... „რომელი მოილო მცხეთელმა ურიამ ელიოზმა მცხეთად“.

პოი კვართო სანატრელო, რომელი ჰფარავდი უკვდავ სხეულს მაცხოვრისა ჩვენისა. კვართო უკერველო, ჩვენი დიდებაი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხელთ ნაქსოვო ბრუნვით,

შენ, სიწმიდო აღურაცხელო, რომელიც თან შეეზარდენ მაცხოვარს. ეს თვით მან ინება, შენი დაფლა მცხეთას. ეს საოცრება ვით გამოეთქვა?! ვიდრე ჩვენამდე მოაღწევდი, დიდი ქვეყნები გამოიარე, მაგრამ არსად ინებე დასვენებაც კი. უფლის სიქველე შენ ქართველთა ქვეყანაში მოგიკვლევა გზას. საქართველო შენ ადრე განადვიდე სიქადლო ჩვენი, „ხოლო ამან ელიოზ მიიღო კვართი იგი მაცხოვრისა იესუ ქრისტესი მცხეთად, სახლად ჩუენდა... ხოლო და მისი მიეგებოდა შესუარულითა ცრემლითა, ვითარცა სისხლითა და მოულო სამოსელი იგი იესუსი და შეიტკბო მკერდსა თვისსა ზედა და მსწრაფლ სულნი წარხდეს“... უნდოდით გამორთმევა მისი სიღონიას ხელთაგან, მაგრამ ვერ შესძლეს. „ხოლო ელიოზ დაჰმარხა და იგი თვისი და ხელთა მისთა აქუნდა სამოსელი იგი“.

აჰა საკვირველება განსაკრთომელი! მსგავსად მაცხოვრის კვართისა, თითქმის იმავე ადგილას იყო დაფლული ძველი აღთქმის დიდებული წინასწარმეტყველის ილიას ხალენი, ვერ კიდევ უძველეს დროს. ქვეყანა ჩვენი ოდითგანვე უყვარდა უფალს... „არს სხუაჲცა ძალითა შემოსილი, მრჩობელი იგიცა, ხალენი ელიაზის ამას ქალაქსა შინა. ხელთა ჩუენთა საკურთხეველისა სიმტკიცესა ქუეშე, ქვათა შინა უღბოლველად ვიდრე ჟამამდე მისსა“ (მოქც. ქართ.) კვლად განაგრძობს მემატთანე: აქ არისო ადგილი „სამარხოა მისი, რომელსა ენანი კაცთანი არა დაღუმნენ გალობად ღმრთისა მიმართ“. და ეს ადგილი შეადარა მან იმ დიდებულ ადგილს, სადაც იაკობმა კიბე იხილა ცად აღმართული. „მას ზედა არს ადგილი იგი, ვითარცა ადგილი იაკობისი, კიბედ ხილული და ზეცად აღწევნული“. და მოგვიწოდებს რომ ვადიდებდეთ ამ სიწმიდეთ მუდამ და დაუცხრომელად „ამიერიდან და უკუნისამდე დიდება და ქებაი მოუკლებელი“...

განვლო წელმა სამასმა... საქართველო კვლავ აღვისო ღვთის მადლითა და სასწაულებით. და როცა მირიან მეფემ იწყო ეკლესიის შენება მცხეთას „და მოჰკვეთეს ნაშუო იგი ღობანისაი“, მისგან აღმართეს შეიღნი სვეტნი. ხოლო სვეტი ერთი, „რო-

მელსა შემდგომ ეწოდა „სვეტი ცხოველი“, კერას გზით ვერ აღმართეს.

„და აჰა ზედა მოდგა (სვეტსა) ჭაბუკი ერთი ყოვლადვე ნათლით შემოსილი და მიებლარდნა ცეცხლის სახედ ზეწარი... მიყო ხელი სვეტსა მას, უპყრა თავი და აღამდლა და წარილო სიმაღლესა ცათასა... და აჰა ვიხილე სვეტი იგი ცეცხლის სახედ ჩამოდიოდა და მოეახლა ხარისხთა მას თვისსა... რომლისგან მოკუეითო იყო იგი. და ვითარცა მოვიდნენ მეფე და მხედრობა მისი და იხილეს საკვირველი: ნათლით ბრწყინეული სვეტი იგი ჩამოვიდოდა ადგილით თვისა, რეცა თუ დადგა ხარისხსა თვისსა ზედა და დაეპყრა ხელთმეუხებლად კაცთაგან“. ნეტარ მის ჟამსა რა იგი იქმნებოდის.

„შიშით და სიხარულით აღვისო მცხეთაი ქალაქი და მოსდიოდეს მდინარენი ცრემლთანი...“ „და ექმნებოდეს დღესა მას შინა სასწაულნი მრავალნი“.

ასევე გვსურს ვისაუბროთ იმ პატიოსან ჯვარზე, რომელიც აღმართა მცხეთას გამოღმა მთის ბორცვზე, იქ, სადაც შემდგომ დიდებული ჯვრის მონასტერი ააშენეს.

სასწაულს მოსდევდა სასწაული, ნეტარ იმ დროთა მომსწრეს, „და აღმართეს სამნი ჯვარნი სასწაულმოქმედნი“ წმიდა ნინოს მითითებისამებრ: ერთი მთასა მასთხოთისასა, სადაც მირიან მეფეს მზე დაუნებლად და იხილა სასწაული ჯვარისა, ერთი ბოლბეგს და ერთი მცხეთის გამოღმართ ბორცვზედა და ამა პატიოსან ჯვარზე ენების კვირის ოთხშაბათს იხილეს საშინელი და დიდებული სასწაული. „აჰა ესერა სვეტი ნათლისაი სახედ ჯუარისა დგა ზედა ჯვარსა მას და ათორმეტნი ანგელოზნი დაგვირგვინებულ იყვნეს გარემოს მისსა. ეგრეთვე სახედ ათორმეტნი ვარსკვლავნი დაგვირგვინებულ იყვნეს, ხოლო ბორცვი იგი ჯუარისაი ერთ სახედ კუმოდა სულენლად“. მერმე იხილეს უფრო მეტი საოცრება; „ვითარცა ცეცხლი დგა და ვითარცა ალი ეგზებოდა ზედა თავსა ჯუარისასა, სამავზის მზისა უბრწყინვალესი... აღვიდოდეს ანგელოზნი და გარდამოვიდოდეს ზედა პატიოსანსა ჯუარსა“. და ნელსურნელება მიეფინებოდა კლდეთა, ბორცვთა, ტყეთა და ცხოველთა

სვეტო ნათლისაო, მირონმდინარეო და ზეგარდამოქსოვილო კვართო უფლისაო, დაგვიფარე ჩვენ ცოდვილნი...



ხატი დაცულა სიონის ტაძარში

ადგილთა და აღვიდოდა ცამდე და მიეფინებოდა ყოველსა ქვეყანასა და ესმოდათ ხმანი, ოხვრანი, გალობანი და ვითარცა აღმართეს ჯვარი პატიოსანი, მსწრაფლ დაემხნენ ყოველსა ადგილს საქართველოსა კერპნი, დაირღვენეს და შეიმუსრნეს საკერპონი. დიდ-დიდნი სასწაულნი და კურნებანი აღესრულებოდა ამა წმიდა ჯვართაგან და სვეტისა ცხოვლისა საოცარი კურნებანი მრავალნი არა თუ ჯვართან მიახლოებისა და შეხების დროს, არამედ რწმენით მოგონებისას ამა პატიოსანთა ჯვართა. და ესე ყოველი აღესრულებოდა მყოვარჟამიერ, რამეთუ თვალი უფლისა იყო ქვეყანასა ამას „ნრდილოეთისა“ და მის სიმათლისა მიეფინებოდა, განანათლებდა ერსა ქართველსა“.

